მადრიდში დააკავეს ქართველი კრიმინალი A2

მეტალურგები უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ითხოვენ A3

"ჩვენი აფხაზეთი" A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 14 ივლისი, 2004 წელი. №165 (714) | ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### რკინიგზამ ნავთობის მსხვილ გადამზიდავებს შეღავათები დაუწესა



"საქართველოს რკინიგზამ", შუა აზიიდან ტვირთების მოზიდვისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ახალი - "მოცულობითი შეღავათიანი ტარიფები" შემოიღო.

A4

## უცხოეთი

### ჩეჩნეთი - რუსეთის მოურჩენელი იარა

ჩეჩნეთის ომი, ან ანტიტერორისტული კამპანია, როგორც მას რუსები უწოდებენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წამყვან პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებს. დღე არ გავა რუსული ტელევიზიით, სისხლიანი შეტაკებებისა და დაღუპული ან დაჭრილი ადამიანების ამსახველი კადრები არ გავრცელდეს.

A5

## საზოგადოება

### იყალთოსაკენ



გუშინ სამხატვრო აკადემიის 18 სტუდენტი იყალთოს აკადემიაში წინასარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად გაემგზავრა.

A6

## სამართალი

### მოლაშვილი იტყუება, - ამბობს თბილისის პროკურორი



არასამთავრობოების პრესკონფერენციებს გუშინ თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრით უპასუხა.

A7

# ფქვილის ომი

პუტინი სააკაშვილს ბაძავს, მაგრამ მისი საჩუქარი ერგნეთში გაიჭედა

*ქართული მხარე ცდილობს, რუსებსა და ოსებს დაანახოს, რომ კონფლიქტის ზონაში თამაშის წესებს დღეს ის უკვე თავად კარნახობს. ერგნეთის საგუშაგოზე დაკავებულია ავტომანქანების კოლონა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტის სახელით, ოსური სოფლებისთვის ჰუმანიტარული დახმარება მიჰქონდა. რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის, გენერალ ნაბზდოროვის პროტესტის მიუხედავად, ფქვილით დატვირთულმა შვიდმა "კამაზმა" დანიშნულების ადგილს გუშინ ვერ მიაღწია. პუტინის ფქვილის ბედი დღეს შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე გაირკვევა.*




ვახო ბესელიას ფოტო

გიორგი ასანიშვილი

შიდა ქართლის გუბერნატორი მიხეილ ქარელი აცხადებს, რომ რუსული მხარის ქმედება აშკარა პროვოკაციაა, რადგან "როკის გვირაბიდან ფქვილი უკანონოდ არის შემოტანილი". ქარელის მტკიცებით, არ არსებობს იმის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ "კამაზებით" შემოტანილი ტვირთი ჰუმანიტარული დახმარებაა და არა კონტრაბანდული საქონელი. მისი თქმით, მოსახლეობისთვის ფქვილის დარიგების საკითხში რუს სამშვიდობოებს არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ, თუ ისინი საქართველოს კანონმდებლობას დაემორჩილებიან. გუშინ მიხეილ ქარელმა არაერთხელ განუმარტა სვიატოსლავ ნაბზდოროვს, რომ ჰუმანიტარულმა ტვირთმა საქართველოს ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებში უნდა გაიაროს რეგისტრაცია, შემდეგ კი განბაჟდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქონელი კონტრაბანდულად ჩაითვლება და კონფისკაციას დაექვემდებარება.

შიდა ქართლის გუბერნატორის მოთხოვნას ნაბზდოროვი მთელი დღის განმავლობაში ირონიული ღიმილით ისმენდა და რატომღაც დარწმუნებული ჩანდა, რომ ქართული მხარე ბოლოს მაინც უკან დაიხევდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, სამშვიდობო ძალების სარდლის ირონია თანდათან მრისხანებით იცვლებოდა. დღის ბოლოს კი, როდესაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ "კამაზების" კოლონა ადგილიდან ვერ დაიძვრებოდა, რუსი გენერალი აფეთქდა.

**"მეთაური რომ არ ვიყო, ქარელს სახეში შევაფურთხებდი,"** - ალკოჰოლის სუნთან ერთად, ეს სიტყვები შეაფრქვია განრისხებულმა ნაბზდოროვმა მასმედიის წარმომადგენლებს. რუსი გენერალი დარწმუნებულია, რომ შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურგს უკან ვიღაც უფრო მაღალი თანამდებობის პირი დგას, თორემ **"ქარელი თავისით ამდენს ვერ გაბედავდა".**

გაგრძელება A3 გვერდზე

## დედოფალთან სტუმრობას ბრიტანეთი დღეს შეაფასებს

სოფო ბუკია

*"ლონდონში ვიზიტი ოსეთში განვითარებულ მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე იყო დაგეგმილი და მის გადადებას არ ვაპირებ. პირიქით, სწორედ ახლა ენიჭება დიდი მნიშვნელობა ასეთ ვიზიტებს, რადგან საქართველოს ახლა სჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა. ჩვენ ყველა ტრიბუნა ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ ამ მიზნით", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის აეროპორტში, ლონდონში გამგზავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე.*

**"საქართველო საერთაშორისო პოლიტიკის მოთამაშე ქვეყანა უნდა გახდეს,"** - ამ განცხადებას საქართველოს პრეზიდენტი ლონდონიდან აკეთებს.

ბრიტანეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი მიხეილ სააკაშვილი გუშინ, ლონდონის დროით ცხრა საათზე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ტონი ბლერს შეხვდა. როგორც შეხვედრის დასასრულს პრეზიდენტმა აღნიშნა, საუბარი საქართველოში არსებულ ვითარებას, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციას და ორ ქვეყანას შორის სამხედრო ურთიერთობების გაღრმავებას დაეთმო.

გაგრძელება A2 გვერდზე

## შეტაკებების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს აფრთხილებს

*მიხეილ სააკაშვილი ცდილობს ეთნიკური დაძაბულობის განმუხტვას, რომელიც, შესაძლებელია, რუსეთთან კონფლიქტში გადაიზარდოს.*

მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ხალხმა ნოემბერში შევარდნაძის გადასაყენებლად მოწყობილი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ აირჩია, ბრიტანეთი აღიქვამს, როგორც დანაწევრებული ერის გამთლიანების ერთადერთ იმედს, და მის მცდელობას - გააერთიანოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა - მხარს უჭერს.

მას შემდეგ, რაც ოსი სეპარატისტების იერიშის შედეგად ქართულ სოფელში ოთხი ქართველი ჯარისკაცი დაიჭრა, ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთი მკაცრად გააფრთხილა.

"თუ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი გაღვივდება, ეს საქართველოს შიდა კონფლიქტი კი არა, საქართველოსა და რუსეთს შორის დაპირისპირება იქნება", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 14/7 | 15/7 |
|---|---|---|
| თბილისი | 34 | 36 |
| ქუთაისი | 38 | 38 |
| ბათუმი | 38 | 37 |
| სოხუმი | 36 | 30 |
| ფოთი | 37 | 35 |
| თელავი | 32 | 34 |
| ზუგდიდი | 38 | 36 |
| გორი | 32 | 34 |
| ახმეტა | 32 | 34 |
| ჭიათურა | 36 | 39 |
| გაგრა | 34 | 27 |
| სამტრედია | 38 | 38 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9100 |
| ევრო | 2.3646 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5492 |
| რუბლი | 0.0656 |

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ტერიტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმომწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 პროექტი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## მადრიდში დააკავეს ქართველი კრიმინალი

"ინტერპოლის" მადრიდის განყოფილებამ კრიმინალური ავტორიტეტი, 40 წლის მურმან ტვილდიანი, მეტსახელად "ხალვა" დააკავა. ტვილდიანი, რომელსაც ქართველი სამართალდამცველები 2002 წლიდან ეძებდნენ, ინტერპოლის მიერ წითელ ცირკულარში იყო შეყვანილი და ის ესპანელმა სამართალდამცველებმა უკვე მეორედ დააკავეს.

ტვილდიანის ესპანეთიდან საქართველოში ექსტრადიციისთვის საჭირო მასალებს ქართველი სამართალდამცველები მეორედ ამზადებენ და მას შემდეგ, რაც საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გაგზავნილ მასალებს მადრიდის სასამართლო განიხილავს, ტვილდიანის საქართველოში ექსტრადიციის საკითხი გადაწყდება. ეს საერთაშორისო სამართლებრივი პროცედურა 40 დღის ვადაში უნდა განხორციელდეს.

თბილისის პროკურატურა მურმან ტვილდიანს ადამიანის გატაცებაში ადანაშაულებს. საუბარია თბილისში მომხდარ ერთ-ერთ რეზონანსულ დანაშაულზე - ბიზნესმენ ირაკლი კორტავას გატაცების საქმეზე. ირაკლი კორტავა 2002 წლის 20 თებერვალს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე III კვარტალში მდებარე მისი საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ბაღიდან გაიტაცეს. გამტაცებლებმა კორტავას ოჯახის წევრებს გამოსასყიდად 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს. კორტავას ახლობლებმა მოთხოვნილი თანხა იმავე დღეს გადაიხადეს და ბიზნესმენიც ტყვეობიდან დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.

არსებული ინფორმაციით, ირაკლი კორტავა თბილისში ადამიანის გატაცებაზე მომუშავე "სვანების დაჯგუფებამ" გაიტაცა. იგივე ინფორმაციით, გამტაცებელთა ჯგუფის ლიდერი "ხალვა", რომელსაც სამართალდამცველები განსაკუთრებით საშიშ დამნაშავედ მიიჩნევენ, "კანონიერი ქურდის" ტარიელ ონიანის ნათესავია და იგი ესპანეთში სწორედ ახლობელთან, ავტორიტეტულ კრიმინალთან აფარებდა თავს.

სხვათა შორის, ირაკლი კორტავას გამტაცებლების დაკავების სპეცოპერაცია შსს-მ საკმაოდ გასაიდუმლოებულ ვითარებაში ჩაატარა. თავდაპირველად გავრცელებული ვერსიით, დაკავებული ჯგუფის წევრებს კახი კალაძის ძმის, ლევან კალაძის გატაცების საქმესთან აკავშირებდნენ, თუმცა, სამართალდამცველთა ვარაუდი არ გამართლდა.

ესპანელმა სამართალდამცველებმა მურმან ტვილდიანი მადრიდში შემოდგომაზე დააკავეს, თუმცა მისი საქართველოში ექსტრადიცია მაშინ არ მოხერხდა, რადგან, გავრცელებული ინფორმაციით, პროკურატურამ მასალების გასაგზავნად არასწორი პროცედურა ჩაატარა და იმის გამო, რომ არსებულ ვადაში მასალები მადრიდის სასამართლოში არ ჩავიდა. ტვილდიანი, რომლის დაკავების ვადაც გასული იყო, მადრიდელმა სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს. გავრცელებული ინფორმაციით, ტვილდიანს ტარიელ ონიანი მფარველობდა და მასალების დაგვიანებით გაგზავნაც ამიტომ მოხდა.

მურმან ტვილდიანი ახლა უკვე მეორედ დააკავეს. სასამართლო პროცესზე, რომელიც ესპანეთის სასამართლოში 40 დღის მანძილზე ჩატარდება, "ხალვას" ინტერესებს ტარიელ ონიანის მიერ აყვანილი პრესტიჟული ადვოკატი დაიცავს.

*24 საათი*

## პოლიციელების შეტაკება შეიარაღებულ ბანდასთან

*ქუთაისელ სამართალდამცველებს გუშინწინ დაძაბული დღე ჰქონდათ. მომხდარი ორი დანაშაულებრივი ინციდენტიდან ერთი ცხელ კვალზევე გახსნეს, მეორე კი, რომელიც პოლიციასა და დამნაშავეებს შორის შეტაკებითა და სროლით დასრულდა, ჯერ კიდევ გაუხსნელია. კრიმინალებთან შეტაკებისას დაიჭრა ერთი პოლიციელი, რომელსაც ექიმებმა სასწრაფო დახმარება გაუწიეს.*

როგორც ქუთაისის პოლიციის ახალმა უფროსმა განგვიცხადა, პირველი ინციდენტი დილით, გამთენიისას მოხდა. სამტრედიის ხიდთან მდებარე, შინაგანი ჯარის საგუშაგოსთან მისულმა უცნობმა ჩაძინებულ ჯარისკაცს ავტომატი მოპარა და გაიქცა. ჯარისკაცებმა მომხდარი მაშინვე შეიტყვეს და გაქცეულს დაედევნენ, თუმცა, მან ჯარისკაცების მისამართით ცეცხლი გახსნა. საქმეში პოლიცია ჩაერთო, სამართალდამცველებმა ავტომატით შეიარაღებული უცნობი სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მოიმწყვდიეს. მან პოლიციელების მისამართითაც ატეხა სროლა. პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა, რა დროსაც გაქცეული დაიჭრა. საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში გადაყვანილმა დაჭრილმა, როგორც ქუთაისის პოლიციის უფროსი ამბობს, მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, რომ ის ვლადიკავკაზში ცხოვრობს და გვარად თვაურია.

**"სინამდვილეში ვინ არის დაჭრილი და რისთვის სჭირდებოდა მას ავტომატი, ჯერჯერობით დაუდგენელია. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია და გამოძიება ყველაფერს დაადგენს,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ქუთაისის პოლიციის უფროსმა თენგო მორჩაძემ.

რაც შეეხება მეორე ინციდენტს, ის ღამის საათებში მოხდა, როდესაც პოლიციელებს რეიდის დროს შეიარაღებულ ბანდასთან შეტაკება მოუწიათ. როგორც თენგო მორჩაძე ამბობს, ღამის შემოვლაზე მყოფი სამი პოლიციელი ორ საეჭვო ავტომანქანას მიადგა, რომლებშიც დაახლოებით შვიდი კაცი იყო გადანაწილებული. პოლიციელებმა სცადეს დაედგინათ, ვინ იყვნენ საეჭვოდ მდგარ ავტომანქანებში, თუმცა, მათ ამის გარკვევა არ დასცალდათ, რადგან ავტომანქანებში მყოფებმა მოულოდნელად სამართალდამცველებს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს.

**"ყაჩაღური ბანდის წევრებმა ძალის გამოყენებით ერთ-ერთ პოლიციელს რამაზ ჯანელიძეს "მაკაროვის" ტაბელური იარაღი წაართვეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციელს თავში ავტომატის კონდახი ჩაარტყეს და გათიშეს. ორმხრივი სროლა რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა. შვიდკაციანმა შეიარაღებულმა ბანდიტურმა დაჯგუფებამ გაქცევა და მიმალვა შეძლო. ფაქტია, ისინი საშიში დამნაშავეები არიან. გარკვეული ინფორმაციები გაგვაჩნია, რომელთა გახმაურებისგან, ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ. გვყავს სავარაუდო ეჭვმიტანილები, რომელთა დასაკავებლად ყველა ღონისძიება ტარდება,"** - აცხადებს ქუთაისის პოლიციის უფროსი.

*24 საათი*

## "ალავერდს" მეორედ შეაკეთებენ

გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკი (KFW) სომხეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის "ალავერდის" და დიდუბის, ლისის, მარნეულის და გარდაბნის ქვესადგურების რეაბილიტაციისათვის 10 მილიონ ევროს გამოყოფს. შესაბამის ხელშეკრულებას ენერგეტიკის მინისტრმა ნიკა გილაურმა ხელი გუშინ მოაწერა.

ელექტროგადამცემი ხაზის "ალავერდის" და დიდუბის, ლისის, მარნეულის და გარდაბნის ქვესადგურების რეაბილიტაციისათვის ათი მილიონი ევროს დახარჯვა KFW-მ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც საქართველოს ენერგეტიკისთვის ჯერ კიდევ ამ ხუთიოდე წლის წინ გამოყოფილი სხვა - "ვარციხეჰესების" კასკადის" რეაბილიტაციის 31 მილიონი ევროს ოდენობის კრედიტის ათვისება შეაჩერა. ბანკის მიერ 1998 წლის ბოლოს გამოყოფილი ეს კრედიტი ბერძნულ კომპანია "ტერნას" უნდა აეთვისებინა, თუმცა პირობების შეუსრულებლობის გამო KFW-მ მასთან კონტრაქტი გააუქმა.

ქართულ მხარეს კრედიტი დაკარგულად მიაჩნდა, როცა KFW-მ გადაწყვიტა, რომ "ვარციხეჰესის" აღდგენისთვის 31 მილიონი ევროს დახარჯვის ნაცვლად მხოლოდ 8,5 მილიონი ევრო დაეხარჯა, დანარჩენი თანხა კი შემდეგნაირად გაენაწილებინა: 12 მილიონი ევრო - ელექტროენერგიის იმპორტისთვის (სწორედ ამ თანხით შემოდიოდა საქართველოში დენი გასულ ზამთარს), 10 მილიონი ევრო კი - "ალავერდისა" და დიდუბის, ლისის, მარნეულის და გარდაბნის ქვესადგურების რეაბილიტაციისთვის.

ნიკა გილაურის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ "ალავერდის" ხაზისა და ამ ქვესადგურების სარეაბილიტაციო სამუშაოები "თელასმა" ცოტა ხნის წინ ჩაატარა, ისინი მაინც საფუძვლიან რეაბილიტაციას საჭიროებენ. შეგახსენებთ, რომ "თელასმა" გასულ წელს სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის დაწყების წინ "ელექტროსისტემას" "ალავერდისა" და ლისისა და დიდუბის ქვესადგურების მართვის უფლების დათმობა მოსთხოვა და მათი რეაბილიტაციისათვის 2 მილიონი ლარი დახარჯა. დღეს "თელასში" აცხადებენ, რომ რეაბილიტაციის შედეგად "ალავერდის" გამტარუნარიანობა 80 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ქვესადგურებზე მთლიანად შეკეთდა სატრანსფორმატორო მეურნეობა.

თუმცა, დღეს ენერგეტიკის მესვეურები აცხადებენ, რომ 2 მილიონი ამ ქვესადგურების რეაბილიტაციისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ნიკა გილაურის თქმით, KFW-ს მიერ გამოყოფილი 10 მილიონის ათვისების შემდეგ ამ ობიექტების საიმედოობა საგრძნობლად გაიზრდება. "ამ მიმართულებით ტექნიკური პრობლემების არსებობა ხშირად თბილისში ელექტროენერგიის გამორთვას იწვევდა და სისტემაში პრობლემებს ქმნიდა. პროექტის განხორციელების შემდეგ, სომხეთიდან ელექტროენერგიის მიღება ტექნიკური პრობლემის გარეშე გახდება შესაძლებელი," - განაცხადა გილაურმა.

*24 საათი*

# დედოფალთან სტუმრობას ბრიტანეთი დღეს შეაფასებს



REUTERS

*ბოლო წლების განმავლობაში ბუკინგემის სასახლეს უკვე მეორე ქართველი პრეზიდენტი სტუმრობს.*

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მაგრამ მნიშვნელოვან რეგიონში ვიმყოფებით, ჩვენს ქვეყანაში საინტერესო პროცესები ხდება, რაც ჩვენს მიმართ ყურადღებას იწვევს,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა .

სააკაშვილის თქმით, ტონი ბლერი აღტაცებულია ქართველი ხალხით და მზადაა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას ყველანაირად ხელი შეუწყოს.

**"ჩვენ ვაწარმოებთ აქტიურ კონსულტაციებს ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს ხელისუფლებასთან. ჩვენ გვაქვს შესანიშნავი ურთიერთობები ჯორჯ ბუშთან, ჟაკ შირაკთან, გერჰარდ შრიოდერთან და სხვებთან. ყველაფერი ეს მიმართულია ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტის განმტკიცებისაკენ,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

გუშინვე მიხეილ სააკაშვილი ჯორჯ რობერტსონს შეხვდა. ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც ლონდონში რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი ივანოვი იმყოფება, საქართველოს პრეზიდენტის დიდ ბრიტანეთში ვიზიტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რობერტსონმა თბილისში სტუმრობის დეტალები გაიხსენა, კერძოდ კი - ბერიას აგარაკი, სადაც მას ღამის გათევამ მოუწია.

ნატო-ს ყოფილი გენერალური მდივანი მთავარ აქცენტს საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე აკეთებს:

**"საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია და ეს ურთიერთობები აუცილებლად სტაბილური უნდა გახდეს, ეს მთელი მსოფლიოს ინტერესებშია. მთელი მსოფლიო ელოდება, რომ ეს ქვეყნები კრიზისიდან გამოვლენ. ამის შესახებ მე საუბარი სერგეი ივანოვთანაც მქონდა და მიხეილ სააკაშვილთანაც,"** - აღნიშნა რობერტსონმა.

პრეზიდენტი სააკაშვილი ვიზიტის პირველ დღეს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრს ჯეფრი ჰუნს შეხვდა, მოლაპარაკებებისას ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის დეტალები იქნა განხილული. **"ქართველები სამხედრო საქმეს შესანიშნავად ეუფლებიან, მაგრამ ჩვენ გვჭირდება კარგი მასწავლებლები, მრჩევლები; ჩვენ ოფიცრებს სჭირდებათ ინგლისური ენის შესწავლა. ბრიტანელებს სწორედ ამაში შეუძლიათ, დახმარება გაგვიწიონ,"**- განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა შეხვედრის დასასრულს, ქართველ ჟურნალისტებთან საუბრისას. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრთან შეხვედრის დროს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხიც იქნა განხილული. **"საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება - ეს გარდაუვალი პროცესია, იმის მიუხედავად, ზოგიერთ პოლიტიკოსს რუსეთში რა დონეზე გააღიზიანებს ეს ფაქტი,"** - განაცხადა პრეზიდენტმა.

დაბოლოს, საქართველოს პრეზიდენტი და პირველი ლედი ბუკინგემის სასახლეში მიიღო დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალმა ელისაბედ მეორემ. სამეფო კარზე მიღება ყოველთვის მკაცრად რეგლამენტირებულია, დაწყებული საუბრის დროის განსაზღვრით და დამთავრებული სტუმართა ჩაცმულობით. იმის შესახებ, თუ რამდენად სრულყოფილად დაიცვა ეტიკეტი საქართველოს პირველმა წყვილმა, დღეს ბრიტანული პრესა იმსჯელებს. მანამდე კი ბრიტანული გაზეთები მკითხველს საქართველოსა და მის პრეზიდენტს აცნობენ.

# შეტაკებების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს აფრთხილებს

პირველი გვერდიდან

სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის 80 პროცენტს რუსეთის პასპორტები აქვს. საქართველოს ახალი პრეზიდენტის დაპირებამ - დაიბრუნოს კონტროლი რეგიონზე, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა დაძაბა.

გუშინ სააკაშვილმა შეარბილა თავისი პოზიცია და სახელმწიფო კანცელარიასთან შეკრებილ 300 ოსს განუცხადა: "ჩვენ ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა თავი ავარიდოთ კონფლიქტს - გადაეცით ეს თქვენს ნათესავებს".

საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ბრიტანეთი აქტიურად უჭერს მხარს. მიხეილ სააკაშვილმა აჭარაში უკვე მიაღწია წარმატებას. მან განდევნა ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე, რომელიც რეგიონს საკუთარ სამეფოდ მიიჩნევდა.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარების გამოსწორება, სავარაუდოდ, უფრო რთული იქნება. თუმცა, მიხეილ სააკაშვილს დანაპირების შესრულება და რუსეთის პრეზიდენტთან ვლადიმირ პუტინთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება მოუწევს.

გასულ კვირას საქართველოში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ბილ რამელი იმყოფებოდა, რომელმაც კონფლიქტის მოგვარების, კორუფციასთან ბრძოლისა და საპარლამენტო რეფორმების საქმეში ქვეყნის პრეზიდენტს გაერთიანებული სამეფოს მხარდაჭერა აღუთქვა.

ბრიტანეთი განსაკუთრებულად აქტიურად უჭერს მხარს რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს გუდაუთიდან, რომელიც საქართველოსაგან გამოყოფილ რეგიონში - აფხაზეთში მდებარეობს.



REUTERS

*ტონი ბლერმა და მიხეილ სააკაშვილმა სრულ ურთიერთგაგებას მიაღწიეს.*

"ჩვენ მხარს ვუჭერთ სააკაშვილის მოქმედებებს - თქვა რამელმა, - მაგრამ მნიშვნელოვანია, არ ვიყოთ გულუბრყვილონი. მომავალი წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები სერიოზული გამოცდა იქნება, რომელიც თვალსაჩინოს გახდის, თუ რა ტემპით მიმდინარეობს საქართველოში განვითარების პროცესები. მიმაჩნია, რომ ბრიტანეთის მხრივ საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენა სწორია, მაგრამ ჩვენ ამას კონსტრუქციული კრიტიკის გარეშე არ ვაკეთებთ."

საქართველოს სტაბილურობა ძალზე მნიშვნელოვანია დასავლეთისთვის, რომელსაც ეკონომიკური ინტერესი აქვს რუსეთის ახალ "დიდ თამაშში". ეს კი დაკავშირებულია კავკასიაში მშენებარე რამდენიმე მილიარდდოლარიან ნავთობსადენთან, რომელიც კასპიის ნავთობს თბილისის გავლით თურქეთთან აკავშირებს.

საქართველო რეგიონის ცენტრია, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს დასავლეთის ენერგორესურსების მოთხოვნილება, ერაყში გაგრძელებული არეულობისა და საუდის არაბეთის წინააღმდეგ ისლამისტი ტერორისტების შეტევების მუქარის გათვალისწინებით.

"ჩვენ არ ვაპირებთ, საქართველოში ამერიკელების ალტერნატივა ვიყოთ, მაგრამ საქართველოს სტაბილურობა ბრიტანეთის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს," - აღნიშნა ბილ რამელმა.

## ელჩობის ცხრა ახალი კანდიდატი

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი დღეს სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს ელჩების კანდიდატურებს განიხილავს და პარლამენტის რიგგარეშე სესიას წარუდგენს, რომელიც, სავარაუდოდ, 20 ივლისს გაიმართება.

როგორც ჩვენთან საუბარში კომიტეტის ხელმძღვანელმა კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტმა პარლამენტს რუსეთის ფედერაციაში ელჩად ვალერი ჩეჩელაშვილი წარუდგინა; თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს სრულუფლებიან და საგანგებო ელჩად - გრიგოლ მგალობლიშვილი, საფრანგეთში - ნათია ჯაფარიძე, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში - ლევან ასათიანი, ლიტვა-ლატვია-ესტონეთის რესპუბლიკაში - დავით აფციაური, ვატიკანში - ქეთევან ბაგრატიონ-მუხრანელი, იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოში, ლიბანის რესპუბლიკაში, საუდის არაბეთში, ქუვეითსა და გაერთიანებულ არაბთა ემირატებში - ეკა მიქაძე, პოლონეთის რესპუბლიკაში - ზაზა კანდელაკი, რუმინეთსა და მოლდოვას რესპუბლიკაში - ზურაბ ბერიძე.

ამასთან, შუა აზიაში ეკონომიკური მისიით წარდგენილია გიორგი ღუღუნიშვილი, ევროსაბჭოში ელჩად კი ლანა ღოღობერიძის კანდიდატურა განიხილება.

რაც შეეხება ნატო-ში საქართველოს ელჩს, როგორც გახსოვთ, პარლამენტმა უკვე გამოიწვია დავით თევზაძე. კოტე გაბაშვილის განცხადებით კი, ამ თანამდებობაზე ელჩის მოვალეობას დროებით კვლავ შეასრულებს დავით დონდუა.

*24 საათი*

## მერიის წინ მიმდინარე აქციის დარბევის ფაქტზე საქმე არ აღძრულა

1 ივლისს თბილისის მერიასთან "თბილტრანსის" მძღოლებისა და მიწისძვრით დაზარალებულთა აქციის დარბევის ფაქტზე თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე, ჯერჯერობით, არ აღძრულა.

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურორის მირზა დოლიძის განცხადებით, აქციის მონაწილენი საქმისათვის მსვლელობის მიცემით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი.

მოკვლევის პროცესში, ჯერჯერობით, არ გამოკვეთილა აქციის დარბევის ფაქტის უტყუარი მტკიცებულება, მოკვლევის დასრულებამდე კი ერთი კვირაა დარჩენილი. შესაბამისად, არ დამდგარა თბილისის პოლიციის სპეცდანიშნულების რაზმის უფროსის თემურ მღებრიშვილის ან მისი თანამშრომლების პასუხისმგებლობის საკითხი. დოლიძის თქმით, პროკურატურა ცდილობს ტელევიზიებიდან ის კადრები ამოიღოს, რომლებიც დარბევის მომენტს ასახავს.

*მედია-ნიუსი*

## თურქმენეთის ვალი მცირდება

ფინანსთა სამინისტრო ქვეყნის საგარეო ვალის შემცირებას ცდილობს. დღეს ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საფრანგეთში მიემგზავრება, სადაც პარიზის კლუბში, საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხის განხილვა იგეგმება. ვიზიტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია პარიზის კლუბში მონაწილე კრედიტორი ქვეყნების მთავრობების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გამართვა. ნოღაიდელი შეეცდება ვალების რესტრუქტურიზაციაზე სომხეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, ირანი, ყაზახეთი, ავსტრია, რუსეთი, თურქეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და ნიდერლანდები დაითანხმოს.

რესტრუქტურიზაცია შეეხება 2003-2006 წლებში გადასახდელ თანხებს, რომელთა საერთო ოდენობა 196 683 452 აშშ დოლარს შეადგენს. შეგახსენებთ, რომ პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის საკითხის დასმა 2004 წლის 4 ივნისს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭოს მიერ საქართველოში, ფონდის პროგრამის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი. საგარეო ვალებს შორის ყველაზე ბევრი საქართველოს თურქმენეთის ჰმართებს. ამ ქვეყნის მიმართ დავალიანება, ძირითადად, 1993-1994 წლებში საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის გადაუხდელობის გამო დაგროვდა. ორი ქვეყნის მთავრობებს შორის 1996 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით, ვალის ოდენობა 393,5 მილიონი დოლარით განისაზღვრა. თურქმენეთის მიმართ საქართველოს დავალიანება წელს 130 მილიონი დოლარით შემცირდება. ფინანსთა სამინისტროში ვარაუდობენ, რომ ვალის ნაშთი წლის ბოლომდე, სავარაუდოდ, 66,1 მილიონი დოლარი იქნება. ცნობისათვის, დავალიანების გასტუმრების პროცესი საქართველომ 2000 წლიდან დაიწყო. ამ პროცესში ჩართულია რამდენიმე ქართული საწარმო: სს "თბილავიამშენი", სს "ქართული შაქარი" და შპს "თჯ-თრეიდი", რომლებიც ვალის ჩამოსაწერად თურქმენეთს საკუთარ პროდუქციას აწვდიან. დღეისთვის ამ საწარმოებმა უკვე დაფარეს 151,9 მილიონი დოლარის დავალიანება და გადახდილია 28,9 მილიონი დოლარის ჯარიმა. თურქმენეთისთვის შესრულებული სამუშაოების საფასურს ამ საწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტი გრაფიკის მიხედვით ეტაპობრივად უხდის.

*24 საათი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ფქვილის ომი

პირველი გვერდიდან

შიდა ქართლის გუბერნატორის უმადურობის ნიმუშად სამშვიდობო ძალების სარდალი იმ ფაქტსაც ასახელებს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის სახელით, ჰუმანიტარული დახმარება ქართულ სოფლებს ქარელთან ერთად დაურიგა, დღეს კი გუბერნატორი მისგან რაღაც საბუთებს ითხოვს (უბრალოდ, გამაოგნებელია, როდესაც სამშვიდობო ძალების სარდალს იმდენი არ ესმის, რომ რუსეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყნებია და მისი სამშობლოდან შემოტანილი საქონლის მოსახლეობამდე მიტანა განსხვავებულ პროცედურებს მოითხოვს, ვიდრე საქართველოს ერთი რეგიონიდან მეორეში პროდუქციის გადატანა).

ჟურნალისტის კითხვაზე, რუსეთის პრეზიდენტის საჩუქრად მონათლული ტვირთი დარეგისტრირდა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე, ნაბზდოროვი გაოცებას ვერ მალავს: **"რეგისტრირება რა საჭიროა?"** და იქვე, ერთობ უცნაურ შედარებასაც აკეთებს: **"გახსოვთ, იმ ღამეს, როდესაც ქართულმა მხარემ რუსული საბრძოლო მასალა მიითვისა, მეკითხებოდით: გენერალო, სად მიგაქვთ რაკეტები, ვის უნდა ესროლოთო. ახლა რატომ არ მეკითხებით, სად მიმაქვს ფქვილი? თუ მკითხავთ, გიპასუხებთ - ხალხთან მიმაქვს".**

პუტინის ფქვილთან დაკავშირებით ატეხილი აურზაური სრულიად გაუგებრად ეჩვენება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს, რომელიც გუშინ ოპერატიულად გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე.



მიხეილ ქარელი მთელი დღის განმავლობაში შეუვალი იყო და ფქვილის განბაჟებას მოითხოვდა, გივი თარგამაძემ კი რუსეთის ქმედებას მატრაკვეცობა უწოდა.



ნაბზდოროვის აზრით, მიხეილ ქარელი ასე მედგრად ვერ შეეწინააღმდეგებოდა, უკან გავლენიანი თანამდებობის პირი რომ არ ედგეს.

ვახო ბასელიას ფოტოები

**"სიტუაცია ძალიან მარტივია: რუსებმა თავისი ფქვილი, ვისაც უნდათ, იმას აჩუქონ, ოღონდ, ჯერ კეთილი ინებონ და განაბაჟონ. თუ არ განაბაჟებენ, ვისგან რა ბრძანებაც არ უნდა მიიღონ, ტვირთს ვერსად გადააადგილებენ",** - აცხადებს პარლამენტარი, რომელიც იქვე დასძენს, რომ **"რასაც რუსები აკეთებენ, მატრაკვეცობაა".**

ცხადია, ფქვილის გარშემო ატეხილი დავა სასიამოვნო სულაც არ არის, მაგრამ ქართულ სოფლებზე ტყვიებისა და ყუმბარების დაშენას ნამდვილად სჯობია. ბოლო ორი დღეა, ამ მხრივ, ადგილობრივმა მოსახლეობამ ოდნავ ამოისუნთქა. თუმცა, ლიახვის ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი გურამ ვახტანგაშვილი დარწმუნებულია, რომ სიმშვიდე დროებითია. **"ცხინვალში ლევ მირონოვია ჩასული. პლუს, მოსკოვში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა მიმდინარეობს. ოსური მხარე მხოლოდ ამიტომ ერიდება პროვოკაციებს,"** - აღნიშნავს პარლამენტარი. ვახტანგიშვილი დარწმუნებულია, რომ რუსებისგან მხარდაჭერილი ცხინვალის ხელისუფლება იარაღს მალე ისევ ააჟღარუნებს.

არადა, ერგნეთის საგუშაგოზე გატარებული ერთი დღეც საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ კონფლიქტის ზონაში მართლაც ყოველ წუთს შეიძლება დაიძაბოს სიტუაცია. სიტუაციის აფეთქება გუშინაც შეიძლებოდა მომხდარიყო, როდესაც ქართველმა პოლიციელებმა საღამოს ექვს საათზე, საგუშაგოსთან ჩრდილოეთ ოსეთის სანომრე ნიშნებიანი "ნივა" გააჩერეს. მანქანაში იჯდა ოსური სოფლის, არცევის ხუთი პოლიციელი, რომლებსაც ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდათ. ქართველმა სამართალდამცავებმა ოს კოლეგებს პოლიციის განყოფილებაში მისვლა და იქ სიტუაციის გარკვევა შესთავაზეს, რაზედაც ოსმა მილიციელებმა უარი განაცხადეს. ამიტომ, ქართული მხარის წარმომადგენლები იძულებულები გახდნენ, ოსები ძალით ჩაესვათ მანქანაში. ამასობაში, ტრასაზე გამოჩნდა ორი მსუბუქი ავტომანქანა, რომლებშიც ოსური სპეცრაზმის წარმომადგენლები ისხდნენ. ქართველმა ძალოვნებმა მაშინვე საბრძოლო მდგომარეობა მიიღეს, მაგრამ შეტაკებამდე საქმე აღარ მივიდა: ოსებმა მანქანები შეაბრუნეს და ცხინვალის მიმართულებით წავიდნენ. ამასობაში, ქართველებმა დაკავებულ ოს მილიციელებს სატაბელო იარაღი ჩამოართვეს და გაათავისუფლეს.

გივი თარგამაძე ამ ინციდენტს "გაუგებრობით" ხსნის, რაც, მისი განმარტებით, იმან გამოიწვია, რომ **"ოსი მილიციელები ქართველების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში ცოტა ღრმად შემოვიდნენ".**

კონფლიქტის ზონაში ნერვები მხოლოდ ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს როდი აქვთ დაძაბული. სულ პატარა პროვოკაციაა საჭირო, რომ საყოფაცხოვრებო ნიადაგზე დიდი შეხლა-შემოხლა დაიწყოს. მაგალითად, ქართული სოფლების მოსახლეობა ძალიან არის შეწუხებული იმით, რომ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ სარწყავი არხი გადაუკეტა და, ამის გამო, მთელი მოსავალი უფუჭდება. გლეხები მთელი დღე უკან დასდევენ ნაბზდოროვს და ემუდარებიან, კოკოითის ხელისუფლებაზე ზემოქმედება მოახდინოს და სარწყავი არხი გააშვებინოს. თხოვნას შედეგი დღემდე არ გამოუღია...

სხვათა შორის, ქართულ მხარეს ცხინვალზე ზემოქმედების უფრო ძლიერი ბერკეტი აქვს. სწორედ ქართულ სოფლებზე გადის სასმელი წყალი, რომლითაც ცხინვალი მარაგდება. თუმცა, ქართული მოსახლეობა აცხადებს, რომ უკიდურესი ზომების მიღების აუცილებლობა (სასმელი წყლის მიწოდების შეწყვეტა), ჯერჯერობით, არ არსებობს.

## ოსი ეროვნების მოსახლეობის დახმარების პროგრამა

კონფლიქტის მოგვარების საკითხზე სახელმწიფო მინისტრის აპარატში გუშინ, გაერო-ს განვითარების პროგრამის, ევროკომისიის და გაერო-ს ხელშეწყობით, სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთ ზონებში მცხოვრები ოსი მოსახლეობის სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელების საკითხები განიხილეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს კონფლიქტის მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, მსოფლიო დონორი ორგანიზაციების და აპარატის წარმომადგენლებმა ერთობლივად შეისწავლეს მიტარბისა და გუჯარეთის რაიონებიდან, კონფლიქტის პერიოდში წასული ოსი ეროვნების მოსახლეობის დაბრუნების პირობების შექმნის პერსპექტივები.

საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორი ქვეყნები მზად არიან, ასეთ პროექტებში მნიშვნელოვანი ფინანსები დააბანდონ. მათმა წარმომადგენლებმა გაიზიარეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, გოგა ხაინდრავას მოსაზრება, რომ სამცხე-ჯავახეთში, ოსი ეროვნების მოსახლეობის სარეაბილიტაციო პროგრამის რეალიზაციაში, აქტიურად უნდა ჩაერთონ საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, ამასთანავე სამშენებლო სამუშაოებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სარეაბილიტაციო ზონის საკურორტო სპეციფიკა.

შეხვედრაზე განხილული იქნა, აგრეთვე, სამხრეთ ოსეთის, როგორც კონფლიქტით დაზარალებული ზონის, ეკონომიკური რეაბილიტაციისთვის ევროკომისიის მიერ გამოყოფილი 2,5 მილიონი ევროს ათვისების საკიხი.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანხის უმეტესი ნაწილის ათვისება ოსებით დასახლებულ ზონებშია გათვალისწინებული.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ცნობით, აღნიშნული დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით, უკვე შერჩეულია ქართველი და ოსი სპეციალისტები, რომელთაც ერთობლივად უნდა იმუშაონ კონკრეტულ უბნებზე. მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო სამუშაოები სამელიორაციო, გაზის მომარაგების, ენერგეტიკის სისტემებისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენა-მშენებლობას ითვალისწინებს.

არსებულ დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით, მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მიერ ოსური მხარის რიგ წარმომადგენლებთან შეთანხმებისა, პირადად კოკოითს არ სურს ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც ოსურ საზოგადოებას დაანახებს საქართველოს ხელისუფლების რეალურ, მშვიდობიან და მეგობრულ პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის მიმართ.

არსებული პროექტის შედგენა და დონორული სახსრების გამოყოფა მხოლოდ ქართული მხარის კეთილი ნებით გახდა შესაძლებელი.

## ნაბზდოროვის ინტერვიუ

ქართული მხარის მიერ კონტრაბანდის წინააღმდეგ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მოწყობილმა საგუშაგოებმა საქართველოდან ჩრდილოეთ ოსეთში მოძრავი ტრადიციული ტვირთების ნაკადი გადაკეტეს, რაც ეკონომიკურ ბლოკადას ჰგავს, - ამის შესახებ განაცხადა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდალმა სვიატოსლავ ნაბზდოროვმა "როსიისკაია გაზეტასათვის" მიცემულ ინტერვიუში.

ნაბზდოროვის თქმით, კონტრაბანდასთან ბრძოლა, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არა ასეთი მეთოდებით. გენერალმა აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს უფლება არ ჰქონდა, მასთან და შსკ-ს თანათავმჯდომარეებთან შეუთანხმებლად, საკუთარი საგუშაგოები მოეწყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ საგუშაგოებზე ხდება მეორე კოლოფი სიგარეტის ჩამორთმევაც კი, რომელიც უკვე კონტრაბანდად ითვლება. ადრე 50 კილოგრამი ფქვილის გადმოტანა შეიძლებოდა, ახლა კი 2 კილოგრამისაც შეუძლებელია. ამასთან, ჩამორთმევა ხდება ყოველგვარი პროტოკოლის გარეშე და, ფაქტობრივად, ჩამორთმეული ტვირთის მითვისებას აქვს ადგილი, - აღნიშნა ნაბზდოროვმა.

ნაბზდოროვი ცხინვალის რეგიონში დაძაბულობის მიზეზად საქართველოს ნატო-ში შესვლის სურვილს მიიჩნევს. ამის შესახებ მან "როსიისკაია გაზეტასათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. გენერლის თქმით, ამ ორგანიზაციაში საქართველოს მიღების ერთ-ერთი პირობა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამოიძახა თავისი ძალოვნები და უთხრა მათ: "აი, თქვენ ფული, ხელისუფლება და გააკეთეთ ისე, რომ პრობლემები არ იყოს".

## მოკლედ

**თბილისი.** ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების კონტინგენტის გეგმური შემოწმება დაიწყო. მონიტორინგი რამდენიმე დღეს გაგრძელდება და მისი მიზანია, არ მოხდეს სამშვიდობო მანდატის გადაჭარბება და რეგიონში დამატებითი სამშვიდობო ძალების შეყვანა. ეუთო-ს მისიამ შემოწმება ტყვიავისა და ვარიანის საგუშაგოებით დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლების სამართალდამცავთა მიერ ტყვედ აყვანილი სამი ქართველი პოლიციელი წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა მოინახულეს. წითელი ჯვრის წარმომადგენლები შეისწავლიან დაკავებულთა ჯანმრთელობას და დააზუსტებენ რუსეთის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ერთ-ერთი დაკავებული ქართული მხარისთვის გადაცემაზე უარს აცხადებს და ცხინვალში გასამართლებას მოითხოვს. საქმე ეხება დაკავებულ სურმავას, რომლის პირადი საქმითაც საქართველოს უშიშროების სამინისტრო დაინტერესდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განაცხადა სამხრეთ ოსეთში რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს ავტოკოლონის დაკავებასთან დაკავშირებით. საგარეო პოლიტიკურმა უწყებამ კოლონის დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. "სახეზეა არსებული შეთანხმებების, კერძოდ, 1992 წლის 24 ივნისს სოჭში რუსეთის და საქართველოს ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილი ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების პრინციპების შესახებ საბაზო შეთანხმების დარღვევა," - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. **ინტერ-პრესი**

*ინფორმაციები მოამზადა ნინო გომართელმა*

PSP ფარმაცევტული კომპანია „პე-ეს-პე"
აცხადებს კონკურსს
პსპ გაყიდვის მენეჯერის ვაკანსიაზე
უმაღლესი განათლების მქონე 35 წლამდე ასაკის მამაკაცების საყურადღებოდ
ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით 19 ივლისამდე ტელ: 91 11 01; 94 23 14;

# კრემლს ერთადერთი უფროსი ჰყავს

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

**"ჩვენი ურთიერთობები კონფლიქტური სიტუაციების მძევალი არ უნდა იყოს,"** - ასე ჟღერდა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის მთავარი ფრაზა რუს კოლეგა იგორ ივანოვთან შეხვედრაზე. ივანოვმა, თავის მხრივ, რწმენა გამოთქვა, რომ მხარეები, შერეული საკონტროლო კომისიის ფორმატში აუცილებლად მოძებნიან პოლიტიკური დარეგულირების გზებს.

რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა პოლიტიკური ხასიათის განცხადებებიდან, ჟურნალისტების გასაგონად წარმოთქვა: **"სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი დღეს არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნაწილი."** ივანოვმა დააკონკრეტა, რომ რუსეთი მზადაა საქართველოსთან ურთიერთობაში ცივილიზებული მეთოდების გამოსაყენებლად.



გელა ბეჟუაშვილის და იგორ ივანოვის ერთობლივი ბრიფინგი კრემლში.

შეკითხვაზე, აგებს თუ არა პასუხს რუსეთი კონფლიქტის ზონაში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასულ დაქირავებულებსა და მოხალისეებზე, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა უპასუხა, რომ რუსეთის კონსტიტუციით ისჯება დაქირავებულების ინსტიტუტი; კონფლიქტის ზონაში მოხალისეების ყოფნის აუცილებლობა არ არის და მხარეებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ ასეთი ქმედებების აღსაკვეთად.

ერთობლივ ბრიფინგზე ბეჟუაშვილმა და ივანოვმა ჟურნალისტებს აუწყეს, რომ ოთხმხრივი კომისიის სხდომაზე გაირკვევა ყველაფერი - რუსეთის ტერიტორიიდან ოსების დასახმარებლად გადასული ბოევიკების, რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტის მანდატის შეცვლის და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

**"ქართული მხარე თავისი წინადადებების პაკეტით ჩამოვიდა. სამხედრო ესკალაცია არ შედის საქართველოს ინტერესებში,"** - განაცხადა გელა ბეჟუაშვილმა და დასძინა, რომ რუსეთმა არ უნდა დაუშვას ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოევიკების კონცენტრაცია. ივანოვმა ამას ათასგზის გატკეპნილი ფრაზა შეაგება, მოსკოვის მიერ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარებით.

კატარის ტელეარხ "ალ ჯაზირას" მოსკოვის ბიუროს შეფი აკრამ ხაზამი დაინტერესდა, თუ როდის გაფრინდება ივანოვი ცხინვალში სპეცრეისით, კოკოითის მოსკოვში ჩამოსაყვანად. ბატონმა ივანოვმა ჯერ სერიოზული და გაკვირვებული სახით განაცხადა, ცხინვალში სპეცრეისები არ ჯდება, იქ აეროდრომი არ არისო. შემდეგ კი უკვე ღიმილით უპასუხა - ეს შეკითხვა მე არ მეხებაო. ამით ივანომა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ კრემლს ერთადერთი უფროსი ჰყავს. უფრო ადრე კი ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ამოსავალი წერტილი პუტინ-სააკაშვილის სატელეფონო საუბრებისა თუ შეხვედრებისას გაჩენილი დადებითი იმპულსი უნდა იყოს.

ივანოვ-ბეჟუაშვილის ბრიფინგის შემდეგ მხარეებმა მოლაპარაკებები გააგრძელეს. ჟურნალისტები კი კრემლის სპასკის ჭიშკრიდან გააცილეს. გასვლამდე თვალში მოგვხვდა რკინის ალაყაფის გასწვრივ გაბმული ხაკისფერი მსხვილი ბადე. ყურადღება მივაქციეთ, რომ შემოსვლისას ეს ორიგინალური კონსტრუქცია არ დაგვხვედრია. ერთი უცხოელი კორესპონდენტის შენიშვნას - თურმე კრემლის ეზოშიც კი ტერორისტების ეშინიათო, "კრასნაია ზვეზდას" კორესპონდენტმა კომენტარი მოაყოლა: სინამდვილეში, ამ "ბადეს" უახლესი მოდელის ტანკის შეჩერებაც შეუძლია, ღმერთმა დაიფაროს და, ტერორისტული შეტევის შემთხვევაშიო. მოსკოვში ღამდებოდა და კრემლთან უკვე ავტომატებით შეიარაღებული დაცვაც გამოჩნდა.

IFC International Finance Corporationa Member of the World Bank Group

საააქციო საზოგადოებების ხელმძღვანელობის საყურადღებოდ!

**საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი** აცხადებს კონკურსს სააქციო საზოგადოებებისათვის, კორპორაციული მართვის დანერგვის პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.

კორპორაციული მართვა ესაა სისტემა, რომლის მეშვეობითაც კომპანიის მართვა და კონტროლი ხორციელდება. საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის კორპორაციული მართვის გაუმჯობესების კომპონენტი მიმართულია ქართული საწარმოების გაჯანსაღებასა და მათ მიერ დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობის შექმნაზე. პირველ ეტაპზე შეირჩევა 5 სააქციო საზოგადოება. შერჩეული სააქციო საზოგადოებები პილოტურ პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ შეძლებენ:

კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას;
გაზრდილი ქონების ღირებულების, გუდვილის, საზოგადოების აქციების ღირებულების ხარჯზე სარგებლის მიღებას;
დივიდენდების გაზრდას / გაცემას;
გარეშე ფინანსირებაზე გასვლას (კაპიტალის ბაზრები);
შრომითი რესურსების მოზიდვას (მმართველები და თანამშრომლები);
სამუშაო ადგილების ზრდასა და ზოგადად ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მსურველი სააქციო საზოგადოება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
1. კომპანია უნდა იყოს რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებად;
2. კომპანიაში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.

დამატებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ დაუკავშირდეთ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტს შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ი. ჭავჭავაძის I ჩიხი, 5ა.
ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96
ფაქსი: 91 34 80
პილოტური პროგრამის პირველი ეტაპის დახურვის თარიღია ა.წ. 16 ივლისი.

# ევროკავშირმა ევროდისციპლინას მოჰკიდა ხელი

*ევროკავშირის განცხადებით, ევროდისციპლინის დაცვა მისი წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულოა. აქედან გამომდინარე, გერმანიას და საფრანგეთს საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა ძვირად დაუჯდება - ევროკავშირი მათ მიმართ სანქციების გატარებას აპირებს.*

დიანა ჩაჩუა

გასული წლის ნოემბერში ევროკავშირის ფინანსთა მინისტრთა საბჭომ აღიარა გერმანიის და საფრანგეთის მიერ სტაბილურობის და ზრდის პაქტის დარღვევა, მაგრამ მათი მიმართულებით სანქციები არ გაუტარებია. თუმცა, ამ დღეებში ევროკავშირის სამართლიანობის სასამართლომ ეს გადაწყვეტილება გააუქმა.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში ნახსენებია, რომ ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებს არ შეუძლიათ არ დაეთანხმონ პაქტით დადგენილ წესებს, და რომ საბიუჯეტო დისციპლინის შესრულების შესახებ პასუხისმგებელნი, ძირითადად, ფინანსთა მინისტრები არიან.

აღნიშნული პაქტი ევროკავშირის ურჩი ქვეყნებისთვის ჯარიმებს ითვალისწინებს. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ სწორედ საფრანგეთი და გერმანია, თუმცა რას უქადის ურჩებს ევროკავშირის სანქციები, ჯერჯერობით, ცნობილი არ არის.

ცნობისათვის, გერმანიაში და საფრანგეთში ბიუჯეტის დეფიციტი უკვე მესამე წელია, აღნიშნულ ზღვარს აღემატება. მაგალითისთვის, საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 3,1 პროცენტს შეადგენს.

ევროკავშირის ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ წელს იტალიამ და პორტუგალიამაც დაარღვიონ პაქტის ნორმები. განსაკუთრებული პრობლემები ექმნებათ ევროკავშირის ახალწევრულებს. 10-დან ექვსი ახალწევრული უკვე არ აკმაყოფილებს პაქტის კრიტერიუმებს.

ივნისში ევროკომისარმა ეკონომიკის საკითხებში ხოაკინ ალმუნიამ აღნიშნა, რომ პაქტის პირობები საკმაოდ მკაცრია და მათი შესაძლო გადახედვის თაობაზე განაცხადა. თუმცა, შედეგი სახეზეა - ცვლილებები არ არის.

უნდა აღინიშნოს, ბევრი ეკონომისტი აცხადებდა და აცხადებს კიდეც, რომ პაქტის წესები ინფლაციასთან ბრძოლისკენ არის მიმართული და რომ დოკუმენტი ცუდად მუშაობს ქვეყნის ნელი განვითარების ტემპის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრი საბიუჯეტო დისციპლინის მთავარი მოწინააღმდეგეები სწორედ ის ქვეყნები არიან, რომელთაც დიდი ბიუჯეტი გააჩნიათ და რომელთა ეკონომიკაშიც სახელმწიფოს როლი დიდია.

განხვავებულია შედარებით ლიბერალური ქვეყნების, მაგალითად, ჰოლანდიის პოზიცია, რომელიც დაჟინებით აცხადებს, რომ საბიუჯეტო დისციპლინის შესუსტება ერთიანი ევროპის პირობებში მათ არანაირ სიკეთეს არ მოუტანს.

# რკინიგზამ ნავთობის მსხვილ გადამზიდავებს შეღავათები დაუწესა

*"საქართველოს რკინიგზამ", შუა აზიიდან ტვირთების მოზიდვისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ახალი - "მოცულობითი შეღავათიანი ტარიფები" შემოიღო. ივლისიდან მსხვილი გადამზიდავები (ოთხი ტონა და მეტი) ერთი დოლარით გაიაფებული ტარიფით იმუშავებენ.*



ვახო ბესელიას ფოტო

*ონოფრიშვილის განმარტებით, შუა აზიაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ტარიფის შემცირებაზე სულ უფრო ინტენსიურად მუშაობენ და ამიტომ, აუცილებელი იყო ადეკვატური რეაგირება, რაც პირველ ეტაპზე მსხვილი გადამზიდავების მოზიდვის მიზნით დამატებითი შეღავათიანი ტარიფის შემოღებაში გამოიხატა.*

სოფიკო ოხანაშვილი

ივლისის ბოლოსთვის ძალაში შევა "საქართველოს რკინიგზის" გენერალური დირექტორის ბრძანება, რომლის თანახმადაც, გადამზიდავი, რომელიც ოთხ მილიონ ტონაზე მეტი ნავთობისა და ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებას განახორციელებს, ერთი ტონა ნავთობის გადაზიდვისთვის, ექვსის ნაცვლად, ხუთ დოლარს, ხოლო ერთი ტონა ნავთობპროდუქტის ტრანსპორტირებისთვის, რვა დოლარის მაგივრად, შვიდ დოლარს გადაიხდის. ახალი შეღავათებით სარგებლობისთვის მსხვილმა გადამზიდავებმა ნავთობის ან ნავთობპროდუქტების გადაზიდვის უზრუნველყოფაზე პირველი კლასის საბანკო და სადაზღვევო გარანტიებიც უნდა წარადგინონ. რკინიგზის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ მსხვილი გადამზიდავებისათვის დაწესებულმა შეღავათებმა, შესაძლოა, წვრილ-წვრილი გადამზიდავების გაერთიანებაც გამოიწვიოს.

რკინიგზის გენერალური დირექტორის დავით ონოფრიშვილის განმარტებით, ყველა აქამდე მოქმედი ტარიფი უცვლელია: ჩვეულებრივი ტარიფი ანუ ერთ მილიონ ტონამდე მოცულობის გადაზიდვისას ერთი ტონა ნავთობის ტრანსპორტირება 8,93 დოლარი, ხოლო ტონა ნავთობპროდუქტისა - 8,68 დოლარი ღირს. უცვლელია წინა ადმინისტრაციის დროს ამოქმედებული მოცულობითი ტარიფიც - მიმდინარე წლის მარტში მილიონ ტონაზე მეტის გადამზიდავებს მათთვის დაწესებული შეღავათები ერთი დოლარით შეუმცირდათ (ნავთობი: რვა დოლარი - შვიდის ნაცვლად), ნავთობპროდუქტი: ექვსი დოლარი - ხუთის ნაცვლად).

მოცულობითი ტარიფის გაძვირებამ საქართველოს გავლით ტვირთების მოძრაობა საგრძნობლად შეამცირა. ამას დაემატა აჭარაში განვითარებული მოვლენებიც.

აჭარაში შექმნილი არასტაბილური მდგომარეობის გამო, გადამზიდავებმა სხვა გზების ძიება დაიწყეს (კერძოდ, ირანის გზით დაიწყეს ტვირთების გადატანა). რეგიონის არასტაბილური პოლიტიკური ვითარება და გადაზიდვების სატარიფო პოლიტიკა "საქართველოს რკინიგზას" ძვირი დაუჯდა. კლიენტების დაკარგვასთან ერთად, დეპარტამენტის შემოსავლები მკვეთრად შემცირდა. რამდენიმე თვის განმავლობაში რკინიგზამ მილიონობით ლარი დაკარგა. აჭარაში სიტუაციის დარეგულირების მიუხედავად, რკინიგზის დეპარტამენტის ინფორმაციით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა პროგრესულად მცირდება.

მიმდინარე წლის ექვსი თვის ოფიციალური მონაცემებით, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტვირთბრუნვა 800 ათასი ტონით ნაკლებია შარშანდელ ექვსთვიან პერიოდთან შედარებით. ონოფრიშვილის განმარტებით, თუ კლების ტენდენცია გაგრძელდა, წინა წელთან შედარებით, გატარებული ტვირთების მოცულობა წელს 2,5 მილიონი ტონით ნაკლები იქნება.

საქართველოში ტვირთბრუნვის შემცირების პარალელურად, შუა აზიაში სულ უფრო ინტენსიურად მუშაობენ ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვის ტარიფის შემცირებაზე. ონოფრიშვილის განმარტებით, აუცილებელი იყო ადეკვატური რეაგირება, რაც საქართველოს რკინიგზამ პირველ ეტაპზე მსხვილი გადამზიდავების მოზიდვის მიზნით დამტებითი შეღავათიანი ტარიფის შემოღებით გააკეთა. ონოფრიშვილის განმარტებითვე, ეს არ არის **"რაღაც განსაკუთრებული ნაბიჯი"**, არ არის გამორიცხული, რომ საშეღავათო პოლიტიკა მომავალში უფრო ლიბერალური გახდეს. **"მეზობელ რეგიონებში გამოკვეთილ ტენდენციებზე შესაბამისი რეაქცია თუ არ გააკეთე, შეიძლება ბაზარი საერთოდ დაკარგო"**, - აცხადებს ონოფრიშვილი. მისივე თქმით, უახლოეს მომავალში რკინიგზის დეპარტამენტი მშრალი ტვირთების გადაზიდვის ტარიფის ლიბერალიზაციასაც გეგმავს.

# ჩვენი ენერგეტიკის რეაბილიტაციაში ირლანდიელებს გერმანელები დაეხმარებიან

*საქართველოს ენერგეტიკის სექტორის დონორები დარგის ფინანსურ ინექცირებას განაგრძობენ. ჯერჯერობით, წლების წინ გამოყოფილი და მოგვიანებით გაყინული კრედიტების ათვისება გრძელდება. ამ ორი წლის წინ დაწყებული "საბითუმო ბაზრის" მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში, გუშინ გერმანულ კომპანია "ლამეიერ ინტერნეიშენალთან" "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ირლანდიელმა მმართველმა "ი-ეს-ბი-აიმ" ოფიციალურად გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გერმანელები ირლანდიელებს საქართველოს ენერგოსისტემის რეაბილიტაციის პროცესში კონსულტაციებს გაუწევენ.*

მაია ურუშაძე

"ლამაიერ ინტერნეიშენალი" "ი-ეს-ბი-აის" საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროეტის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებაში დაეხმარება. "ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მხარდამჭერი პროექტი" მსოფლიო ბანკმა 2001 წლის დასაწყისში დააფინანსა, თუმცა პარლამენტმა ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიკაცია მხოლოდ გასული წლის აპრილში მოახდინა. პროექტს მსოფლიო ბანკთან ერთად, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (KFW) აფინანსებს.

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოების შემსრულებელთა მოძიების მიზნით, "ლამაიერ ინტერნეიშენალი" ახალ ტენდერს გამოაცხადებს და პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებასაც თავად მოამზადებს. მისი დახმარებით მოძიებულმა ფირმამ ქვეყნის ენერგოსისტემის ცენტრალურ სადისპეტჩეროში უახლესი სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგია - ე.წ. "სკადას" სისტემა უნდა დანერგოს. გარდა ამისა, უნდა განახორციელოს მაღალი ძაბვის ქვესადგურების გამრიცხველიანება და სისტემაში კავშირგაბმულობის რეაბილიტაციაც.

"ლამაიერ ინტერნეიშენალთან" გაფორმებული კონტრაქტის მოცულობა 1,3 მილიონ ევროს შეადგენს. პროექტის ხანგრძლივობა 31 თვეა. ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის შეფასებით, ის "ენერგოსისტემის მართვის პროცესს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს".

ახალ კონსულტანტს "სახელმწიფო ელექტროსისტემა" გადახალისებული მენეჯმენტითა და ოპტიმიზებული საკადრო შემადგენლობით შეხვდება. ჯერ ერთი, კომპანიის რეორგანიზების შემდეგ "სახელმწიფო ელექტროსისტემიდან" "ი-ეს-ბი-აიმ" 1400 თანამშრომელი დაითხოვა და მხოლოდ 2700-მდე სპეციალისტი დატოვა. მეორეც - კომპანიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. "ელექტროსისტემის" ირლანდიელი გენერალური დირექტორი ბრაიან ქრონლი ამ თანამდებობაზე ასევე ირლანდიელმა, ჯო კორბეტმა შეცვალა.

უკვე ძველი გენერალური დირექტორის, ბრაიან ქრონლის მტკიცებით, ირლანდიელმა მენეჯერებმა კადრების ოპტიმიზაცია ქვეყნის შრომითი კანონმდებლობის სრული დაცვით განახორციელეს და სამსახურიდან დათხოვნილებს, სახელფასო დავალიანების გარდა, კომპენსაციებიც დაურიგეს. რეორგანიზაციისა და სახელფასო დავალიანებების გასტუმრებისათვის "ელექტროსისტემამ" 7,2 მილიონი ლარი მსოფლიო ბანკისაგან მიიღო.

მიუხედავად ამისა, კომპანიას დავალიანებები ბლომად დარჩა, კრედიტორები კი კომპანიას დღემდე ედავებიან. მსოფლიო ბანკის მიერ შერჩეულმა სააუდიტორო ფირმამ "ბეიკერ ტილიმ" "სახელმწიფო ელექტროსისტემა" გადახდისუუნარო კომპანიად ჯერ კიდევ 2002 წელს გამოაცხადა. მისი დასკვნის საფუძველზე, კომპანიის ირლანდიელმა მენეჯერებმა "სახელმწიფო ელექტროსისტემა" გადახდისუუნაროდ ოფიციალურად გამოაცხადეს და რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანის თხოვნით სასამართლოსაც თავად მიმართეს.

კომპანიის ირლანდიელი მენეჯერების სარჩელი ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ 2004 წლის 9 ივლისს დააკმაყოფილა: მან "სახელმწიფო ელექტროსისტემის" საბანკროტო პროცედურა შეაჩერა და კომპანიას 18-თვიანი სარეაბილიტაციო ვადა მისცა. "ამ ვადაში კომპანია სარეაბილიტაციო რეჟიმში იმუშავებს და შესაძლებლობა ექნება, ფინანსურად ძლიერ საწარმოდ გარდაიქმნას," - დარწმუნებულია "სახელმწიფო ელექტროსისტემის" უკვე ყოფილი გენერალური დირექტორი ბრაიან ქრონლი.

შეგახსენებთ, რომ "ელექტროსისტემის" ვალების უმრავლესობას ენერგეტიკის დარგის მესვეურები ეჭვქვეშ აყენებენ. ამიტომაც, ამ ვალების წარმოშობის ისტორიების შესასწავლად დონორებმა საგანგებო სააგენტოს შექმნას დაუჭირეს მხარი და ამ უწყების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი თანხებიც თავად გაიღეს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკის მინისტრი კახა ბენდუქიძე საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას დღეს ოფიციალურად დაამტკიცებს. მისი თქმით, საწარმოების პრივატიზების პროცესი კვირის ბოლოდან დაიწყება და 1,5 წელიწადში მთლიანად დასრულდება. ე.წ. სტრატეგიულ ობიექტებზე, როგორიცაა "საქართველოს რკინიგზა", ენერგეტიკა, აეროპორტები და ფოსტა - თანდათანობითი პრივატიზაცია განხორციელდება, ანუ მოხდება ე.წ. "კონსერვატული" გაყიდვა. გარდა ამისა, შემოვა პრივატიზების ახალი ფორმა "საერთაშორისო გაყიდვა", რომელიც აუქციონის და პირდაპირი მიყიდვის პრინციპებს გააერთიანებს. პირველ პრივატიზაციას ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ტურისტული ობიექტებით დაიწყებს. მინისტრის თქმით, დღევანდელი მდგომარეობით, სახელმწიფო წილს 1 800 სააქციო საზოგადოებაში ფლობს, სადაც 180 000 ადამიანია დასაქმებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" წარმომადგენლებმა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წინ, მინისტრ კახა ბენდუქიძის წინააღმდეგ საპროტესტო აქცია გამართეს და გააპროტესტეს ბენდუქიძის ინიციატივა საქართველოში "ყველაფრის გაყიდვის" შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსახლეობის მიერ გარე განათების ბოძებიდან დენის დატაცების აღმოფხვრის მიზნით თბილისის პრემიერმა ბიძინა ბრეგაძემ შესაბამისი სამსახურებისთვის სპეციალური განკარგულება გასცა. ეს გადაწყვეტილება მან გუშინ, "თელასის" გენერალურ დირექტორთან დანგირას მიკოლაიუნასთან გამართული შეხვედრის შემდეგ მიიღო, რომელზეც ასევე "თელასის" მომავალი ზამთრისათვის მზადების საკითხები განიხილეს. როგორც პრემიერმა აღნიშნა, თბილისში გარე განათების ქსელიდან ელექტროენერგიის დატაცებას საკმაოდ მასობრივი ხასიათი აქვს, რითაც ქალაქის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად ზარალდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარნეულის რაიონის სოფლების ლემშვენიერასა და ლელამხის მოსახლეობა საქართველოს მაგისტრალური გაზსადენიდან წელიწადში 10 მილიონი ლარის ბუნებრივ აირს იტაცებს. გუშინ გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ არალეგალურად გაყვანილი მილსადენის გადაჭრა ვერ მოახერხა. ადგილობრივმა მოსახლეობამ მილსადენის გადასაჭრელად მისულ სპეციალისტებს წინააღმდეგობა გაუწია და სადამსჯელო ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა არ მისცა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების გაზრდის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოში ისრაელის საელჩოსა და ისრაელის საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის "მაშავის" მხარდაჭერით, თბილისის მერიაში გაიხსნა სემინარი: "ქალთა წვლილი მცირე ბიზნესის განვითარებაში". მისი მიზანია საქართველოში მცხოვრებ ქალთა მომზადება მცირე ბიზნესის განვითარებისა და მართვის საკითხებში. სემინარი 16 ივლისამდე გაგრძელდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი მოსკოვში ორდღიანი ვიზიტის დროს, სხვა ეკონომიკურ საკითხებთან ერთად, აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენის პერსპექტივებზეც იმსჯელებს. "ივლისის ბოლოს ოფიციალური ვიზიტით საქართველოში უნდა ჩავიდე. მოსკოვში კი შევეცდები, რუსეთის პოზიცია დავაზუსტო და სარკინიგზო მონაკვეთის სამმხრივი ან ოთხმხრივი ექსპლუატაციის საკითხის განხილვა ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი",- აცხადებს სომხეთის პრემიერ-მინისტრი. **მედია-ნიუსი**

# "საქართველოს ბანკის" საერთაშორისო ცნობადობა კვლავ იზრდება

2004 წლის 28-29 ივნისს მიუნხენში ჩატარდა საბანკო კონფერენცია თემაზე "ვაჭრობის დაფინანსების შესაძლებლობები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში". კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ ისეთი ცნობილი საფინანსო ინსტიტუტები, როგორიცაა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), ბანკირების საერთაშორისო ფორუმი (IBF), KFW, კოფასი (COFACE) და სხვა ცნობილი ორგანიზაციები.

კონფერენციის მუშაობაში სხვა ცნობილი ბანკების გვერდით მონაწილეობას იღებდა "საქართველოს ბანკი", რომელიც საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის თამარ ხიზანიშვილის სახით იყო წარმოდგენილი, რომელმაც სპეციალური მოხსენება წაიკითხა ვაჭრობის დაფინანსების განვითარების შესაძლებლობებისა და ტენდენციების შესახებ. კონფერენციაზე ქართული ბანკებიდან მიწვეული იყო მხოლოდ "საქართველოს ბანკი", როგორც ლიდერი ადგილობრივ ბაზარზე ვაჭრობის დაფინანსებაში.

"კონფერენციის შემდეგ "საქართველოს ბანკის" მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაიზარდა, ვინაიდან ჩვენს უცხოელ პარტნიორებს კვლავ მივაწოდეთ ინფორმაცია ბანკის წარმატებებისა და ავტორიტეტის, აგრეთვე ჩვენი ბანკისთვის EBRD-ის მიერ მონიჭებული ჯილდოს შესახებ, რომლითაც "საქართველოს ბანკი" ვაჭრობის დაფინანსების მხრივ 2003 წლის საუკეთესო ბანკად დასახელდა", - ამბობს "საქართველოს ბანკის" საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი თამარ ხიზანიშვილი.

ვაჭრობის დაფინანსებისა და დოკუმენტური ოპერაციების წარმოების მხრივ "საქართველოს ბანკში" არსებული პრაქტიკა მაქსიმალურად ოპერატიულს, მარტივსა და ეფექტურს ხდის კლიენტების მომსახურებას, რაც ხელს უწყობს სხადასხვა პროფილის კომპანიებს ეფექტურად აწარმოონ საქმიანობა.

1999 წელს "საქართველოს ბანკი" შეუერთდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვაჭრობის ხელშეწყობის პროგრამას (Trade Facilitation Program –TFP). თავდაპირველად ამ კუთხით ჩასატარებელი ოპერაციებისათვის 3 მილიონი ევროს ოდენობის საკრედიტო ლიმიტი იქნა დაშვებული, რაც 2003 წელს 7 მილიონ ევრომდე გაიზარდა.

"საქართველოს ბანკი" 1996 წლიდან აქტიურად არის ჩართული ვაჭრობის დაფინანსების საქმიანობაში, რაშიც იგი ოპტიმალურად იყენებს როგორც თავის რესურსულ ბაზას, ისე უცხოური საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილ საკრედიტო ხაზებს, როგორიცაა ზემოთ აღნიშნული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვაჭრობის ხელშემწყობი პროგრამა 7 მილიონი ევროს ოდენობით, მოკორესპონდენტო ბანკების მიერ დამტკიცებული ლიმიტები და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის საკრედიტო ხაზი 3 მილიონი დოლარის ოდენობით.

"საქართველოს ბანკისთვის" საკრედიტო ხაზები ასევე გახსნილი აქვთ გერმანიის საინვესტიციო კომპანიას (DEG), გერმანიის AKA ბანკს, "კომერცბანკს", ჩეხეთის საექსპორტო ბანკს, Sache and Unicredito Italiano S.p.A-ის და სხვა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან "საქართველოს ბანკის" წარმატებული თანამშრომლობის შედეგია ისიც, რომ პირველად საქართველოში დოკუმენტური ოპერაციების დაზღვევას "საქართველოს ბანკისთვის" ახორციელებს ცნობილი გერმანული სადაზღვევო კომპანია "ჰერმესი".

მამუკა კახნიაშვილი
"საქართველოს ბანკის" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი



**სურათზე:** ბერნდ ჰეიმანსი - გერმანიის საინვესტიციო კომპანიის (DEG) კოორდინატორი; თამარ ხიზანიშვილი - "საქართველოს ბანკის" საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; რუდოლფ პუცი - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უფროსი ბანკირი

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**15 ივლისს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
თამარ მეფის გამზირის (ნაწილობრივ), თევდორე მღვდლის, ჩუბინაშვილის, კაპანაძის, მეუნარგიას, ვეშაპურის, ცოტნე დადიანის (ნაწილობრივ), ზაზიშვილის, აფხაზეთის, მამრაძის, სარკინეთის, ქინქლაძის, ჩიტაიას, თეთნულდის, გროზნოს, ქინქლაძის, პალიასტომის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**15 ივლისს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ირაკლი აბაშიძის(ნაწილობრივ), არაყიშვილის, მცხეთის, რადიანის, ტიციან ტაბიძის(ნაწილობრივ), აბაშელის, რაზმაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

## ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს პლასტმასის და თითბერის მილყელის მოწოდებაზე:

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ საქონელი უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.

დაინტერესებულ ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება
შეუძლიათ 2004 წლის 19 ივლისამდე; მისამართი:
თბილისი, ვანის ქუჩა N3, მე-3 სართული, კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილება.
ტელ: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 ივლისი.

# ჩეჩნეთი - რუსეთის მოურჩენელი იარა

## დაღუპულთა რიცხვი გუშინ კიდევ გაიზარდა

*ჩეჩნეთის ომი, ან ანტიტერორისტული კამპანია, როგორც მას რუსები უწოდებენ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში წამყვან პოზიციებს კვლავაც ინარჩუნებს. დღე არ გავა რუსული ტელევიზიით, სისხლიანი შეტაკებებისა და დაღუპული ან დაჭრილი ადამიანების ამსახველი კადრები არ გავრცელდეს.*

ჩეჩნეთის მეორე კამპანია 1999 წელს დაიწყო და უკვე 13 ათასამდე (!) რუსი ჯარისკაცი ემსხვერპლა. ასეთ მონაცემებს ავრცელებს "ეხო მოსკვი"-სთან ინტერვიუში "რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტების საბჭო"-ს პასუხისმგებელი მდივანი ვალენტინა მელნიკოვა. აღსანიშნავია, რომ ეს ციფრი მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსეთის არმიის ოფიციალური ცნობებისაგან, თუმცა, ამ ფაქტს თავად მელნიკოვა იმით ხსნის, რომ ჩეჩნური კამპანიის მსხვერპლთა შორის, არამარტო ბრძოლის ველზე დაღუპულებს, არამედ, შემდგომში, საავადმყოფოებში ჭრილობებისაგან გარდაცვლილებსა და ჩეჩნეთში სამსახურის დროს თვითმკვლელობის მსხვერპლსაც განიხილავენ. შესაძლოა, მავანმა იფიქროს, რომ ეს ციფრები მხოლოდ შვილმკვდარი დედების ფანტაზიის ნაყოფია. თუმცა მელნიკოვა კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი ეყრდნობა სოციალური დახმარების სამსახურის სტატისტიკას, ანუ ყველაზე სარწმუნო წყაროს.

შთამბეჭდავი ციფრებია, ვერაფერს იტყვი. და ეს მაშინ, როცა ჩეჩენთა შორის მსხვერპლი ბევრად აღემატება ამ ციფრს. ამის შემდეგ სრული უაზრობაა მტკიცება, რომ ჩეჩნეთში ომი დასრულდა და ახლა მხოლოდ აღმშენებლობითი სამუშაოებია გაჩაღებული. აი გუშინაც, კიდევ ერთი ბრძოლის ქრონიკა გადაიცა რუსული საინფორმაციო საშუალებებით.

ჩეჩნეთის შალის რაიონში, დასახლებულ პუნქტ ავტურისთან ბრძოლებში ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის მინიმუმ 18 თანამშრომელი დაიღუპა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ჩეჩნეთის მთავრობის პირველმა ვიცე-პრემიერმა რამზან კადიროვმა (ჩეჩნეთის დაღუპული პრეზიდენტის ვაჟი) აცნობა. მისი თქმით, ჩეჩენი სეპარატისტების შეიარაღებულ რაზმსა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს შორის ბრძოლა ჯერ კიდევ ორშაბათს დილით დაიწყო. თუმცა, რუსული არტილერიის საქმეში ჩართვის შემდეგ საღამომდე შეწყდა. იმავე საღამოს იგივე ჯგუფსა და ამჯერად უკვე ჩეჩნეთის პრეზიდენტის პირად დაცვას შორის სასტიკი ბრძოლა დილამდე გაგრძელდა. "რია ნოვოსტი" რუს სამხედროებზე დაყრდნობით 24 ჩეჩენი მებრძოლის ლიკვიდაციის შესახებ იტყობინება. გუშინ, ამავე რაიონში შეიარაღებულ ჩეჩენთა ჯგუფთან შეტაკებისას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ერთი მებრძოლიც დაიღუპა.

საოცარია, მაგრამ რუსეთი და ის ჩეჩნები, ვინც რუსების მხარეზე გამოდიან, მასშტაბური დანაკარგების მიუხედავად, მშვიდობის დასამყარებლად მოლაპარაკებების გაგრძელებას სულაც არ აპირებენ. გუშინ გავრცელდა ჩეჩნეთის პრორუსული სახელმწიფო საბჭოს განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ეუთო-ს მისია უარყოფით როლს ასრულებს კონფლიქტის დარეგულირებაში და ამიტომ მისი საქმიანობის განახლება ჩეჩნეთში დაუშვებელია. "ნაშა გაზეტა"-სთან ინტერვიუში ჩეჩნეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ტაუს ჯაბრაილოვმა ეუთო-ს წარმომადგენლების რესპუბლიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება დააფიქსირა. მისი აზრით ეს მხოლოდ ამბოხებულებს აძლევს ხელს. "ყოველთვის, როცა კი ეუთო-ს წარმომადგენლები ჩეჩნეთში გამოჩნდებოდნენ, ისინი უკანონო სამხედრო ფორმირებებთან მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდებდნენ. შედეგად, ამბოხებულები, გრძნობენ რა პოლიტიკურ მხარდაჭერას, ცდილობენ თავიანთი მოთხოვნები ეუთო-ს მისიის საშუალებით გამოხატონ," - ამბობს ჯაბრაილოვი.

სავარაუდოდ, ეუთო-ს წარმომადგენლების სახით ზედმეტი მეთვალყურეების ყოფნა არ მოსწონთ რუსებს. ამასობაში კი, ჩეჩნეთში სისხლი ისევ იღვრება და გამოსავალი ჩიხური მდგომარეობიდან გაურკვეველი ვადით იგვიანებს.

# პრეს-რელიზი

## გაფორმდა კონტრაქტი საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP) - გაუმჯობესებული სკოლების პროექტის განსახორციელებლად

BP, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების ოპერატორი კომპანია სიამოვნებით გაუწყებთ, რომ საქართველოში დაიწყო 2.4 მლნ აშშ$-ის ღირებულების საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის (CIP) ფარგლებში გაუმჯობესებული სკოლების პროექტის განხორციელება.

გაუმჯობესებული სკოლების პროექტი განავრცობს საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამას (CIP), რომლის განხორციელება ერთი წლის წინ, 2003 წლის მარტში დაიწყო. CIP-ის ამოცანაა მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის სარგებლობის მოტანა მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურის შეკეთება/რეაბილიტაციის პროექტების განხორციელების, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესების, მიკროკრედიტების საშუალებით მდგრადი შემოსავლების გამომუშავების და საზოგადოების შესაძლებლობების გაფართოების გზით. პროგრამა ითვალისწინებს დახმარების აღმოჩენას მილსადენის ორივე მხარეს ორი კილომეტრის რადიუსში მოქცეული სოფლებისთვის.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მთავრობასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციების საფუძველზე და CIP-ის სარგებლის მილსადენის ტრასის გასწვრივ მდებარე ქალაქებზე გავრცელების მიზნით, BP-მ და მისმა პარტნიორებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტებში მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე ქალაქებში CIP – გაუმჯობესებული სკოლების პროექტის განხორციელება გადაწყვიტეს, რაც განავრცობს CIP-ის მიმდინარე ღონისძიებებს.

საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამა - გაუმჯობესებული სკოლების პროექტის (CIP-ISP) მიზანია ხელი შეუწყოს მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე ქალაქების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას მოზარდთა მომზადების გზით, რათა მათი მონაწილეობა საქართველოს მომავალ სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში უფრო ეფექტური გახდეს.

CIP-ISP შესაძლებობას იძლევა ჩაიდოს ინვესტიციები საშუალო სკოლების როგორც ფიზიკური ინფრასტრუქტურის განვითარებაში, აგრეთვე მასწავლებლების, ხელმძღვანელების, მშობლების და მოსწავლეების შესაძლებლობების განვითარებაში, რაც იმავდროულად დაეხმარება საქართველოს მთავრობას განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის განხორციელებაში.

CIP-ISP-ის პროექტით შემდეგი ღონისძიებები არის გათვალისწინებული:

ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განხორციელდება გარდაბნის, მარნეულში, რუსთავში, თეთრიწყაროში, წალკაში, ბაკურიანსა და ახალციხეში მდებარე 50-ზე მეტ საშუალო სკოლაში, რაც სარგებელს მოუტანს 28,000 მოსწავლესა და 2,000 მასწავლებელზე მეტს.

275-ზე მეტ მასწავლებელს და ადმინისტრატორს ჩაუტარდება ტრეინინგი სპეციალიზებული სწავლების და მართვის მეთოდებში.

მშობლები, მასწავლებლები, ადმინისტრატორები და მოსწავლეები მოემზადებიან მთელი ქვეყნის მასშტაბით სკოლის მართვის სფეროში სასკოლო საბჭოს მოდელზე გადასასვლელად.

საცდელი პროექტის სახით, რომელიც წარმატების შემთხვევაში მომავალში სხვა ქალაქებშიც დაინერგება, წალკაში, ბაკურიანსა და ახალციხეში შეირჩევა თითო სკოლა, სადაც გაიხსნება მზის ბატარეაზე მომუშავე კომპიუტერული კაბინეტი. ეს ამ სკოლების მოსწავლეებს უნარ-ჩვევების ამაღლებაში დაეხმარება, რაც მათ უკეთესად შეამზადებს მომავალი შრომითი საქმიანობისათვის.

CIP-ISP-ს ახორციელებენ საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციების ორი კონსორციუმის ლიდერი ორგანიზაციები - Care International-ი და Mercy Corps-ი, ადგილობრივ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაცია TAG (ტექნიკური დახმარება საქართველოში)-თან ერთად.

CIP-ISP კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ინვესტიცია შეიძლება მოჰყვეს რეგიონში ნავთობსადენისა და გაზსადენის ორი მსხვილი პროექტის - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიური გაზსადენის პროექტების განხორციელებას იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მილსადენები კვეთს.

CIP-ISP ნათლად მიუთითებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიური პროექტების მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა მილსადენების მარშრუტის გასწვრივ მდებარე ქალაქების მოსახლეობასთან, რაც მათთვის რეალური და ხელშესახები სარგებლის მომტანი იქნება.

***ცნობა რედაქტორებისთვის:***

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" აქციონერებია: BP (30.1%), SOCAR (25.00%), Unocal (8.90%), Statoil (8.71%), TPAO (6.53%), Eni (5.00%), Total (5.00%), Itochu (3.40%), INPEX (2.50%), ConocoPhillips (2.50%) და Amerada Hess (2.36%).

"სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის" აქციონერებია: BP (25.5%), Statoil (25.5%), LukAgip (10%), SOCAR (10%), TPAO (9%), TFE (10%), NICO (10%).

*დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით:*
*BP საქართველოს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს*
*ტელ: 59 34 00*
*ფაქსი; 59 34 80*

# განცხადება

## იძულებით გადაადგილებულ პირთათვის თავშესაფრის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებაზე ტენდერში მონაწილეობის მსურველთათვის

შესავალი: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომელთაც გააჩნიათ გამოცდილება მშენებლობასა და საინჟინრო სფეროში, წარმოადგინონ განაცხადები იძულებით გადაადგილებულთათვის თბილისში კომპაქტური დასახლების ცენტრების აღდგენის პროექტის შესრულებაზე.

დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ შესაბამისი განაცხადისა და დოკუმენტების (ჩამონათვალი მოცემულია ქვევით) წარდგენა ქართულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილ კონვერტში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში მისამართზე; გოგებაშვილის ქ., 41 ა.წ 23 ივლისის 16:00 საათამდე.

ორგანიზაცია: მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის სათაო ოფისი განლაგებულია ჟენევაში, შვეიცარია. ორგანიზაციის წარმომადგენლობა საქართველოში გაიხსნა 1993 წელს. დამატებითი ინფრომაციისათვის, იხილეთ ორგანიზაციის ინტრერნეტ გვერდი: www.iom.ge ან www.iom.int

პროექტი: საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან თანამშრომლობით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაატარებს თბილისის იმ 14 კომპაქტური დასახლების ცენტრის რეაბილიტაციას, რომელიც არ აკმაყოფილებს საცხოვრებელ სტანდარტებს, და რომელიც მასპინძლობს დაახლოებით 1 600 იძულებით გადაადგილებულ პირს.

**სამუშაოთა აღწერა:**

თითოეული შერჩეული კონტრაქტორი იღებს პასუხისმგებლობას (კონტრაქტორის შესაბამისი შესაძლებლობების მიხედვით) 3-4 კომპაქტური დასახლების ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებასა და ზედამხედველობაზე. ყველა სამუშაოს ზედამხედველობას გაუწევს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ობიექტებზე კონკრეტულ საჭირო სამუშაოებთან ერთად ძირითადი სამუშაოები შეეხება გადახურვას, საკანალიზაციო სისტემის აღდგენასა და ელექტროგაყვანილობას. გარე სამუშაოები უნდა დასრულდეს ა.წ. ნოემბრამდე.

სამშენებლო მასალების შეძენა და ზედამხედველობა შესრულდება მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ და გადაეცემა კონტრაქტორებს მიზნობრივი გამოყენებისათვის.

სამუშაოები ჩატარდება სარეაბილიტაციო შენობაში იძულებით გადაადგილებული პირების მიერ, ხოლო კონტრაქტორი ჩაუტარებს მათ ინსტრუქტაჟს და ადგილზე მოაწყობს სათანადო პროფესიულ სწავლებას.

დაინტერესებული მხარეები წარადგენენ შემდეგ საბუთებს:

1. ბოლო 2 წლის განმავლობაში თბილისში ჩატარებული მსგავსი სარეაბილიტაციო/ინფრასტრუქტურის სამუშაოების ჩამონათვალი;
2. მონაცემები მხარის იურიდიულ სტატუსზე და რეგისტრაციის ადგილზე;
3. ინფორმაცია სახელმწიფო ბიუჯეტში დავალიანების და/ან მხარის მიმართ სხვა კანონიერი პრეტენზიების შესახებ;
4. ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობის გამოცდილების შესახებ;
5. ინფორმაცია კადრებისა და საკადრო მართვის გამოცდილების შესახებ;
6. ინფორმაცია სამუშაო პროცესში ადგილზე სწავლების ჩატარებისა და უნარ-ჩვევების გადაცემის შესაძლებლობის შესახებ.

მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს დავუკავშირდებით.

# დიდი ბრიტანეთი ღარიბ ქვეყნებს დახმარებას უზრდის

დიდი ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრის, გორდონ ბრაუნის მიერ შეთავაზებული უახლოესი სამი წლის ბიუჯეტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების გაზრდა წარმოადგენს. 2007 წლისათვის ამ თანხამ 6,5 მლრდ. გირვანქას (12 მლრდ. აშშ დოლარი) უნდა მიაღწიოს.

დიდი ბრიტანეთი, ისევე როგორც მდიდარი ქვეყნების უმრავლესობა, განვითარებადი ქვეყნებისათვის გაეროს დახმარების პროგრამაზე საკმაოდ მცირე თანხებს ხარჯავს. გაეროს მოთხოვნით, მდიდარმა ქვეყნებმა ღარიბთა დასახმარებლად თავიანთი მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 0,7 პროცენტი უნდა გამოყონ. ამ პირობას, დღეისათვის, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის მხოლოდ ხუთი ქვეყანა ასრულებს. ახლო მომავალში, დახმარების მოცულობის გაზრდას კიდევ სამი ევროპული სახელმწიფო აპირებს. უახლოეს სამ წელიწადში დიდი ბრიტანეთი "იდეალთან" მიახლოებას გეგმავს. ბრაუნის განცხადებით, დახმარებების მოცულობა 9 პროცენტით მოიმატებს და 0,4%-დან 0,6%-მდე შეადგენს.

იმავდროულად, ლეიბორისტული მთავრობა ჯანდაცვისა და განათლების ხარჯების გაზრდასაც აპირებს. თუმცა, საამისოდ მთავრობის აპარატში 100 ათასი სამუშაო ადგილის შემცირება იქნება საჭირო, რის წყალობითაც, წლიურად 40 მლრდ. გირვაქნქის დაზოგვა მოხერხდება.

ამ იდეას პროფკავშირების მყისიერი კრიტიკა მოჰყვა, რომლებიც გაფიცვებით იმუქრებიან. თუმცა, გორდონ ბრაუნი დარწმუნებულია, რომ ბიუჯეტის ახალი პროექტი მთავრობის მიერ მიცემული პირობების შესრულებას უზრუნველყოფს. "ჩვენ, ამჯერად, მნიშვნელოვანი დარგების ინვესტირების მხრივ, ახალი ნაბიჯების გადადგმას მოვახერხებთ - პირველ რიგში უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროებში. თითოეულ სექტორში უფრო დიდი დაფინანსების სანაცვლოდ, სერიოზული რეფორმები გატარდება," - განცხადა ბრიტანეთის ფინანსთა მინისტრმა.

როგორც ჩანს, ბრაუნის გეგმებმა ოპოზიციაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. ოპოზიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული პროექტი, პირიქით, ბიუროკრატიული აპარატის, გადასახადებისა და ვალების ზრდას გამოიწვევს.

# უოლ-სტრიტი - ალ ქაიდას შემდგომი სამიზნე

ალ ქაიდა ამერიკის შეერთებული შტატების საფონდო ბაზრის "გულს" - უოლ-სტრიტს და ასევე სხვა საფინანსო ინსტიტუტებს შემდგომ სამიზნედ განიხილავს. ტელეკომპანია ფოქსის მიერ გაკეთებული განცხადების მიხედვით (რომელიც აშშ-ს სპეც-სამსახურებიდან მოწოდებული ინფორმაციის წყაროს არ ასახელებს), ამის შესახებ ტერორისტებს შორის შემდგარი სატელეფონო საუბრებიდან გახდა ცნობილი.

ნიუ იორკის საფონდო ბირჟისა და უოლ-სტრიტზე განლაგებული სხვა საფინანსო ინსტიტუტების წინააღმდეგ მოსალოდნელი ტერაქტების თემა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიებათა ფედერალური ბიუროს, აშშ-ს ფინანსთა და შიდა უსაფრთხოების სამინისტროების განსაკუთრებული განსჯის საგანი გახდა. საერთო ჯამში, აშშ-ს ეკონომიკისათვის პირდაპირი ზიანის მიყენებაზე ალ ქაიდას უკანასკნელ ხანებში განხორციელებული ქმედებებიც მეტყველებს. მაგალითად, ერაყსა და საუდის არაბეთში მომხდარი ტერაქტების შედეგად, ფასები ნავთობზე საგრძნობლად გაიზარდა. მაისში ერთი ბარელი "შავი ოქროს" ფასმა 41.85 აშშ დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე მაქსიმალური მაჩვენებელია.

ექსპერტთა აზრით, საუდის არაბეთში ახალი ტერაქტების განხორციელებას ფასების უფრო მეტად ზრდა მოჰყვება, რაშიც საერთაშორისო ტერორისტთა ახალი სტრატეგია მდგომარეობს. სავარაუდოდ, ალ ქაიდას პატარ-პატარა ფრაქციები ეწევიან თვითორგანიზაციას, პოულობენ ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორის - საუდის არაბეთის სანავთობო მრეწველობის სუსტად დაცულ ობიექტებს და მათი მისამართით დარტყმებს ახორციელებენ. შედეგად, ნავთობის ფასები იზრდება, რასაც აშშ-ს ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება მოჰყვება.

"აშშ-ს ეკონომიკა ალ ქაიდას ერთ-ერთი უმთავრესი სამიზნე დიდი ხნის წინ გახდა. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ნიუ იორკში საერთაშორისო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმა," - აცხადებს საუდის არაბეთის მკვლევარი საუდ ალ-სარხანი. იგი აღნიშნავს, რომ ამჯერად ალ ქაიდა ნავთობის ფასების უკიდურესად მაღალ დონეზე შენარჩუნებას აპირებს, რათა აშშ-ს ეკონომიკას მაქსიმალური ზარალი მიაყენოს.

ალ-სარხანის მოსაზრების დასტურად, ინტერნეტში გაჩნდა განცხადება, რომელსაც ხელს აწერს ალ ქაიდას საუდის არაბეთის განყოფილების ლიდერი აბდულ-აზიზ ალ-მუკრინი. აღნიშნული განცხადების თანახმად, ტერორისტულმა ორგანიზაციამ ელ-ხუბარში მძევლების აყვანის ოპერაცია თავის თავზე აიღო. მათი გათავისუფლების ოპერაციის შედეგად 22 ადამიანი დაიღუპა. ამ ტერაქტს ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა არ მოჰყოლია მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საუდის არაბეთი ოპეკს ნავთობის მოპოვების მოცულობის გაზრდას დაჰპირდა.

# ეუთო-ს მინსკის ჯგუფი მთიან ყარაბაღს სტუმრობს

რამდენიმე დღის წინ სომხეთის პრეზიდენტი რობერტ კოჩარიანი ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებს იური მერზლიაკოვს (რუსეთი), სტივენ მანსა (აშშ) და ანრი ჟაკოლენს (საფრანგეთი) შეხვდა. საუბრის თემას მთიანი ყარაბაღის ამჟამინდელი სტატუსის განხილვა შეადგენდა. სომხეთის შემდეგ მედიატორები მთიანი ყარაბაღს ეწვივნენ და იქაური ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდნენ, ხოლო 15 ივლისს ისინი ბაქოში გაემგზავრებიან.

როგორც წინა კვირას სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვარდან ოსკანიანმა განაცხადა, ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების ვიზიტი ბევრს არაფერს შეცვლის.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის, ელმარ მამედიაროვის აზრით კი, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის რეგულირებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესზე მაღალჩინოსანი სტუმრების ვიზიტი დადებით გავლენას აუცილებლად იქონიებს. რა თქმა უნდა, აღნიშნული ვიზიტის სერიოზულ შედეგებზე ფიქრი გადაჭარბებულია, მაგრამ თუ თანათავმჯდომარეების ჩასვლა კონფლიქტის ზონაში მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის წინაპირობებს შექმნის, ეს უკვე წინგადადგმულ ნაბიჯად ჩაითვლება. მარტში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, ეუთო-ს მინსკის ჯგუფის მუშაობამ მოლოდინი ვერ გაამართლა, რადგან მხოლოდ მონიტორინგით "გაყინული" კონფლიქტის რეგულირება შეუძლებელია. მისი თქმით, ამ ჯგუფის მოღვაწეობის 12 წლის მანძილზე არაფერი შეცვლილა მთიან ყარაბაღში.

აზერბაიჯანმა, როგორც ცნობილია, მთიან ყარაბაღზე კონტროლი 1990-იანი წლების დასაწყისში სომხეთთან სამხედრო დაპირისპირების დროს დაკარგა. ამას მოჰყვა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხრიდან გაკეთებული განცხადებები, რომლებშიც იგი აზერბაიჯანის კუთვნილი ტერიტორიების ანექსიის ფაქტს გმობდა და სომხეთს აღნიშნული ტერიტორიიდან ჯარის გამოყვანისკენ მოუწოდებდა.

## ორი სიტყვით

**ერაყი.** რამდენიმე დღეში ხელისუფლების მიერ ნაწილობრივი ამნისტიის გამოცხადებისთანავე აღდგენილი იქნება ერაყში სიკვდილით დასჯა. ამის შესახებ განცხადება გუშინ ქვეყნის დროებითმა პრეზიდენტმა ღაზი ალ იავარიმ გააკეთა. ერაყის უმაღლესმა ხელისუფალმა აღნიშნა, რომ სასჯელის ეს უმაღლესი ზომა გამოყენებული იქნება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და არა იმ მასშტაბებით, როგორც მას სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს მიმართავდნენ. მაშინ ასეთი სასჯელი 114 ადამიანს მიესაჯა. პრეზიდენტის თქმით, ამნისტია შეეხება მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს ხელისუფლებას და უარს იტყვის ტერაქტებში მონაწილეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ პირების წინააღმდეგ ყველაზე სასტიკი ზომები იქნება მიღებული. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**დსთ.** 11 ივლისიდან სამხრეთ კავკასიას დსთ-ს აღმასრულებელი მდივანი ვლადიმირ რუშაილო სტუმრობს. იგი ჯერ აზერბაიჯანს ეწვია ორდღიანი ვიზიტით, შემდეგ კი სომხეთს. რუშაილოს განცხადებით, ვიზიტის მიზანი დსთ-ის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის პრიორიტეტების განსაზღვრაა, კერძოდ, ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. გარდა ამისა, დსთ-ს აღმასრულებელი მდივნის თქმით, დსთ-ს ქვეყნები შეთანხმებულად უნდა რეაგირებდნენ ისეთ ახალ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, როგორიცაა ტერორიზმი, ნარკოკონტრაბანდა და არაკანონიერი მიგრაცია. გარდა ამისა, რუშაილო განიხილავს ასტანაში დაგეგმილ დსთ-ს სამიტთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობას, აღმასრულებელმა მდივანმა აღნიშნა, რომ იგი კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი გზით დარეგულირების მომხრეა. სომხეთის შემდეგ დსთ-ს აღმასრულებელ მდივანს საქართველოში ჩამოსვლა აქვს განზრახული. **არმენპრესა**

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთისა და უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ტერორიზმის, ექსტრემიზის, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ თანამშრომლობის შესახებ პროტოკოლს. აღნიშნული შეთანხმება ინფორმაციის, აღჭურვილობისა და სამუშაო ჯგუფების ურთიერთგაცვლას ითვალისწინებს. **ინტერფაქსი**

# ყველა პენსიონერი სასწრაფო რეგისტრაციაზე

*საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა საქართველოს მასშტაბით პენსიონერთა ხელახალი, საკონტროლო რეგისტრაცია დაიწყო. ამ პროცედურის გავლა საქართველოში მცხოვრები ყველა პენსიონერისთვის სავალდებულოა. ვინც რეგისტრაციას არ გაივლის, მათთვის პენსიის გაცემა შეწყდება.*

ნონა მაისურაძე

მსგავსი ღონისძიება სახელმწიფო ფონდს უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში არ ჩაუტარებია. იგი მიზნად ისახავს ფონდის კომპიუტერულ ბაზაში დღეისათვის არსებული მონაცემების გადამოწმებას და პენსიონერთა ზუსტი რაოდენობის დადგენას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია პირველი ივლისიდან - დაბეჭდილია სარეგისტრაციო ანკეტები; 15 დან 20 ივლისამდე შეიქმნება ადგილობრივი საზოგადოებრივი კომისიები, სადაც მოხდება საკონტროლო რეგისტრაცია; კომისია იმუშავებს პენსიების გაცემის პუნქტებში. საკონტროლო რეგისტრაციის გასავლელად სავალდებულოა პენსიონერის გამოცხადება კომისიაზე. პენსიონერმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი და საპენსიო მოწმობა.

მათთვის, ვინც სხვადასხვა ობიექტური მიზეზის გამო (ავადმყოფობა, გადაადგილების შეზღუდვა), ვერ მოახერხებს კომისიაზე გამოცხადებას, კომისიის წევრები ბინაზე ჩაუტარებენ სარეგისტრაციო პროცედურას. სარეგისტრაციოდ გამოცხადება აუცილებელი პირობაა ივლისის პენსიის მისაღებად. პენსიონერს, ვინც გამოცხადდება რეგისტრაციის გასავლელად, მიუხედავად იმისა, დაასრულა თუ არა აღნიშნული პროცედურა, ივლისის პენსია მიეცემა. ვინც ვერ დაასრულებს რეგისტრაციის პროცედურას, მიეცემა განმარტება და ვადა არსებული უზუსტობის გამოსასწორებლად.

საყურადღებოა, რომ იმ პენსიონერს, რომელიც არ გამოცხადდება საკონტროლო რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ ვადაში, შეუწყდება პენსიის მიღება სარეგისტრაციო პროცედურის გავლამდე.

საკონტროლო რეგისტრაციის პროცედურის გავლისას გაუგებრობის ან წინააღმდეგობის წარმოქმნის შემთხვევაში პენსიონერს შეუძლია, მიმართოს ადგილობრივ ხელისუფლებას, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რეგიონულ და რაიონულ ფილიალებს; ასევე, შეუძლია, დაგვიკავშირდეს, ფონდის ცხელი ხაზის მეშვეობით, შემდეგ ტელეფონებზე: **69 65 93, 69 65 94**

# იყალთოსაკენ

თამარ დვალი

*გუშინ სამხატვრო აკადემიის 18 სტუდენტი იყალთოს აკადემიაში წინასარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად გაემგზავრა. უკვე 30 წელიწადია, რაც სამხატვრო აკადემიისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ასეთი ტრადცია აქვთ. ორი კვირის განმავლობაში ახალგაზრდები იყალთოს სამონასტრო კომპლექსს გაასუფთავებენ, რის შემდეგაც მუშაობას რესტავრატორები გააგრძელებენ.*



ვახო ბესელიას ფოტო

*"იყალთოს აკადემიაში ტაძრის მოსავლელად მივდივართ."*

**"იყალთოს აკადემიაში ტაძრის მოსავლელად მივდივართ. იქ ორი კვირის განმავლობაში გავჩერდებით და გავაკეთებთ ყველაფერს, რაც ჩვენზე იქნება დამოკიდებული. გამგზავრების მიზანია, აღვადგინოთ ძველი ტრადიციები და შევინარჩუნოთ ქართული სული. იმედია, ადგილზე ჩასულებს მითითებებს მოგვცემენ, თუ რისი გაკეთებაა საჭირო და ჩვენც იმის მიხედვით ვიმოქმედებთ. თუ დრო დაგვრჩება, ჩვენს საქმესაც გავაკეთებთ და დავხატავთ კიდეც"**, - გვითხრა აქციის მონაწილემ ზეზვა ზავრადაშვილმა.

აქციაში სამხატვრო აკადემიის, თითქმის, ყველა ფაკულტეტის სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. ქართული ძეგლების მონახულება და წინასარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება სამხატვრო აკადემიაში 30 წლის წინათ დაწყებული ტრადიციის გაგრძელებაა.

ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ირაკლი მოსულიშვილმა კულტურისა და მემკვიდრეობის დაცვის ფონდში ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ შეიტანა განაცხადი. იგი იყალთოს აკადემიისთვის დახმარებას ითხოვდა, თუმცა მის განაცხადს აქამდე არავინ გამოხმაურებია. "პენსიაში ვარ, მაგრამ მაინც ვერ ვეშვები ძეგლებს", - გვითხრა პენსიონერმა ირაკლი მოსულიშვილმა, რომელიც პირველადი სამუშაოების ჩასატარებლად სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს თავადაც მიჰყვება.

შეგახსენებთ, რომ იყალთოს სამონასტრო კომპლექსი მეექვსე საუკუნეში დააარსა ერთ-ერთმა ასურელმა მამამ - ზენონმა. გადმოცემის თანახმად, არსენ იყალთოელს მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში აქ აკადემია დაუფუძნებია. კომპლექსიდან შემორჩენილია სამი ეკლესია და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, მათ შორის - აკადემიისა და სატრაპეზოს ნანგრევები.

კომპლექსიდან მთავრია მერვე-მეცხრე საუკუნეებში აგებული ფერისცვალების ეკლესია "ღვთაება", რომელიც იმ ძველი ეკლესიის ადგილასაა აგებული, სადაც მამა ზენონი იყო დაკრძალული; სამების, რომელშიც შემორჩენილია მეექვსე საუკუნის გუმბათოვანი ეკლესიის ნაწილები და ყველაწმიდის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნების მიჯნას მიეკუთვნება.

აკადემიის შენობა რიყის ქვით არის ნაშენი. პირველი სართული ორი ოთახისაგან შედგება, მეორე კი ერთი მთლიანი დარბაზია და, როგორც ჩანს, იმთავითვე სამეცნიერო შეკრებისათვის იყო განკუთვნილი. შენობა სტილით მერვე-მეცხრე საუკუნეების ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც მაშინ უნდა იყოს.

იყალთოს აკადემიის პირველი რექტორი იყო არსენ იყალთოელი, რომელიც აქ გელათიდან გადმოსულა. არსებული გადმოცემით, აკადემიაში ისწავლებოდა მჭედლობა, კერამიკა, "მეკეცეობა" და მევენახეობა-მეღვინეობა.

სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ორ კვირაში დაბრუნდებიან. მათ იყალთოს აკადემიის მონახულება და წინასარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება პირველად უწევთ. სტუდენტები გეგმავენ, მსგავსი ღონისძიებები მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელონ.

# რა შემთხვევაში მოიხსნება მთავარი ექიმი

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი დღეს მთლიანად ცხინვალის რეგიონით არის დაკავებული, სადაც დაჭრილი ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე ზრუნავს, მაგრამ როცა ყველაფერი დამთავრდება სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებს სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ.*

ზაზა ფაჩუაშვილი

საქმე ისაა, რომ, როგორც მინისტრი აცხადებს, "ჯანდაცვის სამინისტრომ" სამედიცინო დაწესებულებების მიერ მიმდინარე ხარჯების ასპროცენტიან დაფარვასთან ერთად ძველი დავალიანების გასტუმრებაც დაიწყო. ეს კი იმის გარანტია მაინც არის, რომ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სამედიცინო დაწესებულებებს, კომუნალური დავალიანებების გადაუხდელობის გამო, პრობლემები არ შეექმნათ. თუმცა, ყველაფერი პირიქით მომხდარა, რასაც ჯანდაცვის მინისტრი ძალიან გაუბრაზებია.

ლადო ჭიპაშვილი: "ამას წინათ თელასიდან მივიღე წერილი, - თუ საავადმყოფოების დავალიანებას არ დაფარავთ, ელექტროენერგიას გამოვრთავთო. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო, ვინაიდან ექვსი თვის განმავლობაში ამ საავადმყოფოებს კაპიკ-კაპიკ დაუგვიანებლად ვუგზავნი თანხებს და ძველი დავალიანების ნაწილს. ასე რომ, თუ ამ საავადმყოფოებში გამართული მენეჯმენტია და არ ხდება თანხების მითვისება, ელექტროენერგიის დავალიანება აღარ უნდა ჰქონდეთ. არ დავმალავ, ძალიან გავბრაზდი. ამიტომ, სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე საავადმყოფოებიდან რომელიმეს, გადაუხდელობის გამო, ელექტროენერგიას თუ გამოურთავენ, მთავარი ექიმი მოიხსნება".

**- ძველი ვალების დაფარვასაც აპირებთ?**

- რა თქმა უნდა, ვაპირებთ. წლევანდელი ბიუჯეტი, საერთო პარამეტრებით, წინა წლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად უკეთესია, მაგრამ შედეგი ამდენადვე უკეთესი ჯერჯერობით ვერ იქნება. ეს იმიტომ ხდება, რომ არაერთი მილიონი ლარი მიემართება წინა წლების დავალიანების დასაფარავად. მთელი ეს თანხა წლევანდელ პროგრამებს რომ მოხმარებოდა, რა თქმა უნდა, მყისიერი ეფექტი უფრო შესამჩნევი იქნებოდა და შეიძლება პოლიტიკურად ეს უფრო მომგებიანი ყოფილიყო, მაგრამ ახალ ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ვალები უნდა გაისტუმროს. ჩვენი აზრით, უზნეობა იქნება სამედიცინო დაწესებულებებს "ვუთხრათ", რომ წინა ხელისუფლების ვალები ჩვენი გასასტუმრებელი არ არის. ამიტომ, დავიწყეთ წინა წლების დავალიანებების დაფარვაც. ეს ნაბიჯი სწორი იქნება მორალურადაც და იმიტომაც, რომ სამედიცინო დაწესებულებებს კრიზისის დაძლევაში ბევრად დაეხმარება.

**- არის თუ არა პრობლემა მხოლოდ დაფინანსებაში?**

- მსურს, ჩემი პოზიცია გამოვხატო მმართველობის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ძალიან კარგად მესმის, რომ თუ ვერ მოვახერხე ჯანდაცვის ობიექტების მართვის სისტემის გაუმჯობესება, ჩემი გაკეთებული საქმე მთლიანად წყალში ჩაიყრება. სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაა ჩემი, როგორც მინისტრის, წარმატების საფუძველი. ამიტომ, ამ საკითხზე ძალიან სერიოზულად ვმუშაობ.

ერთი ჩემი იდეა უკვე გახმაურებულია - ექიმთა თვითმმართველობის ელემენტების დანერგვა სამედიცინო დაწესებულებების მართვაში; ანუ ხელმძღვანელად არ შეიძლება ისეთი ადამიანის დანიშვნა, რომელიც კოლექტივს არ უნდა. მოგეხსენებათ, სამედიცინო საქმიანობა შემოქმედებითი პროცესია, რომელიც შეუძლებელია, აყვავდეს არაკომფორტულ, დამთრგუნველ გარემოში. ამიტომ, ხელმძღვანელობასა და კოლექტივს შორის უნდა იყოს სრული გამჭვირვალობა და ჰარმონიული ურთიერთობა.

ყველა ექიმმა უნდა იცოდეს, რამდენი ფული შემოვიდა, რაში დაიხარჯა და შესრულებული სამუშაოდან მას რამდენი ეკუთვნის, რაც სრულად უნდა მიიღოს.

**- დაფინანსების ხარჯვით ნაწილს როგორ გააკონტროლებთ?**

- ამასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამული მართვის გაუმჯობესებაც. იქნება ეს ფტიზიატრიული, ფსიქიატრიული, ურგენტული, ამბულატორიული თუ სხვა პროგრამები. თუ ჩვენ პრიორიტეტად ბიუჯეტის პროგრამული ხარჯვა ავირჩიეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვაფინანსებთ არა რომელიმე დაწესებულებას, არამედ კონკრეტულ პროგრამას. ეს იყო წინა ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯი, მაგრამ მას წინსვლა აღარ მოჰყოლია. მე გადავდგამ ახალ ნაბიჯებს. ყველასათვის ცნობილი იქნება კონკრეტული პასუხისმგებელი პროგრამის ცენტრალურ მმართველობაზე, მის კოორდინაციასა და შესრულებაზე, რაც ბიუჯეტის მაქსიმალურად ეფექტური და მიზანმიმართული ხარჯვის გარანტია იქნება. ეს პასუხისმგებელი სუბიექტები სამინისტროს ჩინოვნიკები კი არ იქნებიან, არამედ დარგში მომუშავე ცნობილი დაწესებულებების ხელმძღვანელები. ამასთან, აუცილებლად გაძლიერდება მონიტორინგის სისტემა და მთელ საზოგადოებას ეცოდინება, სად და როგორ იხარჯება ფული. ამისათვის ჩემი სავალდებულო მოთხოვნა იქნება ყოველი პროგრამის ბიუჯეტიდან, დაახლოებით, 0,5 პროცენტის მონიტორინგისთვის გამოყოფა. მირჩევნია, ამ თანხით გავაკონტროლო დანარჩენი 95,5 პროცენტი და არ დავუშვა არამიზნობრივი ხარჯვა, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ვაპირებ, ამ საქმეში ფართოდ ჩავრთო არასამთავრობო სექტორი. ეს უფრო საიმედო იქნება, ვიდრე მექრთამეობაში და ფულის მოპარვაში გაწაფული სახელმწიფო ჩინოვნიკის მიერ ჩატარებული მონიტორინგი. რა თქმა უნდა, ასეთ ჩინოვნიკებს ვცვლით და სხვა ხალხი მოგვყავს, მაგრამ კონცეპტუალურად იქნება სწორი, თუ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილ პროგრამას გააკონტროლებს, ვთქვათ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი.




## აშშ-ს მთავრობის ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამაში წარმატებული მონაწილეობისთვის მიეცით რჩევა საქართველოს მთავრობას

მოკლე მიმოხილვა

MCC (ათასწლეულის მხარდაჭერის პროგრამა) არის აშშ-ს სამთავრობო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია, დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, უზრუნველყონ ეკონომიკური ზრდა და სიღარიბის დაძლევა, გაატარონ ეკონომიკური და საკანონმდებლო რეფორმები. ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად სააგენტომ 75 კანდიდატი ქვეყნისაგან შეარჩია საქართველო სხვა 15 ქვეყანასთან ერთად. აღნიშნული შერჩევის შედეგად საქართველოს მიეცა შესაძლებლობა, მიიღოს გრანტის დაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი პროგრამა და მომზადებული ხელშეკრულება დააკმაყოფილებენ MCC-ს პირობებს.

ამ დოკუმენტის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი პროექტების და იდეების მოძიება და რეგისტრაცია, რომლებიც შევლენ საქართველოს Millenium Challenge (ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტის მიერ MMC-თვის წარსადგენ საბოლოო საპროექტო წინადადებაში. აღნიშნული კომიტეტის წევრები არიან საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, სამოქალაქო საზოგადოების და ბიზნესის ლიდერები, პარლამანტარები და საზოგადოების სხვა წევრები.

მრავალმხრივი და სრული საპროექტო წინადადების მომზადების მიზნით, საქართველოს Millenium Challenge(ათასწლეულის გამოწვევა) კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, მიმართოს დაინტერესებულ მოქალაქეებს, არასახელმწიფო ორგანიზაციებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, პოლიტიკურ პარტიებს, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა, წარადგინონ ისეთი საპროექტო წანადადებები და რჩევები, რომლებიც შეესაბამებიან პროგრამის მიზნებს. წარდგენილი საპროექტო წინადადების შინაარსი არ შემოიფარგლება კონკრეტული სფეროთი ან დარგით.

საქართველოს Millenium Challenge კომიტეტი განიხილავს წარდგენილ რჩევებს და წინადადებებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გრძელვადიანი და გაზომვადი ეფექტი საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე;
- პროექტი ხასიათდება მრავალმხრივი პოზიტიური ეკონომიკური ეფექტით (გავლენას ახდენს ეკონომიკის რამდენიმე სფეროს ზრდაზე ან ზრდის ხელმშემწყობ ფაქტორებზე);
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ პროექტის განხორციელება? (პასუხში მიუთითეთ, თუ როგორ გავლენას მოახდენს წარდგენილი პროექტი ეკონომიკურ განვითარებაზე და სიღარიბის დაძლევაზე);
- მოახდენს თუ არა პროექტის განხორციელება კონკრეტული რეგიონის განვითარებაზე გავლენას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ განმარტოთ, თუ როგორ გავლენას მოელით.
- პროექტის განხორციელების გარდა, რა დამატებითი ხელშემწყობი ინიციატივებია საჭირო, რომ პროექტის შედეგმა უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა?
- აღწერეთ პროექტის დამოკიდებულება სხვა პროექტებთან ან ინიციატივებთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელება ან ეფექტი დამოკიდებულია სხვა პროექტების განხორციელებაზე, მიუთითეთ ეს პროექტები და მათი თანმიმდევრობა.

წარმატების შემთხვევაში სახელმწიფო გეგმავს თანხების ინვესტირებას ეკონომიკური განვითარებისთვის შემდეგ სფეროებში:

- სახელმწიფო მართვის ოპტიმიზაცია;
- საინვესტიციო ფონდების შექმნა რეგიონებში;
- ინფრასტრუქტურა (გზები, ხიდები, წყალი, სხვა);
- ენერგეტიკა.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი რჩევა, თუ რამდენად ეფექტურად მიგაჩნიათ ამ სფეროებში ფულის ინვესტირება ან შემოგვთავაზოთ თქვენი კონკრეტული იდეა, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის ეკონომიკური ზრდისაკენ.

გთხოვთ, მოგვაწოდეთ მოკლე დემოგრაფიული ინფორმაცია თქვენს შესახებ:

საცხოვრებელი რეგიონი ______________

რომელ სექტორს მიეკუთვნებით?
--- კერძო
--- სამთავრობო
--- არც ერთი

საქმიანობის სფერო (გთხოვთ მიუთითოდ ორგანიზაციის სახელწოდება):
______________
______________

სახელი გვარი ______________ ______________

ასაკი ______________

(შესაძლოა ანონიმური პასუხები და რჩევები)

საპროექტო წინადადების წარდგენასთან დაკავშირებით:

**ვებ-გვერდი:** www.mcg.ge

**მისამართი:** ჯი-ემ-თი პლაზა, თავისუფლების მოედანი, 4.
გთხოვთ, მოათავსოთ თქვენი მოსაზრებანი შესაბამის ყუთში, რომელიც განლაგებულია შენობის პირველ სართულზე.

**ტელ:** (995 32) 92 38 69

**ფაქსი:** (995 32) 92 14 80

**ელ.ფოსტა**: info@mcg.ge

პროექტების და რჩევების წარდგენის საბოლოო ვადაა 15/07/04 17:00

# ქუთაისის საკრებულოს ყოფილმა თავმჯდომარემ სადავო თანხა გადაიხადა

ბექა სისაური
ქუთაისი

*ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე დათო ბენიძე, რომელსაც სამართალდამცველები ოთხი თვის განმავლობაში ეძებდნენ, 12 ივლისს პროკურატურაში საკუთარი ნებით გამოცხადდა. ბენიძის ირგვლივ რამდენიმე თვის წინ სკანდალურად განვითარებული მოვლენების კულმინაცია ერთ დღეში შედგა, მას შემდეგ, რაც 12 ივლისის დილით, ბენიძემ ქუთაისის მერიის ანგარიშზე 318 ათასი ლარი გადარიცხა (სწორედ ამ თანხას ედავებოდა მას პროკურატურა).*



*სამართალდამცველებმა 12 ივლისს დილას, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს პატიმრობა პირადი თავდებობით შეუცვალეს, საღამოს კი, ბენიძე პროკურატურაში გამოცხადდა.*

ყველაფერი ასე მოხდა. სამართალდამცველებმა 12 ივლისს დილას, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს პატიმრობა პირადი თავდებობით შეუცვალეს, საღამოს კი, ბენიძე პროკურატურაში გამოცხადდა.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის დაკავება პროკურატურამ 19 მარტს სცადა. დათო ბენიძის სამუშაო ოთახში განხორციელებული ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება "სუბოტექსი" აღმოაჩინეს. მაშინ საქმეში, თანაპარტიელის დასაცავად, "მემარჯვენე-მრეწველების" ლიდერები დათო გამყრელიძე და დათო საგანელიძე ჩაერთვნენ. ჩხრეკისას, მათ საკრებულოს თავმჯდომარის კაბინეტის კარები შეამტვრიეს და ბენიძეს გაქცევაში, ნებით თუ უნებლიეთ, დაეხმარნენ. ბენიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თანამდებობრივი გულგრილობის მუხლით აღიძრა. ორიოდ დღეში საოლქო სასამართლომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობაც შეუფარდა და თანამდებობიდანაც გადააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ მან სადავო თანხა გადაიხადა, ბენიძე თავს მაინც უდანაშაულოდ მიიჩნევს. **"თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ და არც ბრალს ვაღიარებ,"**- აცხადებს ბენიძე. თუმცა, კითხვაზე, რატომ გადაიხადა სადავო თანხა, მან არ გვიპასუხა და ადვოკატისკენ მიგვითითა. ბრალდებულის მხარეს იმედი აქვს, რომ სასამართლო პროცესზე საქმეს მოიგებს და გადახდილ თანხას უკან დაიბრუნებს. **"ეს ჩვეულებრივი ამბავია. დათო ბენიძემ კეთილი ნება გამოხატა და თანხა მერიის ანგარიშზე ჩარიცხა. თუკი, საბოლოო ჯამში, სასამართლო განაჩენით დადასტურდა, რომ ბენიძე უდანაშაულოა, თანხას უკან დავიბრუნებთ,"** - აცხადებს ადვოკატი მამუკა ჭაბაშვილი. ბენიძის საქმეში, სამსახურებრივ გულგრილობასთან ერთად, ნარკოტიკული ნივთიერება და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაც ფიგურირებს. ბენიძის მხარე დარწმუნებულია, რომ ამ საკითხსაც სასამართლოში გააბათილებს, გამოძიება კი ამ მხრივ საეჭვოდ დუმს და ბენიძისთვის ნარკოტიკების შენახვის გამო ბრალი აქამდე არ წაუყენებია. **"ამასთან დაკავშირებით დასაკითხია რამდენიმე პიროვნება, მათ შორის - დათო ბენიძეც, საბოლო ჯამში ყველა მტკიცებულებას შევაჯამებთ და ამის მიხედვით ვიმსჯელებთ,"** - აცხადებს სამხარეო პროკურორი მიშიკო ჩოგოვაძე. როგორც ამბობენ, პროკურატურა, ამ მხრივ, ცოტა რთულ მდგომარეობაშია, რადგანაც ბრალის წაუყენებლობის შემთხვევაში დადასტურდება გავრცელებული ხმები ბენიძისთვის ნარკოტიკის ჩადების თაობაზე. ამავე დროს, ადვოკატის განმარტებით, ნარკოტიკები პროცესუალური დარღვევებითაა ამოღებული და მისი საქმეში "დამაგრება" გამოძიებას უჭირს. **"ჩხრეკის დროს გაურკვეველ ვითარებაში ამოიღეს წამლის გამჭვირვალე შუშა, რომელშიც ნარკოტიკი იდო. მას შემდეგ 4 თვე გავიდა და დღემდე ბენიძისთვის შესაბამისი ბრალი არ წაუყენებიათ, რადგანაც გამოძიებას მტკიცებულებები არ გააჩნია. კერძოდ, ბენიძემ წინასწარ იცოდა, რომ მის კაბინეტში ჩხრეკა უნდა ჩატარებულიყო, რის შესახებ პირადი მდივანი და ოჯახის წევრებიც გააფრთხილა. თუკი მას კაბინეტში ნარკოტიკული საშუალებები ექნებოდა, ბუნებრივია, მათ იქ არ დატოვებდა. მეორეც, ჩხრეკის ჩატარება მიმდინარეობდა დღის ბოლოს, რამდენჯერმე გაითიშა დენი. უშუქობის გამო, დამსწრე პირებს საშუალება არ ჰქონდათ, ჩხრეკისთვის თვალი ედევნებინათ. ჩხრეკის დამთავრებისას კი გამომძიებელმა ოქმის შედგენა ვერ მოახერხა და, დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში, დაულუქავი ნივთები ჯიბეში ედო. ამ ხნის გამავლობაში არავინ იცოდა, ამოღებული ნივთები სად იმყოფებოდა. ასე რომ, საქმეში ბევრი საეჭვო მომენტია, რაც კანონით, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს,"** - აცხადებს ჭაბაშვილი.

# ბონდო შალიკიანი, შესაძლოა, გაათავისუფლონ

გავრცელებული ინფორმაციით, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბონდო შალიკიანი, შესაძლოა, პატიმრობიდან გაათავისუფლონ. არსებული ინფორმაციით, ამის თაობაზე სამართალდამცველებსა და შალიკიანს შორის მოლაპარაკება კარგა ხანია, მიმდინარეობს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, შალიკიანი თანახმაა მილიონი ლარის გადახდასა და, ასევე, მის კუთვნილებაში არსებული რამდენიმე საწარმოს აქციების სახელმწიფოსთვის გადაცემაზე. თუმცა, როგორც ქუთაისის სამხარეო პროკურატურაში აცხადებენ, შეთავაზების ავტორი თავად ბონდო შალიკიანია და პროკურატურა, ჯერჯერობით, განიხილავს პატიმრის წინადადებას.

საპარლამენტო არჩევნებში ტყიბულის რაიონში გამარჯვებული მაჟორიტარი დეპუტატი, ქუთაისის საკრებულოს წევრი, ადგილობრივი ტელეკომპანია "ქუთაისის" მფლობელი და იმერეთში ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად ცნობილი ბონდო შალიკიანი 5 მარტს, გამთენიისას ქუთაისში, საკუთარ სახლში დააპატიმრეს. შალიკიანის სახლის ჩხრეკა, რომლის დროსაც ორი ავტომატი და ერთი ხელყუმბარა აღმოაჩინეს, ყოფილი გენერალური პროკურორის ბრძანებით, იმ მოტივით განხორციელდა, რომ არსებობდა ინფორმაცია ქუთაისში სპეცოპერაციის დროს გაქცეული ორი ბოროტმოქმედის შალიკიანის სახლში დამალვის თაობაზე. როგორც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები აცხადებდნენ, იარაღისა და ფეთქებადი საბრძოლო მასალის უკანონო შენახვის ბრალდებით დაპატიმრებულ ბონდო შალიკიანს, სავარაუდოდ, ბრალდება დაუმძიმდებოდა. ანუ, პროკურატურა წლების წინ ადამიანის გატაცების, მკვლელობისა და ეკონომიკური დანაშაულების თაობაზე აღძრულ იმ საქმეებს გადახედავდა, რომლებშიც შალიკიანის გვარი ფიგურირებდა. თუმცა, საბოლოოდ, შალიკიანს ბრალდების კვალიფიკაცია არ შეცვლია, იგი ბოლო პერიოდამდე იარაღისა და ფეთქებადი მასალის უკანონო შენახვაში იყო ბრალდებული.

*24 საათი*

# ფოთის საზღვაო ნავსადგური ქვეყნის ეკონომიკის განვითარების გარანტიაა

## (ფოთის ნავსადგურის მუშაობის 6 თვის შედეგები)

2004 წლის 6 თვეში ნავსადგურმა გადაამუშავა 828 გემი, ანუ 72 ერთეულით მეტი, ვიდრე 2003 წლის შესაბამის პერიოდში. ტვირთბრუნვამ შეადგინა ორი მილიონ 785,7 ათასი ტონა, რაც 681,8 ათასი ტონით მეტია წინა წლის 6 თვის შედეგებთან შედარებით. საერთო ტვირთბრუნვიდან ექსპორტზე მოდის 652,8 ათასი ტონა, ანუ 23 პროცენტი, იმპორტზე - 553,3 ათასი ტონა (20%), ხოლო ტრანზიტზე - ერთი მილიონ 579,6 ათასი ტონა (57%). 2003 წლის 6 თვის მონაცემებთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 6 პროცენტით, იმპორტი - 38 პროცენტით, ხოლო ტრანზიტი - 45 პროცენტით.

აღინიშნება ტვირთბრუნვის მატების ტენდენცია ყველა სახეობის მიხედვით. 2004 წლის 6 თვეში ნავსადგურმა გადაამუშავა ერთი მილიონ 67,2 ათასი ტონა ნაყარი ტვირთი. მათ შორის, ხორბალი - 117,6 ათასი ტონა, შავი მეტალის ჯართი - 214,7 ათასი ტონა, ბოქსიტი - 436,8 ათასი ტონა, თიხამიწა - 132,7 ათასი ტონა, სილიკომარგანეცი - 39,7 ათასი ტონა, სპილენძის კონცენტრატი - 48,6 ათასი ტონა...

გენერალური ტვირთების მოცულობამ შეადგინა ერთი მილიონ 132,4 ათასი ტონა, ხოლო თხევადი ტვირთებისამ - 586,1 ათასი ტონა. მნიშვნელოვნად გაიზარდა გადამუშავებული კონტეინერების რაოდენობამაც, რამაც 2004 წლის 6 თვეში შეადგინა 38328 პირობითი ერთეული, რაც 8769 ერთეულით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან.

სარკინიგზო საბორნე კომპლექსმა 2004 წლის 6 თვეში დაამუშავა 408 ავტომანქანა და 2422 ვაგონი, ბორნის საერთო ტვირთბრუნვამ შეადგინა 170,1 ათასი ტონა. სამხრეთ საწარმოო რაიონში გადამუშავდა 4772 ავტომანქანა 159,1 ათასი ტონა ტვირთით, რაიონის საერთო ტვირთბრუნვამ შეადგინა 171,4 ათასი ტონა.

2004 წლის 6 თვის მონაცემებით ფოთის საზღვაო ნავსადგურის შემოსავალმა შეადგინა 22 მილიონ 900 ათასი ლარი, ხარჯებმა - 15 მილიონ 660 ათასი ლარი, საბალანსო მოგებამ - 7 მილიონ 240 ათასი ლარი. სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა 5 მილიონ 390,2 ათასი ლარი, მათ შორის, სოცდაზღვევის ფონდში - ერთი მილიონ 846,2 ათასი ლარი.

საშუალო ხელფასმა ერთ მომუშავეზე შეადგინა 361 ლარი, რაც 118 ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2004 წლის პირველ ნახევარში ინტენსიურად გრძელდებოდა ნავსადგურის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოები. ექსპლუატაციაში შევიდა სამოქალაქო თავდაცვის მატერიალური საწყობი 120,6 კვ.მ ფართით (საერთო ღირებულება - 117,6 ათასი ლარი). დამთავრდა სამხრეთ პარკის რკინიგზის ხაზის რეკონსტრუქცია ღირებულებით 283379 ლარიყ დამთავრდა აგრეთვე ნავსადგურის პირველ საწარმოო რაიონში შიდა საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია შემომზღუდავი საგზაო ბორდიურებით, რასაც მოხმარდა 261835 ლარიყ დასრულებულია ნავსადგურის სხვა შიდა საავტომობილო გზების რეკონსტრუქციის საპროექტო სამუშაოები და მშენებლობაზე გამოცხადებულია ტენდერი. დამთავრდა "ფოთის საზღვაო ნავსადგურისა და შავი ზღვის მიმდებარე აკვატორიის ფსკერდაღრმავებით სამუშაოებთან დაკავშირებით საჭირო გარემოსდაცვითი მონიტორინგის პროგრამის" სამუშაოების პირველი ეტაპი* შემუშავდა საკონტეინერო ტერმინალზე სასაწყობო მოედნის და ნავმისადგომის სარემონტო სამუშაოების პროექტი, რომელსაც ჩაუტარდა ექსპერტიზა. "ჩერნომორნიიპროექტის" მიერ შესრულდა ! 14 ნავმისადგომის საინჟინრო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური საძიებო სამუშაოები ხორბლის გალამმუშავებელი კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად. მიმდინარეობს რკინა-ბეტონის არხის მშენებლობა მაღალი ძაბვის კაბელისათვის, დამუშავებულია შიდა სანიაღვრე კანალიზაციის პროექტი. გარდა ამისა, დამთავრდა ნავსადგურის სანიჩბოსნო ბაზის რეკონსტრუქციის სამუშაოების პირველი ეტაპი.

წელს ფოთის საზღვაო ნავსადგურმა შპს "საზღვაო ტექსერვისისგან" შეიძინა ფოთის ნავსადგურის აკვატორიაში განთავსებული გემთშემკეთებელი ბაზა დიდგაბარიტიანი მცურავი დოკით, რომელიც ერთადერთია შავი ზღვის მთელს აღმოსავლეთ სანაპიროზე. ამ ბაზის შეძენით ნავსადგური თვითონვე გაარემონტებს სანავსადგურო ფლოტის მცურავ საშუალებებს, აგრეთვე მოემსახურება ბათუმის ნავსადგურს, სამხედრო საზღვაო და სასაზღვრო ძალებს, მიიღებს შეკვეთებს კერძო გემთმფლობელებიდან, მათ შორის უცხოელებიდან, რაც დამატებით შემოსავლებს მოუტან როგორც თვით ნავსადგურს, ასევე ქვეყნის ბიუჯეტს.

ნავსადგურში გრძელდება მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური წახალისების უკვე დამკვიდრებული ტრადიციები. მაგალითად, წლის დასაწყისში თითოეულმა ნავსადგურელმა, 2003 წლის მაღალი საფინანსო-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის, პრემიის სახით მიიღო ერთი თვის ხელფასის ოდენობის თანხა.

ფოთის საზღვაო ნავსადგური ყველა ღონეს იხმარს, რომ კვლავაც შეინარჩუნოს მოწინავე პოზიციები ქვეყნის ეკონომიკაში.

ფოთის საზღვაო ნავსადგურის
ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები
2004 წლის პირველი ნახევრის შედეგებით

| № | დასახელება | ზომის ერთეული | 2003წ. 6 თვე | 2004 წ. 6 თვე | + - |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტვირთბრუნვა | ათას.ტნ. | 2103,9 | 2785,7 | 681,8 |
| | მ.შ. მოიჯარეების ტვირთბრუნვა | ათას.ტნ. | - | 1088,0 | – |
| 2 | კონტეინერი | TEU | 29559 | 38328 | 8769 |
| 3 | გემების რაოდენობა | ერთეული | 756 | 828 | 72 |
| 4 | ნავსადგურის შემოსავალი | ათს.ლარი | 22162,9 | 22900,0 | 737,1 |
| 5 | ხარჯი | ათს.ლარი | 17228,7 | 15660,0 | -1568,7 |
| 6 | საბალანსო მოგება | ათს.ლარი | 4934,2 | 7240,0 | 2305,8 |
| 7 | ნავსადგურის მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხა | ათს.ლარი | 4186,5 | 5390,2 | 1203,7 |
| | მ.შ. სოციალური დაზღვევის ფონდში | ათს.ლარი | 1457,3 | 1846,2 | 388,9 |
| 8 | მოიჯარეების მიერ ბიუჯეტში გადარიცხული თანხა | ათს.ლარი | - | 1968,7 | - |
| | მ.შ. სოციალური დაზღვევის ფონდში | ათს.ლარი | - | 704,1 | - |
| 9 | საშუალო ხელფასი ერთ მომუშავეზე | | 243 | 361 | 118 |

*ფოთის საზღვაო ნავსადგურის პრესსამსახური.*

# მოლაშვილი იტყუება, - ამბობს თბილისის პროკურორი



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სულხან მოლაშვილის გარშემო დაწყებული აჟიოტაჟი გრძელდება.*

*კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სხეულის დაზიანების გარშემო დაწყებული აჟიოტაჟი გრძელდება. გუშინწინ არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ოფისში გამართულ პრესკონფერენციას, სადაც მოლაშვილის სხეულის დაზიანების ამსახველი ფოტოები გამოქვეყნდა, გუშინ თბილისის პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმაც არასამთავრობო ორგანიზაციების და მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრითვე უპასუხა და შეეცადა იმ კითხვებისთვის გაეცა პასუხი, რომლებიც ბრალდებულ მოლაშვილის წამებასთან დაკავშირებით მუსირებს.*

თამარ კაციტაძე

მართალია, სულხან მოლაშვილის სხეულის დაზიანების გამო ქალაქის პროკურატურაში აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, ჯერჯერობით, არ დასრულებულა, მაგრამ საქმის რეზონანსულობის გამო, პროკურორი თავს უფლებას აძლევს ხმამაღალა განაცხადოს: **"სულხან მოლაშვილი თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს შენობაში გათავსებულ წინასწარი დაკავების იზოლატორში არავის უწამებია. იგი, მსუბუქად რომ ვთქვათ, იტყუება.** ასეთი ანგარიში ჩააბარა გრიგალაშვილმა არასამთავრობო ორგანიზაციების - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის", "თავისუფლების ინსტიტუტის", "ალპეს" და "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის" წარმომადგენლებს. რაც შეეხება სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათ შორის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენლები, რომლებმაც სულხან მოლაშვილის წამების ფაქტი გაახმაურეს, გუშინდელ შეხვედრაზე მიწვეულნი არ ყოფილან. ამასთან დაკავშირებით, საპროკურორო ახსნა ასეთია.

**"თანამდებობის პირები, რომლებმაც სახელმწიფოს მილიონები მოპარეს, დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებს უხდიან ამ თანხებს, რომ სახელმწიფოს წინააღმდეგ უარყოფითი პიარი ააგორონ,"** - განაცხადა ქალაქის პროკურორმა, თუმცა კონკრეტულად ვის გულისხმობდა იგი, ან გააჩნდა თუ არა ამ განცხადების გაკეთების რეალური საფუძველი, მიწვეული სტუმრებისთვის არ დაუკონკრეტებია. შესაძლებელია, პროკურორმა ამით თავი აარიდა მოსალოდნელ პასუხისმგებლობას. სამაგიეროდ, გუშინდელ შეხვედრაზე, საპროცესო კანონის მოთხოვნის დარღვევით, რასაც თავად გრიგალაშვილიც აღიარებს, საჯარო გახდა ის საგამოძიებო მასალები, რომლებიც მოლაშვილის წინასწარ დაკავების იზოლატორში წამების ფაქტს გააბათილებდა.

**"სულხან მოლაშვილის განცხადებით, წინასწარი დაკავების საკანში იგი ღამის ორი საათიდან ოთხ საათამდე აწამეს. არადა, არსებობს ოქმი, რომ იგი "კაპეზეში" სწორედ ოთხ საათზე ჩაიყვანეს. ამ ხნის განმავლობაში მოლაშვილი გამომძიებლის კაბინეტში იყო და ამის უამრავი მოწმე არსებობს. მეტიც, იმისათვის, რომ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს თავი კომფორტულად ეგრძნო, საკანში მას ბალიში და სხვა აკრძალული ნივთებიც კი ჩავუტანეთ,"** - აღიარებს პროკურორმი.

გარდა იმ ოქმებისა, რომლებიც სამართალდამცველმა ორგანოებმა შეადგინეს და სადაც ნახსენებიც არ არის ბრალდებულის დაზიანებები, მოლაშვილის წამების გასაბათილებლად გამოძიებას ლოგიკური საფუძველიც გააჩნია.

**"მოლაშვილი რომ აწამეს, ამის შესახებ თვეების განმავლობაში არც გამომძიებლისთვის, არც ადვოკატისთვის და არც ახლობლებისთვის არაფერი უთქვამს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი პიარით მას სურს, საერთაშორისო ორგანიზაციებს გააგებინოს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევა და ამით სახელმწიფოს და თვით პროკურატურასაც იმიჯი შეულახოს,"** - ამბობს გრიგალაშვილი.

შეძლებს თუ არა მოლაშვილი საკუთარი პრობლემის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, მომავალი გვიჩვენებს. ერთი კი ფაქტია, იგი ქართულ გამოძიებას მართლაც არ ენდობა, დუმილის უფლებას იყენებს და მის დარღვევას მხოლოდ უცხოელ ექსპერტებთან აპირებს.

**"გამოძიებას ვურჩევ, ამ ოქმით იხელმძღვანელოს. მე კი ჩვენებას უცხოელ ექსპერტებს მივცემ,"** - ასეთი მინაწერი გააკეთა ბრალდებულმა საპყრობილეში მისული პროკურორის და გამომძიებლის მიერ შედგენილ ოქმზე.

და მაინც, გუშინდელ შეხვედრაზე გაკეთებული განცხადებების მიუხედავად, მაინც გაუგებარი დარჩა, ვინ, სად და როდის მიაყენა სულხან მოლაშვილს დაზიანებები, რომლებიც, ფაქტობრივად, გამოძიების მიერ დანიშნულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა.

**"მე, შეიძლება, მოლაშვილის მიმართ ნამდვილად არ ვიყო სიმპათიით განწყობილი და მინდა მჯეროდეს, რომ იგი არავის უწამებია. მაგრამ ფაქტია, რომ მის სხეულზე არსებობს დაზიანებები და ვიდრე არ იქნება კონკრეტული პასუხი და არ გაბათილდება ნებისმიერი ეჭვი, საზოგადოებაში ყოველთვის იქნება კითხვის ნიშანი. დღევანდელი პასუხი საკმარისი არ არის. ამიტომ, გამოძიება ვალდებულია, რომ ნებისმიერ კითხვას პასუხი გასცეს და ჭეშმარიტება დაადგინოს",** - განაცხადა შეხვედრაზე "ალპეს" წარმომადგენელმა გოგი ქავთარაძემ, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველა კოლეგა დაეთანხმა.

გუშინდელი პასუხები კი ნამდვილად არ არის საბოლოო, რადგან გამოძიება კვლავ გრძელდება.

**"გამოძიება ჯერ არ დასრულებულა. ჩვენ ვაგრძელებთ ორ ვერსიაზე მუშაობას, ერთი - მოლაშვილი თანხის გამოძალვის მიზნით კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებმა აწამეს, და მეორე - სახელმწიფოს წინააღმდეგ შავი პიარის აგორების მიზნით, დაზიანებები მას თავისმა ახლობლებმა მიაყენეს,"** - ამბობს თბილისის პროკურორი და ამით სახელმწიფო მოხელეთა ბრალეულობას, ფაქტობრივად, წინასწარ გამორიცხავს.

სამაგიეროდ, ექსპერტ-იუსრისტი დავით უსუფაშვილი მოლაშვილის კონკრეტულ შემთხვევას შედარებით ფართო პრობლემით ხსნის.

**"მნიშვნელობა არ აქვს, სად მიიღო მოლაშვილმა დაზიანება. ფაქტია, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბრალდებულის უფლებები და უსაფრთხოება, რაც არ შესრულდა და ამიტომ, პასუხისმგებელიც სწორედ სახელმწიფოა. მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს უფრო დიდი პრობლემა, რასაც არაფორმალურ მართლმსაჯულებამდე მივყავართ. ეს საპროცესო ნორმების დარღვევით თანხების გადახდას ეხება. ვფიქრობ, ამგვარი გზა იქამდე მიგვიყვანს, რასაც ადრე იძულებით აღიარება ერქვა და რაც ახალ დანაშაულებს წარმოშობს,"** - ასეთია დავით უსუფაშვილის მოსაზრება.

თუმცა, გუშინდელი შეხვედრა მხოლოდ მოლაშვილის სხეულის დაზიანების თემით არ შემოფარგლულა. როგორც ვალერი გრიგალაშვილმა გაამხილა, უკვე მომზადებულია ახალი ბრალდება, რომლის თანახმადაც, კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს ბრალი 3 მილიონი ლარის მითვისებაში ედება.

**"ეს თანხა მხოლოდ 30 ობიექტის რევიზიის შედეგად გამოვლინდა. რევიზია კვლავ გრძელდება და გამორიცხული არ არის, რომ სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალი კიდევ უფრო გაიზარდოს,"** - განაცხადა ვალერი გრიგალაშვილმა.

და კიდევ ერთი, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი და რაც ქალაქის პროკურორმაც დაადასტურა, კონტროლის პალატის ყოფილმა ხელმძღვანელობამ (სულ შვიდმა კაცმა), რომელთა მიმართაც კონკრეტული ბრალდებები არ არსებობს და, აქედან გამომდინარე, არც დაპატიმრებულები არიან, ბიუჯეტის სასარგებლოდ უკვე გადაიხადეს 400 ათასი ლარი. თუმცა, ამ ფაქტებზე კონკრეტულად საუბრისგან გრიგალაშვილი ამ ეტაპზე თავს იკავებს და გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნული ინფორმაციაც საჯარო გახდება.



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# სახალხო დიპლომატთა ქართულ-აფხაზური დიალოგის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ

*აფხაზეთში საომარი მოქმედებების გასრულების დღიდან თითქმის თერთმეტი წელი გავიდა. მას შემდეგ კონფლიქტის დარეგულირების საქმეში ჩართული სხვადასხვა ქვეყნის ემისრებისა თუ სხვადასხვა რეიტინგის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით ჩატარებული დაპირისპირებული მხარეების პოლიტიკოსების, სხვადასხვა რანგის ლიდერების შეხვედრები, ფაქტობრივად, უშედეგოდ მთავრდება. თუ რაიმე სახის შედეგზე შეიძლება საუბარი, ეს კვლავ სახალხო დიპლომატიის ეგიდით გამართულ მოლაპარაკებებისა და დიალოგების მონაწილეთა ერთობლივ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობას ეხება.*

გურამ ოდიშარია

სახალხო დიპლომატია ორი დიადი სიტყვისაგან შედგება: "ხალხი" და "დიპლომატია", ამიტომაც სახალხო დიპლომატებს სულ სხვა, განსხვავებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ და განსაკუთრებული მოვალეობა გააჩნიათ. ზოგიერთი ცნებას - "სახალხო დიპლომატია", ამჯობინებს "სამოქალაქო დიპლომატიას", ზოგიერთებიც - "არაოფიციალურ დიპლომატიას". პირადად ჩემთვის, მისაღებია "სახალხო დიპლომატია", რომელიც დღეს ყველაზე პოპულარულია საზოგადოებაში.

მე როგორც მონაწილეს, განსაკუთრებულად კარგად მახსენდება. 1997-1999 წლებში საერთაშორისო ორგანიზაციების: "მსოფლიო განგაშის" ("International Alert"), "შერიგების რესურსების" ("Conciliation Resources"), აშშ-ს კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ქალბატონ პოლა გარბის შუამავლობით ჩატარებული პირველი მოლაპარაკებები.

მაშინ ჩვენ, ქართველმა და აფხაზმა სახალხო დიპლომატებმა შევძელით, კონსტრუქციული დიალოგისათვის შეგვექმნა მშვიდი, შემეცნებით-შემოქმედებითი გარემო.

იმდენად, რამდენადაც ჩვენს ომგამოვლილ საზოგადოებებს შორის უნდობლობის ხარისხი ძალზე მაღალი იყო, პირველი შეხვედრები, შესაბამისად, ძალზე რთულად და ემოციურად ჩატარდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ორივე მხრიდან მრავალთა მიერ შექმნილ აკრძალვათა ბარიერები გადავლახეთ. ჩვენ გავხდით აკრძალული დიალოგების პარტიზანები და, ის კი არადა, ყოველივე ამის შესახებ ცოტა ხანში მასმედიასაც შევატყობინეთ. ჩემ თვალწინ, სამომავლოდ ჩვენს საზოგადოებებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის აუცილებლობის გამო, საკუთარ ტკივილს ძლევდნენ დიალოგში ჩართული, ომში უახლოეს ადამიანებდაღუპული მონაწილეები. ისინი ჩემთვის დღესაც ზნეობრივი გმირები არიან. თანაც ადვილი როდია, რამდენიმე ნაბიჯით გაუსწრო თავისი არსებობის უმძიმეს პერიოდში მყოფ საკუთარ საზოგადოებას, რომელმაც შეიძლება, დიდხანს ვერ გაგიგოს და არც გაპატიოს იმ ნაბიჯების გადადგმა.

მას შემდეგ, დაახლოებით, ოცდაათამდე მსგავს შეხვედრაში მაქვს მონაწილეობა მიღებული და ასევე მოწმე ვარ, თუ როგორ წარმართავდა დიალოგსა და საერთო საქმიანობებს ათეულობით ადამიანი.

ბევრ, კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებთათვის, წარმოუდგენლად პროგრესულია ქართველი და აფხაზი სახალხო დიპლომატების ურთიერთთანამშრომლობა.

მაგრამ, ამ წერილის მიზანი არ არის სახალხო დიპლომატიის წარმატებებზე საუბარი, არამედ მკითხველის ყურადღება მინდა, მის ხარვეზებზე და მის სადღეისოდ შექმნილ კრიზისზე შევაჩერო.

პირველი საფეხურები ჩვენ სწრაფად დავძლიეთ, ავირბინეთ კიდეც, მაგრამ შემდეგ დიდხანს მივაბიჯებთ ერთსა და იმავე სიბრტყეზე.

და ეს სიბრტყე უკვე დაფერდდა და, ჩვენ, თითქოს თვალისათვის შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც, ნელ-ნელა დაბლა ვეშვებით.

ყველასათვის ცნობილია კონსტრუქციული დიალოგის წარმართვისათვის ხელისშემშლელი გარემოებები: ქრონიკული, ხანგრძლივი კონფლიქტი, პერიოდულად ფეთქებადი სიტუაციები (მაგ; გალისა და კოდორის ამბები), მასშტაბური პოლიტიკური მოვლენები (საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნები) და სხვა. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ახალ-ახალ ნაღმებს ამატებს ჩვენს საზოგაოებებს შორის არსებულ ისედაც გულმოდგინედ დანაღმულ ველს.

ასეთ ვითარებაში წარმოუდგენელია სახალხო დიპლომატებს არ დაეშვათ შეცდომები, მაგრამ წინსვლა შეცდომების გამოსწორების, შეცდომებზე სწავლის (იმ შეცდომებზე, რომლებიც სინდისს გვილვიძებს), ხარვეზების ხედვის გარეშე შეუძლებელია.

ხარვეზების დაძლევა პერიოდული შეფასების გარეშე, ასევე წარმოუდგენელია.

სამწუხაროდ, ჩვენ მიერ წარმოებული საქმიანობა ვერ განვითარდა ჭეშმარიტ სახალხო დიპლომატიად. ჩვენ უფრო "ჯგუფურ დიპლომატიას" (მხოლოდ ერთი ჯგუფის ურთიერთობა მეორესთან) ვაწარმოებთ, ვიდრე "სახალხოს".

ზოგ შემთხვევაში ეს საქმიანობა აშკარად "ინდივიდუალურ დიპლომატიის" ხასიათსაც ატარებს.

მოხდა დიალოგის კაფსულირება.

კაფსულირებული დიალოგი, ინდივიდუალურ-ჯგუფური დიპლომატია პერიოდულად განახლებადი საომარი მოქმედებების დაწყების საშიშროების განმუხტვის წინააღმდეგ სრულიად უსუსური აღმოჩნდა.

უსურია ის განცხადებებიც, რომლებსაც ასეთ დროს პარტნიორები ვაკეთებთ, იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი დგას და არა მრავალრიცხოვანი საზოგადოება.

ამიტომაც ასეთი ჯგუფების ზემოქმედება საზოგადოებაზე უმნიშვნელოა.



*ერთ-ერთი პირველი ქართულ-აფხაზური შეხვედრა მოსკოვთან ახლოს, კონობეევოში 1999 წელს, რომელიც გურამ ოდიშარიას განცხადებით, ურთიერთნდობის მწვერვალი იყო. ცენტრში დგას შეხვედრის ორგანიზატორი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი პოლა გარბი. მის გვერდითაა აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ბათალ კობახია.*

ჩვენს შორის არსებული კარი იშვიათად იღება, ამიტომაც შეუცნობელი ხდება ჩაკეტილ სივრცეში არსებული რეალური პრობლემების ანატომია.

ჩვენი შეხვედრების ოთახში ერთ დროს განახლებული ჰაერი დღეს დამძიმდა. ჩვენ კი ვკამათობთ, გავაღოთ თუ არა ფანჯრები.

ჩვენ ვერ შევძელით ჩვენი საზოგადოებისათვის გაგვეცნო დიალოგის მონაწილეთა მოღვაწეობა. ამიტომაც ჩვენ ერთმანეთის საზოგადოებებისათვის მტრის თუ არა, მაინც არაკეთილმოსურნე ადამიანების სიმბოლოები ვართ.

ჩვენი შეხვედრები ერთმანეთს დაემსგავსა და თანდათანობით უახლოვდება სტაგნაციის რეჟიმს. დავკარგა პირველი დიალოგების ჰარმონია და გულწრფელობა, იმატა ურთიერთუნდობლობამ.

ჩვენ თავდაპირველადვე სწორად ვერ განვსაზღვრეთ ჩვენი ურთიერთობის, მოქმედების მოდუსი და ადამიანები, რომლებსაც ჩვენი ურთიერთობის მიკროსკოპული ცვლილებებიც უნდა გვეგრძნო, თურმე ნდობასთან ერთად, ნებით თუ უნებლიედ, უნდობლობასაც ვაშენებდით.

ჩვენ ვერ დავუმტკიცეთ ჩვენს საზოგადოებებს, რომ პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, ჩვენ, როგორც მომლაპარაკებლებს (переговорщики), სხვა მისია გაგვაჩნია. ჩვენ თავადაც ვერ განვსაზღვრეთ, პროფესიონალურად ვერ დავაკონკრეტეთ ჩვენი სამოქმედო არეალი.

ამის მაგალითიცაა ზოგიერთი ჩვენი საჯარო განცხადება, ინტერვიუ, ის ზოგიერთი კოლექტიური წერილი, რომელიც არ არის დაწერილი სახალხო დიპლომატების, კონფლიქტოლოგების, მომრიგებლების სულისკვეთებით.

ხანდახან ზოგიერთი ჩვენთაგანი ფარულად თუ აშკარად აგრძელებს ხელისუფალთა ოფიციალურ პოლიტიკას და, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება მათგან.

ვემსგავსებით ველოტრეკის მონაწილეებს, მათ, რომლებიც რბოლის დაწყებამდე დაძაბულად და უნდობლად აკვირდებიან ერთმანეთის მოქმედებებს.

ჩვენ ვერ გამოვიყენეთ კეთილსასურველი პერიოდები დიალოგის გასაფართოებლად. რაც უფრო ვიწროვდება დიალოგი, მით უფრო ფართოვდება კონფრონტაცია.

ადვილად ჩაგვითრია პოლიტიკურმა მორევმა და ამიტომაც ადვილი შესაძლებელი გახდა ჩვენი გაჩუმება.

ვერ გავხდით სხვებისთვის მაგალითის მაჩვენებლები.

საზოგადოებებში ჩვენ მიმართ იზრდება უნდობლობა და მრავლდება უარყოფითი სტრეოტიპები. ვინც საზოგადოებას ვერ უმტკიცებს თავის ჭეშმარიტებას, ის რეიტინგთან ერთად კარგავს შედეგსაც.

თუ დაპირისპირებული საზოგადოებების ლიდერების პირადი მტრობა ახანგრძლივებს და ამძაფრებს კონფლიქტს, ჩვენ ჩვენი ერთმანეთისადმი კეთილგანწყობილი ურთიერთობით ჯერ ვერ შევძელით "შეგვერბილებინა" კონფლიქტი.

ოფიციალური წრეების უსამართლო შემოტევისაგან ვერ დავიცავით ერთმანეთი, ვერ გავუფრთხილდით ერთმანეთის ავტორიტეტს და ამით კონფრონტაციული სულისკვეთების ადამიანთა თვალწინ და მათ გულის გასახარად საერთო საყრდენი მოვიშალეთ.

ამ მიზეზის წყალობითაც, ზოგიერთი ჩვენი კოლეგა იძულებული ხდება, სხვადასხვა ენით ისაუბროს სხვადასხვა საზოგადოებაში და სხვადასხვა სიტუაციაში.

საუბედუროდ, უკანასკნელ პერიოდში ჩვენ გავხდით შეზღუდული შესაძლებლობების ურთიერთობის ჯგუფი, მიუხედავად იმისა, რომ დღემდე დახარჯულია დიდძალი ინტელექტუალური თუ მატერიალური რესურსი.

ჩვენს საზოგადოებებში დღესაც ნაკლებად ვაკეთებთ თამამ, აუცილებელ და მართალ განცხადებებს.

ბოლო დროის კოსმეტიკურმა სახალხო დიპლომატიამ გამოიწვია ჩვენივე ინტელექტუალური გადაღლა.

ჩვენი ნაბიჯები ძალზე მოკლე გახდა და ჩვენ თითქმის ერთ ადგილს ვტკეპნით.

თუ ჩვენი ურთიერთობა და საქმიანობა შემოქმედებითად ვერ განვითარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ კავკასიურ ჩიხებს (კავკასია კი ჩიხების რეკორდსმენია) კიდევ ერთ ჩიხს შევმატებთ, ჩვენ თავადვე, ანუ ადამიანები, რომლებმაც ჩიხები უნდა შევამციროთ.

ჩვენ, მართალია, დროგამოშვებით, ვსაუბრობთ ხოლმე ტაბუირებულ თემებზე, მაგრამ ეს თემები ვერ გავხადეთ ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად.

ვერც ჩვენი ბიულეტენებად დასტამბული და წიგნად აწყობილი დიალოგები გავხადეთ უმრავლესობისათვის საინტერესო.

ჩვენს შეხვედრებში ვერ და არ "ჩავრთეთ" ახალი ადამიანები: დიალოგის ოსტატები, ახალი სამოქალაქო ლიდერები.

ძალაუნებურად გავხდით დაპირისპირებულ პოლიტელიტართა მოთხოვნების მძევლები.

ყოველთვის მაოცებდა ერთი რამ: რატომ ვერ პატიობენ ჩვენი საზოგადოებები შეხვედრებსა და დიალოგს რიგით ადამიანებს და ბუნებრივად ღებულობენ ძალაუფლების მქონეთა შეხვედრებს (მათ შორის კრიმინალების). ნუთუ, იმიტომ, რომ მათ ძალა აქვთ, ძალა, რომელიც აღმართს ხნავს.

ჩვენ ვერ შევძელით, ჩვენი ჩაის კოვზებით მოტანილი წყლით ხანძრის ჩაქრობა (ზოგიერთი იმ ჩაის კოვზით ნავთს ასხამდა).

ხანდახან თავად ჩვენი ხედვაც ვერ ცდებოდა შავ-თეთრ ფერებს, რის გამოც ახალ სტერეოტიპებს მივეცით გზა ფართო.

მდგომარეობა კი არ შეიცვლება, თუ ჩვენი საზოგადოებები არ შეიცვალნენ.

წინ ვერავინ ივლის, თუ მუდამ უკან იხედება.

ჩვენ ვერ მოვახერხეთ მშვიდობის იდეალებისა და მშვიდობის კულტურის საშუალებების სრულყოფილი რეალიზება; მხოლოდ მათი დეკლარირებაღა შევძელით. სიტყვა, ჯერჯერობით, საქმედ ვერ ვაქციეთ.

ამიტომაც ვერ შევცვალეთ ის გაბატონებული ვითარება, როდესაც საფრთხილოცაა და საშიშიც საუბარი და მსჯელობა ადამიანთა ნათელ ურთიერთობებზე, ურთიერთგაგებაზე და სიკეთეზე. ჩვენს საზოგადოებებში ჯერაც პოპულარიზებულია უარყოფითი ინფორმაციები, ისინი იმ ინფორმაციების ტყვეობაში იმყოფებიან.

ადამიანები, რომლებიც კომუნისტური სამშობლოს უამრავ სიყალბეს ეგუებოდნენ (ვთქვათ, რუხში გამართულ "ძმობის" შეხვედრებს), დღეს სხვა სიყალბეს შეეგუენ - მაგალითად, დამალო ადამიანებს შორის კეთილი ურთიერთობები (რომლებიც ჭეშმარიტი მშვიდობისა და ურთიერთგაგების საწინდარია) და აქციო ის ტაბუირებულ თემად.

სამწუხაროდ, ჩვენ მივეცით კარტბლანში ჩიხების დიდოსტატებს, პოლიტიკისა თუ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, რომლებსაც ხელს აძლევთ ასეთი მდგომარეობა და აშინებთ წარმატებული დიალოგი.

სწორედ რომ მარადი კონფრონტაციის, ომის პარტიელებს აწყობთ ფრთებშეჭრილი, კონტროლირებადი სახალხო დიპლომატია. ჩვენ მათ ადვილად ვუთმობთ სამოქმედო არეს და ხელს არ ვუშლით მათ აქტიურობას.

შეიძლება, ჩემს კრიტიკულ მოსაზრებას ზოგი არ დაეთანხმოს, ზოგმაც, შეიძლება, საერთოდ უარყოს ის ღვაწლი, რომელიც დღეს სახალხო დიპლომატიის მიღწევაა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საქმეში.

რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაანალიზებელი, საკამათო და დასადგენი. მე კი, როგორც იტყვიან, ჩემი სამრეკლო მაქვს. იქიდან ვლაპარაკობ, ასე ვხედავ და ასე მწამს.

სახალხო დიპლომატიის გზაზე ფეხშემდგარი ადამიანების მხოლოდ კეთილი განწყობა და კეთილი სურვილები არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად. ლოზუნგებისა და პირველადი განცხადებების დრო, დიდი ხანია, გასრულდა.

აუცილებლად მიმაჩნია განვლილი გზის ობიექტურად შეფასება, დიალოგის მაღალ ხარისხში აყვანა, ახალი, ნიჭიერი ადამიანების წარმოჩენა, შეხვედრების მონაწილეთა წრის გაფართოება, შეძენილი გამოცდილების განვითარება.

უპირველესად, აუცილებელია თვისობრივად ახალი შეხვედრების ჩატარება, რომლის დროსაც საფუძვლიანად გაანალიზდება რა ჩვენი უახლესი წარსული, ახალი შემოქმედებითი ხედვითა და გადაწყვეტილებებით განისაზღვრება ხვალინდელი სამოქმედო არეალი და ასე შემდეგ.

საწინააღმდეგო შემთხვევაში, ყველა ნიშნით, ჩვენ განწირული ვართ ხანგრძლივი კონფლიქტისათვის, რომელმაც მოსალოდნელია, თანდათანობით მუტაციაც განიცადოს და სრულიად არაპროგნოზირებადი გახდეს.

# ჯერ აფხაზები დავიბრუნოთ, მერე - აფხაზეთი

*ზუგდიდის სამხარეო ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში, სახალხო დიპლომატიის ეგიდით ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე: "ნდობა და თანამშრომლობა". შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს ენგურს გაღმა-გამოღმა სივრცეში ნდობის აღდგენისათვის საჭირო სოციალური, ეკონომიკური, სულიერ-კულტურული, ზნეობრივ-ტრადიციული თანამშრომლობის აღორძინების შესახებ. ყურადღება გამახვილდა კონფლიქტის ზონაში კრიმინალურ ვითარებასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის გზებზე. შეხვედრის ორგანიზატორები იყვნენ: ფრიდრიხ ებერტის ფონდი, აფხაზეთის ქალთა ასოციაცია "საბინები" და კავშირი "დემოკრატია და კეთილდღეობა". შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, საქართველოში გაერო-ს და ეუთო-ს მისიის წარმომადგენლები, კონფლიქტის ზონაში რუსი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლები, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერები, საქმიანი წრეებისა და მასმედიის წარმომადგენლები. გამოითქვა ბევრი საინტერესო, კონკრეტული წინადადება და მოსაზრება, რომელთაც საფუძვლად ედო ერთი სურვილი: "დავიბრუნოთ აფხაზები უფრო ადრე, ვიდრე დავიბრუნებთ აფხაზეთს!".*

ლელა მარგიანი

შეხვედრის ორგანიზატორებმა დამსწრეთ გააცნეს მათ მიერ ენგურის გაღმა-გამოღმა რესპონდენტთა გამოკითხვის საფუძველზე შემუშავებული 25-პუნქტიანი წინადადებების პაკეტი, რომელიც საერთო სურვილებს ითვალისწინებს. მათ შორის: ენგურის ხიდზე მცირე ვაჭრობის გამარტივებას, ზუგდიდი-გალის მიმართულებით, ენგურის ხიდამდე ავტობუსის რეისის დანიშვნას, გალის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, სასუქით, პესტიციდებით მომარაგებას, ცხოველთა და ფრინველთა დაავადების საწინააღმდეგო საშუალებების შეტანას, ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას და სხვა.

**რაფიელ გელანტია, კავშირი "დემოკრატია და კეთილდღეობა":** "ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაში მთავარ პრიორიტეტად საქართველოს მშვიდობიანი გამთლიანება გამოაცხადა.

ამით სახალხო დიპლომატებმა მძლავრი სამთავრობო მხარდაჭერა მივიღეთ. ამჟამად არავის შეუძლია უარყოს, რომ ადამიანებს ენგურს გაღმა-გამოღმა მოსწყურდათ ერთმანეთი, უნდათ ადამიანური ცხოვრება, თანამშრომლობა, შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერი მომავალი. ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, ჩვენთვის მთავარია, ადამიანებმა ირწმუნონ ნდობისა და თანამშრომლობის აუცილებლობა, რომელიც განმტკიცებული იქნება საქმით, ერთობლივი მატერიალური და სულიერი ინტერესებით".

**ჰაილი მამო, საქართველოში გაერო-ს მისიის პოლიტიკური მრჩეველი:** " ჩვენ სხვადასხვა მიმართულებით ვმუშაობთ. ესაა ეკონომიკური თანამშრომლობა, იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება და მათი უსაფრთხოების საკითხები".

**ნაპოლეონ მესხია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:** "ათი-თორმეტი წელი გავიდა. ყველას გვქონდა საშუალება შეგვეფასებინა, რატომ მოხდა ჩვენს შორის ასეთი რამ. ჩემი აზრით, ერთი გასაღები მოსკოვშია "გადანახული", მეორე გასაღები დევნილ მოსახლეობაშია. ჩვენ და აფხაზებმა ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ და გავუგოთ. ამჟამად, ყველაფერი დამოკიდებულია თბილისზე და პრეზიდენტის პოლიტიკაზე. ჩვენ მომხდარს სამართლებრივი პოლიტიკური შეფასება უნდა მივცეთ. უნდა გავიგოთ, რომ მათაც აქვთ თავისი სიმართლე. მაგრამ იმავდროულად, არ არსებობს ორი ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება ერთია - ქართველები და აფხაზები მუდამ ერთად იყვნენ და ისევ ერთად უნდა იცხოვრონ".

**სერგეი რუბინჩიკი, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენელი**: "სამშვიდობო ძალები იწონებენ ნებისმიერ წამოწყებას, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. სამშვიდობო ძალები ყველანაირად ხელს უწყობენ რეგიონში მშვიდობის დამყარებას (?!). ამას გარდა, უნდა აღვნიშნო - 97 ოფიცერი და ჯარისკაცი შეეწირა იმას, რომ ამ მიწაზე მშვიდობა იყოს".

**მურმან ჭედია, გალის რაიონის გამგებელი**: "გალის რაიონი, ისტორიული სამურზაყანო, ყოველთვის იყო დამაკავშირებელი ხიდი აფხაზეთსა და საქართველოს შორის. 35 ათასამდე დევნილია თვითნებურად დაბრუნებული. გალის რაიონში ამჟამად ოცდაათამდე ქართული სკოლა ფუნქციონირებს, რვაასი პედაგოგი უანგაროდ ემსახურება იქაური ბავშვების სწავლა-განათლებას. ჩვენ ორი წლის განმავლობაში გარკვეულ ფულად დახმარებებს ვუგზავნიდით მათ, მეტი ვეღარ შევძელით. გალელ პედაგოგებს ცენტრალური ხელისუფლების თანადგომა სჭირდებათ. როგორც გალის გამგებელს, მიმაჩნია, რომ შესაძლებელია გალის რაიონში შერეული ადმინისტრაციის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა".

**თამაზ ჯანაშია, აფხაზეთის სამედიცინო სამსახურის უფროსი**: "მე ბუღალტრად აფხაზი ქალი მყავს. მხოლოდ იმიტომ კი არ ვამუშავებ, რომ იგი ყველაზე საუკეთესოა, არამედ იმიტომ, რომ იგი აფხაზია. როცა აფხაზეთში დავბრუნდები და ჩემი აფხაზი მეგობრები შემეკითხებიან, რა გააკეთე შესარიგებლადო, მე გულწრფელად ვეტყვი, რომ 12 წელი, საყოველთაო უმუშევრობის პირობებში, "ვინახავდი" აფხაზ თანამშრომელს და იგი სამსახურიდან არ დამითხოვია".

**ვასილ მაღლაფერიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი**: "ნდობის აღდგენა ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს. სახელმწიფომ უნდა გაატაროს თავისი გეგმაზომიერი პოლიტიკა ამ საკითხში. რაც კეთდება, აფხაზებთან ერთად უნდა გაკეთდეს. ეს ძალიან რთულია, მაგრამ ჩვენ ეს უნდა შევძლოთ. მათთვის სამშვიდობო დიალოგში ჩართვა პრობლემაა, რადგან იქ სახელმწიფო ცენზურა არსებობს. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც დიალოგი ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადააქვთ. პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს საერთო საწარმოების გახსნა, სხვადასხვა სპეციალობის ადამიანების ხშირი შეხვედრების ორგანიზება, სახალხო დიპლომატიის მიერ მსგავსი შეხვედრების ჩატარება. იქიდან, აფხაზებიდან უნდა მოვიდეს ნდობა. სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში იყო პაუზა-სტაგნაცია კონფლიქტის მოგვარების პროცესში. დღეს ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ როგორ ამოვწუროთ კონფლიქტი. ვფიქრობ, 25-პუნქტიანი წინადადებების თითოეული პუნქტი არის სერიოზული ნაბიჯი კონფლიქტის გადასაწყვეტად".

**ლუიზა ეხვაია, ქვემო ბარღების გამგებელი**: "თუ მთავრობაში არ ჩაიდო აფხაზეთის დაბრუნების დიდი პროგრამა, თუ თითოეულმა ქართველმა გულთან ახლოს ისევე არ მიიტანა აფხაზეთი, როგორც ჩვენ - დევნილებს გვტკივა, არაფერი გამოვა. დიალოგი ყველაზე წარმატებული იქნება იმ ადამიანებს შორის, ვინც იქ გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით. საუკეთესო "დიალოგი" კი სწორედ იქ, გალში შესული ხალხია, სწორედ იქ ჩატარებული ქორწილები, სატირალი და გასვენებებია, რომლებიც ერთობლივად ტარდება. მე ძმა, ძმისშვილი, დედა გარდამეცვალა, სამივე იქ შევასვენეთ. ძალიან ბევრი აფხაზი გულწრფელად დასტიროდა ჩემს მიცვალებულებს. მე მივედი და მათ ამ გულწრფელი ცრემლებისთვის მადლობა მოვახსენე. აი, ეს არის ნამდვილი დიალოგი. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ ერთნი ვართ, ერთი შტოდან გამოსული, ჩვენ საერთო საძვალე გვაქვს - ჩვენი აფხაზეთი".

**ჯემალ გამახარია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი**: "როდესაც დევნილთა დაბრუნებაზე საუბრობენ, მხოლოდ გალის რაიონს გულისხმობენ. მაგრამ, რატომ მხოლოდ გალი?! საუბარია რკინიგზის გახსნაზე, ვინც აფხაზეთს კარგად იცნობს, იცის, რომ გუდაუთის გამოკლებით, რკინიგზის ხაზის გასწვრივ ცხოვრობდა ქართული მოსახლეობა. რატომ არ შეიძლება დევნილი მოსახლეობა ერთდროულად დავაბრუნოთ იმ რაიონებში, იმ სოფლებში, სადაც ქართველობა მცხოვრებთა 99 პროცენტს შეადგენდა?! მე მომისმენია აფხაზებისგან, რომ მათ არანაირი პერსპექტივა არა აქვთ რუსების ხელში, რომ რუსეთი მათ დაღუპავს. და ეს მომისმენია ისეთი აფხაზებისგან, ვინც აფხაზური სეპარატიზმის ცნობილი მამამთავარია, ვინც აგრესიულადაა განწყობილი. ჩვენ მათ უნდა გავაგებინოთ, რომ აფხაზების მტრები არა ვართ და რომ დაბრუნების შემთხვევაში, მათ "გადაყლაპვას" არ ვაპირებთ, არამედ მათთან ერთად ცხოვრება გვინდა.

**ია თიკანაძე, ფრიდრიხ ებერტის ფონდი**: "ჩვენი შეხვედრის ძირითადი ამოცანა იყო, იმპულსი მივცეთ, დავარწმუნოთ ხალხი, რომ თვითონ გააქტიურდნენ. ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა ამჟამად იწყება, ანუ იმის შეგნება ორივე მხარის მხრიდან, რომ უნდა მივეჩვიოთ რეალობას - რაც იყო, ის არასდროს აღარ იქნება. აფხაზებმაც უნდა გაიაზრონ, რომ ის, რაც დღეს არის, მუდმივად ასე არ იქნება. ამოცანა იმაშია, რომ მინიმალური ტკივილებით განხორციელდეს ეს გადააზრება და ჩვენი შერიგება".

**როზა ცინდელიანი, აფხაზეთის ქალთა ასოციაცია "საბინები":** "შეხვედრის მთავარი აზრი იყო, რომ მალე უნდა დამთავრდეს გაუგებრობა, რომ მიცვალებულები და დაღუპულები ორივე მხარეს გვყავს. მაგრამ საჭიროა, მალე დავივიწყოთ წარსული, ორივე მხარე დამნაშავე ვართ. ამიტომ ერთმანეთს უნდა ვაპატიოთ. დროა, უფრო ახლო ურთიერთობების და ნდობის აღდგენის შედეგად ვითანამშრომლოთ ყველა სფეროში. დიდია ამ საქმეში ქალთა როლიც. იმიტომ, რომ მშვიდობის მშენებელი ქალების მთავარი მიზანი ბავშვების სიყვარულში აღზრდაა. არც ქვეყანას აქვს მომავალი, თუ ირგვლივ სიძულვილი იქნება. მთავარია, ადამიანებმა ნდობისა და თანამშრომლობის აუცილებლობა ირწმუნონ. ჩვენი შეხვედრაც სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ჩვენი, როგორც სახალხო დიპლომატების სურვილია, ამიერიდან მოხდეს "ყველას დიალოგი ყველასთან, ყველას თანამშრომლობა ყველასთან!"

## სახელმწიფოს საგანგებო პრიორიტეტი



კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ძეგლთა დაცვაა.

B2

## რჩევები რუსთაველის დღისთვის



ჩილელები პაბლო ნერუდას 100 წლის იუბილეს 2 კილომეტრიანი ლექსების გორგალით აღნიშნავენ.

B3

## ბოლივიას ფრე სჭირდება



კოლუმბიამ მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.

B4

ნომრის სტუმარი

# სანამ თეატრები ისვენებენ

*თეატრალური სარდაფის ახალი სცენა გამუდმებით იზიდავს თბილისელ მაყურებელს და უცხოელ სტუმრებს. თეატრში, სადაც ჩვენი რეალობის, ყოფის გამოძახილის პასუხებით მაყურებელი ნუგეშს პოულობს, კლასიკის თუ თანამედროვე ელემენტების სინთეზი უფრო უცხო სანახაობად აღიქმება, საინტერესო თეატრალური ძიებანი გემოვნების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. რეჟისორ ლევან წულაძის (ჭოლას) მსოფლმხედველობაზე არა ერთხელ ყოფილა თეატრალურ წრეებში გამოთქმული აზრი. კრიტიკოსების აზრით, ის გერმანული კულტურის პარალელებს ქართულ ლიტერატურაში, პიესებში პოულობს და შემდეგ ანხორციელებს თეატრალური სარდაფის სცენაზე.*

*როცა ბატონ ლევანთან მივედი, ის რეპეტიციას გადიოდა ახალგაზრდა მსახიობებთან, რომლებიც უახლოეს მომავალში ახალი თეატრის დაბადებაში მიიღებენ მონაწილეობას.*

ელენე ფარადაშვილი

**- სცენის იდუმალებას თავისი ხიბლი აქვს. პირველად როცა მოგეცათ ეს სივრცე დასაუფლებლად, რა იფიქრეთ, მე ამისგან გავაკეთებ...**

- იყო ასეთი მომენტი. მე ვსწავლობდი სამსახიობოზე, მაგრამ იმ იმედით, რომ გადავიდოდი სარეჟისოროზე. ყველამ იცოდა, რომ რეჟისორობას ვაპირებდი და ამის ამბიცია მქონდა. ჯერ არ ვიყავი გადასული სარეჟისოროზე, რომ დავწერე პიესა. იმ პერიოდისთვის ეს იყო ავანგარდისტული რამ, ფანტასმაგორიული ელემენტებით, საერთო ჯამში კი გამოხატავდა პროტესტს რაღაც გაურკვეველის მიმართ. პიესა მივიტანე ბატონ მიშა თუმანიშვილთან. მე არ მქონდა იმის პრეტენზია, რომ პიესა ჩამოყალიბებული იყო, უბრალოდ, მინდოდა მეჩვენებინა - აი, მე დრამატურგიული აზროვნება გამაჩნია. და მოხდა სასწაული, ბატონმა მიშამ წაიკითხა პიესა.

**- ბატონი მიშა მკაცრი იყო შეფასებაში?**

- არა, ის მკაცრი იყო თავისი სტუდენტების მიმართ. მე მისთვის ვიყავი თავისუფალი ახალგაზრდა - მივედი მასთან და დავუტოვე პიესა წასაკითხად. მან ორ დღეში დამიბარა. მივედი და მითხრა, რომ ეტყობა მეტერლინკის გავლენა გაქვთო. ჩემთვის ეს ძალიან დიდი შეფასება იყო. შემდეგ შენუხებული სახით განაგრძო - მე ამის დადგმა არ შემიძლია და იქნებ თქვენ განახორციელოთ თქვენს მეგობრებთან ერთადო. ყველაზე სასაცილო ის იყო, - ბატონმა მიშამ გადაწყვიტა, რომ პიესა მას უნდა დაედგა.

**- ე.ი. შეფასება ათ ბალს უდრიდა? და ამან რაღაც ბიძგი მოგცათ?**

- ეს ბიძგი მე უკვე მიღებული მქონდა და ვიცოდი, რომ ბატონი მიშას შეფასება, ჩემთვის გადამწყვეტი იქნებოდა, მაგრამ თვითონ ფაქტი, რომ მან ეს ჰიპოთეტურად შესაძლებლად ჩათვალა, ჩემთვის დიდი სტიმული იყო.

**- მცირე დასის წარმომადგენლები გაფანტულები ხართ, სამომავლოდ თუ აპირებთ შეკრებას?**

- კი, როგორ არა. ეს იდეა ყოველთვის არსებობს ჰაერში. ჩვენ როცა ვხვდებით ერთმანეთს, სულ ამაზე ვლაპარაკობთ, თუმცა ეს რატომღაც არ ხერხდება, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ყველაფრის გახსენება ცოტათი მტკივნეულია ჩვენთვის. როცა მოხდა რომ ეს თეატრი აღარ იყო, ძალიან მტკივნეულად აღვიქვით ყველამ.

**- თქვენ თვითონ რეჟისორობა რომ გადაწყვიტეთ, სცენის დათმობა არ გაგიჭირდათ?**

- ბევრი წინააღმდეგობა შემხვდა ამ ამბავზე. მაშინდელი ჩემი პედაგოგები არ მირჩევდნენ ამ ნაბიჯის გადადგმას. რექტორი, ქალბატონი ეთერ გუგუშვილი, პირდაპირ მეუბნებოდა - რას მაიმუნობ, შენ არტისტი ხარ და არ მოგცემ ამის უფლებასო. ასე ვთქვათ, უფრო ჯინის და ჟინის მომენტი მქონდა.

**- თეატრალური სარდაფის ცხოვრებაში რაიმე სიახლე თუ არის მოსალოდნელი?**

- მაგალითად, ავიყვანეთ ახალგაზრდების ჯგუფი, შევქმენით თეატრალური სარდაფის სახელოსნო. ვფიქრობ, ერთი წლის განმავლობაში ეს ახალი ორგანიზმი რუსთაველის სარდაფში დაბადებს ახალ თეატრს.

**- თუ შეგიძლიათ წარმოაჩინოთ პიროვნება, რომლის სახე დღევანდელი ყოფის მატარებელი იქნება და ვინ არის ის?**

- მარჯანიშვილში ჩემ მიერ დადგმულ "ყვარყვარეში" არის დაახლოებით ასეთი პიროვნების კრებითი სახე. პირადად თეატრზე, მაქვს სურვილი გავაკეთო ბულგაკოვის პიესა მოლიერის შესახებ. ჩვენი თეატრის ყოფა არანაირად არ განსხვავდება იმისგან, რაც 4-5 საუკუნის წინ იყო.

**- თქვენ ბევრი სპექტაკლი დაგიდგამთ. საკუთარმა გამოცდილებამ უფრო მეტი მოგცათ, თუ წაკითხულმა, გაზიარებულმა, მოსმენილმა შენიშვნამ?**

- გამოცდილების გაზიარება ყოველთვის ამდიდრებს ადამიანს. საკუთარი გამოცდილება არის მთავარი არსენალი რეჟისორისთვის, ცხოვრებისეული გამოცდილება კი ეხმარება მას სწორი არჩევანის გაკეთებაში სცენაზე. მიღებული გამოცდილება ამდიდრებს საკუთარ გამოცდილებას, სხვისი მიბაძვა კი ყოველთვის ცუდია და სხვის გამოცდილებას თუ საკუთარ გამოცდილებად გადააქცევ, მაშინ ის სასარგებლოა.

**- თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გერმანულ კულტურას. მოახდინა თუ არა მან გავლენა თქვენს შემოქმედებაზე?**

- არ დავმალავ, რომ მიყვარს გერმანული ლიტერატურა, მე მაქვს ამის საფუძველი. ამ თემაზე ადრე დამცინოდნენ კიდეც, თუმცა ახლა გამოვსწორდი - ბოლო რამოდენიმე პიესა ქართული დავდგი, ახლა კი ვაჟა-ფშაველაზე ვმუშაობ.

**- თქვენი აზრით, დღეისათვის რომელი სკოლის გავლენა იგრძნობა თეატრებში ყველაზე მეტად?**

- რუსული სკოლის გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტდა. საკავშირო პროგრამები შეიცვალა ქართველი მსახიობის ტემპერამენტისა და მისი მენტალიტეტის გათვალისწინებით. ვერ ვიტყვი, რომ რუსული თეატრის გავლენამ ძალიან იკლო. ქართული თეატრი უნდა იყოს ქართული, მხოლოდ ისეთი, როგორც ქართველებს უყვართ და მოსწონთ, თუმცა რუსულ თეატრს აქვს ისეთი არაჩვეულებრივი ცოდნა და სიღრმე, რომელიც არასოდეს არ დააკლდება ქართველ მსახიობებსაც.

**- როგორ ფიქრობთ, საითკენ ვითარდება თანამედროვე ხელოვნება, მისი ტენდენციები?**

- ზოგადად ვერ ვიტყვი. თეატრი დღეს გადარჩენის გზაზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კულტურის ერთ-ერთი აქტიური ნაწილია, რომელიც ამუშავდა და მუშაობს, ცოცხლობს მეტად, ვიდრე სხვები. მიუხედავად ამისა, თეატრს მაინც არ აქვს ნაპოვნი თავისი ადგილი ქვეყნის ცხოვრებაში. მან ჯერ უნდა მოიზიდოს და გაზარდოს მაყურებელი, შემდეგ კი შეიძლება ლაპარაკი მის დახვეწაზე. ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძვით გადარჩენისათვის, ნახეთ, ახალი პიესები როგორ იწერება - მოკლე, ირონიული, სასიამოვნო, საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებული. ანუ ჩვენ მაყურებელს ასე ვეფერებით - ოღონდ მობრძანდით, ოღონდ თქვენ არა დაიღალოთ და ეს კანონზომიერია. დახვეწა დაიწყება მაშინ, როდესაც ქართული თეატრი მთლიანად დაისაკუთრებს იმ მაყურებელს, რომელსაც თეატრში მისვლა მხოლოდ ყოვლედღიურ რეჟიმში ჰქონდა.

**- ანუ თეატრალების ტრადიცია?**

- როცა ეს ტრადიცია აღდგება, მას შემდეგ მისცემს თეატრი თავს უფლებას დაიხვეწოს. თუმცა, ეს დახვეწა და განვითარება უკვე არსებობს, მე მგონი, არ უნდა ვიჩქაროთ. ყველაფერი კარგად იქნება, თუნდაც იმიტომ რომ, თბილისში იხსნება ახალი თეატრები.



*მიყვარს გერმანული ლიტერატურა, მე მაქვს ამის საფუძველი. ამ თემაზე ადრე დამცინოდნენ კიდეც, თუმცა ეხლა გამოვსწორდი.*

**- თანამედროვე რეჟისორის აბსტრაქტული აზროვნება კონკრეტულ მოქმედებაში უნდა აისახებოდეს, რაც ყოველთვის მოსახერხებელი არ არის მსახიობისთვის. მსახიობი კონკრეტულ პროგრამას უნდა ასრულებდეს. დაუშვათ, ის არ გეთანხმებათ, როგორ იქცევით ამ დროს?**

- მსახიობებთან შეხმატკბილებული ურთიერთობაც მაქვს და ტირანულიც. თავისუფლებას შემოქმედებით პროცესში ვაძლევ მსახიობს, რადგანაც მისთვის თავისუფლება სცენაზე აუცილებელი პირობაა. თუმცაღა, ვარ დიქტატორიც. სანამ მსახიობი ეძებს თავის როლს, ტკბილი ვარ, ხოლო როდესაც ის მიხვდება, გაერკვევა, რა უნდა გაკეთდეს, - უკვე ტირანი უნდა გავხდე, რადგან შემდეგ დიდი სიფრთხილეა საჭირო. რეჟისორი ხდება ერთგვარი გზამკვლევი მსახიობისათვის, რომელსაც ლაბირინთებში ხელჩაკიდებული გაყავს მთელი დასი აუცილებლად ერთად, რომ ვინმე არ დაიკარგოს. ერთხელ როცა გავივლით, მერე უკვე რეჟისორი ხდება დიქტატორი, რათა არ მისცეს მსახიობს გზიდან გადახვევის საშუალება.

**- თქვენი მეუღლე - მსახიობი მანანა კაზაკოვა სხვა ადამიანია სახლში და სხვა თეატრში? თქვენ მკაცრი შემფასებელი ხართ მისი როგორც კოლეგა? სად უფრო მკაცრი ხართ სახლში თუ თეატრში?**

- თეატრში ძალიან მკაცრი ვარ როგორც კოლეგის მიმართ. არ დავმალავ, ზოგჯერ უფრო მეტად, ვიდრე საჭიროა. მაგრამ სახლში თეატრზე თითქმის არასდროს ვლაპარაკობთ და ვისვენებთ.

**- რას ურჩევდით თქვენს ქალიშვილს მშობლების პროფესია რომ აირჩიოს? თქვენი აზრით, აქვს თუ არა მას ასეთი მონაცემები?**

- იმდენჯერ ვთქვი, ძალიან გამიხარდება თინათინი მშობლების პროფესიას თუ აირჩევსო, რომ ჩემმა მეუღლემ ჩათვალა, თითქოს გარკვეულ ზეწოლას ვახდენ ბავშვზე. მე მაინც ვფიქრობ, რომ მისი არჩევანი უნდა იყოს თავისუფალი, თუმცაღა, ჩვენს კვალს თუ გაჰყვება, მაინც გამიხარდება.



*ჭოლა და მერაბ ნინიძე*

**- კლასიკოსებიდან ვის ანიჭებთ უპირატესობას?**

- დრამატურგებიდან შექსპირს, როგორც თეატრის ხელმძღვანელს - მოლიერს, რომელიც ძალიან მიყვარს.

**- გერმანული კულტურის მიმართ დედამ გაგიღვიძათ ინტერესი?**

- დიახ, გერმანულ ბაღში დავდიოდი და ბავშვობიდან ვსწავლობდი გერმანულს. მერე ცოტა დამავიწყდა, ყოველ შემთხვევაში, გერმანული ნაწარმოებების კითხვა შემიძლია ორიგინალში. ძალიან მიყვარს გერმანული ლიტერატურა - გეოთე, კაფკა - უდავოდ კარგი მწერლები არიან; მიმაჩნია, რომ ლიტერატურაში, ყოველ შემთხვევაში, გარკვეული საუკუნეების განმავლობაში, ლიდერები არიან გერმანელები.

**- არის პერიოდი, როდესაც საკუთარი მოღვაწეობის გადაფასებას იწყებ. დადგა ეს ეტაპი თქვენს ცხოვრებაში?**

- არა, არასდროს არ ვფიქრობ. მორის ბეჟარს უწერია, - რაც ძალიან მომწონს, - არასდროს არ ვიხედები უკანო და სწორია. მე ვთვლი, რომ იმ სპექტაკლების შეცვლასა და გადაკეთებას, აზრი არა აქვს. პრემიერის შემდეგ ჩემთვის ძალიან მტკივნეულია, აღარ მომწონს დადგმული სპექტაკლი.

**- სპექტაკლის აღდგენაზე თუ გიფიქრიათ?**

- სპექტაკლის აღდგენა უფრო იაფი ჯდება. ის, რაც ერთხელ უკვე განცდილია, რა თქმა უნდა, შეიძლება კიდევ ერთხელ დაიდგას, მაგრამ ახალ პიესაზე უფრო ვფიქრობ.

**- უცხოეთიდან ხომ არ გაქვთ მიწვევა რომელიმე სპექტაკლის წაღებაზე?**

- კი, როგორ არა. ჩვენ ბევრს ვმოგზაურობთ, ერთი წელია, ცოტა მოვდუნდით, იმიტომ რომ, ჩვენთვის რეპერტუარის შექმნა უფრო მნიშვნელოვანია აქ. გასტროლი ბევრი გვქონდა, ინგლისში გვქონდა წაღებული "ფაუსტი".

**- როგორც ვიცი "გველის მჭამელის" დადგმას აპირებთ.**

- ჯერ არა მაქვს განაწილებული როლები, მსახიობებმაც არ იციან, ვინ რა როლს ითამაშებს, არის ჯგუფი ახალგაზრდების, რომელთანაც ტრენინგების ფორმით ვმუშაობ, სადაც ვეძებ ფორმას, დანარჩენს წინდაწინ არ ვამბობ.

**- თბილისში ყველას უყვარხართ, საქართველოს მასშტაბით კი ნაკლებად იცნობენ თქვენს თეატრს, ტურნეს მოწყობას ხომ არ გეგმავთ რეგიონებში?**

- საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ვართ ნამყოფი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. გასვლები გვქონდა ოზურგეთში, ჭიათურაში, თერჯოლაში. ასე ადვილად გაგვაქვს უფრო მარტივი სპექტაკლები დეკორაციის თვალსაზრისით, იმიტომ, რომ ძალიან გასაჭირია. თბილისის იქით, თეატრებში განათება თითქმის ყველგან გაპარტახებულია, რადიოფიცირება არასასურველ დონეზეა, აი, ეს უფრო გვაფერხებს. ამ ზაფხულს გეგმები შემოდგომისთვის გადაიდო, ოთხი, ხუთი სპექტაკლის წაღებას ვაპირებდით დასავლეთ საქართველოში იმ თეატრებში, სადაც ამის საშუალებას იძლევა ადგილობრივი თეატრი. ბორჯომი, ბათუმი, ახალციხე, ზუგდიდი გვინდა, შემოვიაროთ. ერთ თვეში სპექტაკლები თავისი დეკორაციებით ივლის, განსაკუთრებით ქუთაისში გვსურს, რადგან იქ ძალიან კარგი თეატრია.

**- რამდენიმეჯერ გქონდათ შემოთავაზება საზღვარგარეთიდან, საგასტროლო ტურნეს გასამართად...**

- სანამ ეს თეატრი გაიხსნებოდა, ჩვენი დასი ინტენსიურად მოგზაურობდა, ატარებდა გასტროლებს, მერე ცოტა მოვეშვით, წელს გვქონდა მოწვევა კორეაში, მაგრამ ამისთვის ვერ მოვიცალეთ და მერე უარი ვთქვით. შეიძლება ცოტა კიდევ გავიზარდეთ, დავბერდით და ამიტომ რეალურად ძალიან საინტერესო თუ არ არის, იქ უკვე ასე ბრმად აღარ ვთანხმდებით, ცოტას ვარჩევთ. შეიძლება არაა სწორი, მაგრამ ვარჩევთ იმიტომ, რომ თუ ძალიან ვჭირდებით, აუცილებლად დაგვიძახებენ და გვეძახიან კიდეც. წელს გვაქვს მიწვევა ვენეციის ბიენალეზე, კიდევ გერმანიაში, გაისად კორეაში და ა.შ. მე თავად არ ვარ მოწადინებული ამ მხრივ, ოღონდ სადმე გავიტანო სპექტაკლები, რადგან ცოტა ფინანსური ხელშეწყობაც არის საჭირო ჩვენი თეატრისთვის.

**- უახლოეს მომავალში თუ აპირებთ ისეთი სპექტაკლის დადგმას, რაზეც წლების განმავლობაში გიფიქრიათ?**

- რუსთაველის სარდაფში ვიცოდი, რომ რაღაც პიესების დადგმა ძნელი იყო და რაც დიდი სცენა გავაკეთეთ, რაზეც ვოცნებობ, დავდგამ. არ დავმალავ - "მინდიაზე" ვფიქრობდი ორი-სამი წელი, ვემზადებოდი ძალიან დიდი ხანი და ძალიან ვნერვიულობდი, მეშინოდა. ჯერჯერობით ვოცნებობ "მინდიაზე", მერე ვიოცნებებ შექსპირზე, მერე კიდევ შექსპირზე და ასე.

**- თეატრის შენობის გაფართოებას თუ აპირებთ ?**

- რუსთაველის სარდაფთან შედარებით გაფართოებულია, სცენაც უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა. თუ ძალიან გავმდიდრდით, შეიძლება დარბაზი გავადიდოთ მაყურებლისთვის და რადგან პირველი რიგი ძალიან შევარდნილია ავანსცენაში, გვინდა, მოვხსნათ.

**- საერთოდ რთული სიტუაციებიდან გამოსვლას როგორ ახერხებთ?**

- უნდა დაწყნარდე და რაციონალურად იფიქრო და არ დანებდე წინააღმდეგობისას. პირველ რიგში, ეს ჩემი ვალია თეატრში, მე ვარ გემის კაპიტანი, ხელმძღვანელი, ეს გემი რომ რამეს შეეჯახოს, არავის ბრალი არ იქნება, მხოლოდ ჩემი. ბოლო წუთში, წამშიც კი, თუ მაქვს საშუალება, უნდა გამოვასწორო მდგომარეობა.

**- რას უსურვებდით თქვენს თავს, თქვენს კოლეგებს, სარდაფის შემოქმედებით კოლექტივს?**

- არ შეეპაროთ დაღლილობა, სულიერიც, ფიზიკურიც... ყოველთვის ბავშვებივით უნდა იყვნენ. ეს ძალიან ძნელია. მსახიობმა ბავშვივით უნდა შეინარჩუნოს სიახლის აღქმის უნარი. ამას ვუსურვებდი ყველას, პირველ რიგში, საკუთარ თავს.




### კინოთეატრები

**"რუთაველი"**
"ადამიანი ობობა 2"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**"ამირანი"**
"მაგარი გოგოები"
დას: 14:00; 16:00 სთ.

"ცუდი აღზრდა"
დას: 18:00; 20:00; 22:00 სთ.

### გამოფენები

**დიდი მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალი**
საქართველოს სამუზეუმო კოლექციები მცხეთაში
თიანეთის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
აფხაზეთის მხატვართა საანგარიშო გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) და ზურაბ ჭედიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
გიგიშა პაჭკორიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (კერამიკა)

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ბაიას გალერეა"**
ამერიკელი მხატვრის ჰენრი უერდემანის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ქარვასლა"**
კოტე ჯინჭარაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "ეკრანი და ათი ვნება"

ჟან ჟაკ კრესდერის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა "4,5 კმ ფოტოგრაფია"

**"ჰობი"**
"კალეიდოსკოპი"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სახელმწიფოს საგანგებო პრიორიტეტი

## რესტავრაცია-კონსერვაცია - პროფესიად ქცეული მოვალეობა

ვერა ნეფარიძე

*რამდენიმე დღის წინათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მომხდარი ვანდალური აქტი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. რუსთაველის ფრესკის თემამ დააჩქარა პრიორიტეტად გამოცხადებული კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა. კომპლექსური სამუშაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ამ სფეროში შესაბამისი განათლების მიღება იქნება.*


იური ლობოდინის ფოტო

*კულტურის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ძეგლთა დაცვაა.*

ამიერიდან რესტავრაცია-კონსერვაცია სახელმწიფოს საგანგებო პრიორიტეტი ხდება და განათლებას ამ სფეროში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ამ მიზნით საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო სამხატვრო აკადემიასთან ერთად აარსებს პირველ, ერთიან, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის ფაკულტეტს. გიორგი გაბაშვილს არ დაუმალავს, რომ ამ იდეის განხორციელება სწორედ უკანასკნელ დღეებში იერუსალიმში მომხდარმა ფაქტმა დააჩქარა. გია ბულაძემაც დაადასტურა, რომ ბოლო წლებში ასეთი ფაკულტეტის გახნსაზე ფიქრობდნენ, მაგრამ განსაკუთრებული სიმძაფრით დღის წესრიგში მაინც უკანასკნელ დღეებში დადგა.

ფაკულტეტი სამხატვრო აკადემიაში დღემდე მოქმედი სარესტავრაციო უჯრედების ბაზაზე შეიქმნება, მაგრამ, როგორც გვპირდებიან, გაცილებით ფართო იქნება მისი სპექტრი. ფაკულტეტი გააერთიანებს: არქიტექტურას, კედლის მხატვრობას, გამოყენებითსა თუ მცირე ხელოვნებას; ხოლო სიძველეთა კონსერვაციის საყრდენი იქნება მეცნიერული საფუძველი, რომელიც ადგილობრივთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებაზე იქნება დაფუძნებული. ამას გარდა, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ხელი მოეწერა სამინისტროსა და "იკრომს" (კულტურული მემკვიდრეობისა და რესტავრაციის ცენტრი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მსოფლიოში კომპეტენტურ ორგანიზაციად მიიჩნევა) შორის მემორანდუმს, რომელიც საქართველოსთვის საერთაშორისო ინტელექტუალურ და ტექნიკურ დახმარებას ითვალისწინებს. შეთანხმების მიხედვით, ქართველი სპეციალისტები "იკრომში" პროფესიული გადამზადების კურსებს გაივლიან.

"ქართულ სულს ფრესკების ჩამორეცხვით ებრძვიან. ჩვენი მენტალობისთვის ამ ფაკულტეტს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვს", - გია ბულაძემ გუშინდელ შეხვედრაზე სამხატვრო აკადემიაში დაგეგმილ სიახლეზე თავად მოგვითხრო. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსაყოლი ბევრიც არაფერი ყოფილა. ფაკულტეტზე წელს მოსწავლეთა მიღებას, ალბათ, ვერ მოასწრებენ. ამ ეტაპზე მთავარი ამოცანა მაინც არსებული კადრების გადამზადება იქნება. რაც შეეხება კადრებს, როგორც ჩანს, ეს სერიოზული პრობლემაა ჩვენთვის – საქართველო პროფესიონალ რესტავრატორთა სიმცირეს რომ განიცდის, ჩვენთვის არც მინისტრის მოადგილეს, ნიკა ვაჩეიშვილს დაუმალავს.

"ჩვენ გვაქვს საშუალება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა პროფესიად ვაქციოთ. ამ საქმეში ჩვენი პარტნიორი იქნება "იუნესკო" და მისი ორგანიზაცია "იკრომი", სადაც თავს იყრის მსოფლიო გამოცდილება რესტავრაციისა და კონსერვაციის სფეროში", - გვითხრა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ.

სამინისტროში გამართულ გუშინდელ პრესკონფერენციას ცნობილი საოპერო მომღერალი ბადრი მაისურაძეც ესწრებოდა. როგორც გიორგი გაბაშვილმა განმარტა, მომღერალთან მას საქმიანი საუბარი ჰქონდა; მართალია, საუბრის დეტალები ჩვენთვის უცნობი დარჩა, მაგრამ, როგორც გიორგი გაბაშვილმა გვითხრა, საქმე ეხება თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დაგეგმილ რეფორმებში ქართველი ვარსკვლავების მონაწილეობას. რა ფორმით ჩაერთვება თეატრის სიახლეებში ბადრი მაისურაძე, არც ერთ მათგანს – არც თავად მომღერალსა და არც მინისტრს არ დაუკონკრეტებია. მაისურაძემ მხოლოდ ოპერაში ცვლილებებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა: "გავეცანი რეფორმის გეგმას და ევთანხმები, რადგანაც რეფორმა ჩვენს ოპერისა და ბალეტის თეატრში ნამდვილად საჭირო იყო. შემიძლია გითხრათ, რომ თეატრის განვითარების საკმაოდ საინტერესო გზა ისახება. არავის უნდა ეგონოს, რომ საქმე იოლად გაკეთდება, მაგრამ ამაში ყველანი მივიღებთ მონაწილეობას", - თქვა პრესკონფერენციაზე მოწვეულმა მომღერალმა.

# არტი მარკეტის გარეშე

თეონა ჯაფარიძე

გუშინ "ბაია გალერეამ" შარდენის ქუჩაზე მხატვრები, გალერისტები და კოლექციონერები ჟურნალ "არტ-მარკეტის" მორიგი ნომრის პრეზენტაციასა და გამოფენაზე მიიწვია. დამთვალიერებელს გალერეაში საკმაოდ სერიოზული ექსპოზიცია დაუხვდა, წარმოდგენილი თანამედროვე ქართველი მხატვრებითა და გუდიაშვილის პარიზული პერიოდის ჩანახატებით. დღეს თითქმის არარსებული ქართული არტ-ბაზრისთვის ჟურნალმა, შესაძლოა, მხოლოდ რეკომენდაციებისა და რჩევების ბუკლეტის როლი უფრო შეასრულოს: მაგალითად, "არტ-მარკეტის" ამ ნომერში ვრცელი სტატია ეთმობა მსოფლიოში უმდიდრესი მუზეუმების ქსელის – გუგენჰეიმის შექმნის ისტორიას, რომელსაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ნახშირისა და ოქროს ამერიკელმა მწარმოებელმა ბატონმა სოლომონ რობერტ გუგენჰეიმმა 60 წლის ასაკში დაიწყო კოლექციის შეგროვება და შემდეგ ნიუ იორკში მეხუთე ავენიუზე მუზეუმის აშენებაც გადაწყვიტა, რათა თავისი კოლექცია უკვე მუზეუმში მოეთავსებინა. დღეს მეხუთე ავენიუზე არქიტექტორ ფრედ ლოიდ რაიტის მიერ აშენებული პირველი გუგენჰეიმის გარდა, მსოფლიო უკვე ამ მუზეუმის მთელ ქსელს იცნობს ვენეციაში, ბილბაოსა თუ ბერლინში. ჟურნალი "არტ-მარკეტი" გუგენჰეიმის თემაზე ორ მთავარ აქცენტს აკეთებს: - აქცენტს **მეწარმის კოლექციონერობაზე** და აქცენტს მეწარმის სურვილზე - **კოლექციიდან მუზეუმამდე.** თუმცა, იმავე სტატიაში კიდევ ერთი მაგალითია მოყვანილი, ოღონდ მაგალითი ქართული რეალობიდან: ეს ქართველი კოლექციონერის – დავით ციციშვილის კოლექციის ისტორია გახლავთ, რომელიც მეპატრონემ ქალაქ რუსთავს გადასცა და რომელიც 1992 წელს ისე გაიძარცვა, რომ კოლექციიდან მხოლოდ ორი სურათი გადარჩა. რაც ყველაზე მეტად დამახასიათებელია ჩვენი რეალობისათვის ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც უშედეგოდ დასრულდა. და კიდევ ერთი ნიუანსი ქართული არალეგალური არტ-ბაზრიდან: ოფიციალურ ბაზარზე დღემდე არ გამოჩენილა არც ერთი სურათი ნაძარცვი კოლექციიდან. აი, ასეთ მინიშნებებს აკეთებს ჟურნალი "არტ-მარკეტი" ამერიკელ და ჯერჯერობით ერთადერთ ქართველ ფილანტროპზე, არტ-კრიმინალსა და კიდევ ბევრ სხვა რამეზე.

ჟურნალის ფურცლებზე დაინტერესებულ პირთათვის თბილისში არსებულ კერძო გალერეების სარეკლამო გვერდებსაც ვხვდებით, ერთი შედევრის ექსპერტიზის დაწვრილებით აღწერას, "ბულდოზერნიკების" ისტორიასა თუ პარიზში, გასული საუკუნის 30-იან წლებში მოღვაწე ქართველ მხატვრებზეც ვიგებთ საინტერესო ამბებს.

ჟურნალის გამომცემლებისა და მთავარი რედაქტორის, გალერისტი ბაია წიქორიძის თქმით, "ჟურნალი განკუთვნილია ხელოვნების რეკლამისა და პოპულარიზაციისათვის. "არტ-მარკეტი" დაინტერესებულ პირებს დაეხმარებათ კულტურის ფინანსური პოლიტიკის წარმოებაში, ნაწარმოების ფასისა დ მხატვრული ღირებულების შესაბამისობაში, კოლექციონერებთან და დილერებთან ურთიერთობაში. ხელოვნებასა და მომხმარებელს შორის კავშირში."


იური ლობოდინის ფოტო

*"არტ მარკეტმა" საზოგადოების ინტერესი გამოიწვია.*

"ბაიას გალერეაში" ჟურნალისა და გამოფენის ერთდროული პრეზენტაცია კიდევ ერთ, ქართული არტ-ბაზრისათვის დამხასიათებელ რეალობაზე უსვამდა ხაზს: არსებობს არტ-პროდუქტი და საკმოდ ფასეულიც (გალერეაში გამოფენილი ნამუშევრები) და არსებობს მისი რეკლამაც, მაგრამ აგერ უკვე საუკუნის დაგვიანებითაც კი, ჯერ-ჯერობით არ არსებობენ გუგენჰეიმები. შესაძლოა, სწორედ იმიტომ, რომ ჯერ საკმარისი "ქვანახშირი" ვერ ან არ მოუპოვებიათ. გზას "კოლექციიდან მუზეუმამდე" კი წინ აუცილებლად კოლექციის შექმნის სურვილი და ბიზნესინტერესი უნდა უსწრებდეს. "არტ-მარკეტი" კი, დარწმუნებული ვარ, მათ საინტერესო რჩევებს მიაწოდებთ.

# გირჩა

სანდრო ნავერიანი

თბილისელი კაცი ვარ, კარგად ვიცი ამ ქალაქის ავ-კარგი და არა მგონია, ვინმემ მასწავლოს, სად შეიძლება თავი გავირთო.

არავის შევეწინააღმდეგები, როდესაც მეტყვის, პარიზი თბილისს ჯობიაო. ხმას არ ამოვიღებ მაშინაც კი, როდესაც მეტყვიან, ბაქოც კი სჯობს თბილისსო, მაგრამ თბილისელი კაცი თავის მშობლიურ ქალაქში რომ გაერთობა, ეგრე ვერსად იხალისებს.

ქალაქში, რომელშიც ჩემი მეგობრები ცხოვრობენ. ქალაქში, რომელშიც ყველაფერი ცუდი და კარგი ესმით. ქალაქში, რომლის მოსახლეობაც პრობლემის გადასაჭრელად ამერიკელივით ფსიქოლოგთან კი არ მიდის, არამედ ძმაკაცებთან ერთად ჭიქას აწევს ან დაქალს ეჭორავება. ქალაქში, სადაც ფუნიკულიორია და შარდენის ქუჩა, აუცილებლად უნდა იყოს ისეთი გასართობი საშუალება, რომელიც ყველა ფენის წარმომადგენელს ერთნაირად გაუმასპინძლდება და საერთოდ უნდა იყოს ისეთი რამ, სადაც შეძლებ ისე გართობას, რომ "ლომკაში" არ დარჩე და სახლში უკმაყოფილო წახვიდე.

ახლა, ძირითადად, იმ კაფე-ბარებზე ვსაუბრობ, რომლებიც ძალიან ბევრია თბილისში, მაგრამ არც ერთი მათგანი მაღალი დონის არ არის და კაფე-ბარის სტატუსს არ ატარებს.

რატომ ვწერ ამ წერილს?

ორი დღის წინ ჩემს მეგობრებთან ერთად ლუდს შევექცეოდი "გირჩაში" (კაფე-ბარი). ჩვენ მეზობელ მაგიდას ოთხი ბიძური (მამაჩემის თაობის ხალხს ბიძურებს ვეძახი) ტიპი შემოუსხდა. ერთ-ერთმა ოფიციანტს დაუძახა და აი, იქ დაიწყო. "დაიკო, შენ იცნობ გიას?" - ეკითხება ერთ-ერთი ბიძური ოფიციანტს, რომელიც გიას არ იცნობდა. ბიძურმა ბევრი ილაპარაკა და ბოლოს თავის მეგობრებს შესთავაზა - "გირჩა" ხომ არ გვეყიდაო. დანარჩენმა ბიძურებმა თანხმობა გამოაცხადეს, რის შემდეგაც დაიწყეს ფულის შეგროვება. აღმოჩნდა, რომ ერთს ოცი ლარი ჰქონდა, მეორეს ცამეტი, მესამეს და მეოთხეს კი საერთოდ სიგარეტიც არ ჰქონია. "გირჩა" ვერ იყიდეს, მაგრამ მრავალჟამიერი წამოიწყეს, აი, აქ კი ერთმა ჩემმა მეგობარმა შემომჩივლა (თუმცა, მე არაფერ შუაში არ ვიყავი), არაფერი არ გვეშველებაო! ეეე, "ლასტოჩკა პივა მომიტანე" და "შენ დაგეძებ დილაა თუ ბინდია" რომ მინდოდეს, ლერის დუქანში წავიდოდი, "გირჩაში" კი არ მოვიდოდიო. მერე ისიც მითხრა, რომ არც "შანელის" ტრუსიკის გამოჩენა ვარგა და არც "ნინა რიჩის" ბიუსტჰალტერის გამარიაჟება, მაგრამ ეს უფრო მისაღებია, ვიდრე ჰარიჰარალეო იმიტომ რომ, ეს ბარია და არა პესკებზე განლაგებული რესტორანი, სადაც დუდუკებზე უკრავენ და ვიღაც განწირული ხმით კივის - ტოროლა ვარ ალიონზეო. ამაშიც მართალი იყო და რა უნდა მეთქვა?! არც არაფერი მითქვამს, უბრალოდ, თავი დავიქნიე, დავეთანხმე. ეს ის იყო, რაც "გირჩაში" მოხდა და რამაც გადამაწყვეტინა, ამ წერილის წერა, ახლა კი ის, თუ რას ვფიქრობ.

მესმის, რომ იმ კატეგორიის ხალხისთვის, რომელიც მამაჩემის თაობას მიეკუთვნება, რომელიც "ლედ ზეპელინს" უსმენდა, უნივერსიტეტის ბაღში დოსტოევსკის ძმებ კარამაზოვებზე საუბრობდა და საღამოს პრეფერანსს თამაშობდა, დღეს თბილისში არ არის ისეთი თავშესაქცევი, უხეშად რომ ვთქვა, "ზავიდენია", რომელშიც ისინი გაერთობოდნენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მაგრამ მათი ხიბლი იმაშია, რომ შეუძლიათ, ასე ვთქვათ, მოდას (ამ შემთხვევაში ცხოვრების სტილს) აყვნენ, რაც პირადად მე ძალიან მახალისებს.

მამაჩემის თაობის ხალხის ის კატეგორია კი, რომელიც ბავშვობიდან ეზოში დომინოს უბერავდა და რომლებსაც მშობელი ეძახდა - მოდი, საჭმელი ჩაცეცხლე, შე მიწა დასაყრელოო, სულ სხვანაირად მოქმედებენ ჩვენზე, თან ყოველთვის იქ ჩნდებიან, სადაც არ არის საჭირო.

წარმოიდგინეთ, რომ მე და ჩემი მეგობარი ნოდარი ვსხედვართ "გირჩაში", ვსაუბრობთ და ველოდებით ჩვენს მეგობარ გოგოებს. ამ დროს მოდის სამი ბიძური. ერთი "კრაზის" მძღოლი (არავითარ შემთხვევაში "კრაზის" მძღოლებს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მე იმ ხალხზე ვლაპარაკობ, რომლებიც ბავშვობაში დომინოს ყომარის მეტს არაფერს აკეთებდა და რომელმაც არ იცის ჰემინგუეის რა ერქვა), მეორე "სვარშჩიკი" (ამაზეც იგივე აზრის ვარ) და მესამე ვაჭარი, რომელსაც სირიიდან "ტავარი" ჩამოაქვს და მერე იტყუება, იტალიურიაო. ჰოდა, იწყებენ ღვინის სმას, რომელიც, მე მგონი, საერთოდ არ აქვთ "გირჩაში", მაგრამ ბიძურებმა ეს გაითვალისწინეს და თან წამოიღეს ათიანი შტოფი. დათვრნენ, გაილეშნენ, ყვირიან - ლასტოჩკა მწნილი მოგვიტანე, მწნილიო. ამასობაში ჩემთან და ჩემ მეგობარ ნოდართან მოვიდნენ ჩვენი მეგობარი გოგონები, დასხდნენ, და ამ დროს ერთ-ერთი ბიძური (ალბათ, ის, რომელიც სირიიდან ტავარს ეზიდება, დანარჩენ ორთან შედარებით უფრო გამოსულ ადამიანად ითვლება) მოდის ჩვენს მაგიდასთან და ჩვენს ერთ-ერთ მეგობარ გოგონას ეუბნება, წამო, ლეკური მეცეკვეო... ყველაფერს ვფიცავარ, ქართველმა ლეკურიც უნდა იცოდეს, ოსურიც და ხორუმიც, მაგრამ "გირჩაში"?! კარგი რა... ასე როგორ შეიძლება... ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმის მერე, რაც ბიძური ჩემს მეგობარ გოგოს სთხოვს ლეკური მეცეკვეო, მე ბოთლს ავიღებ ხელში და თავზე გადავამტვრევ. საბოლოოდ, შეიძლება ნაცემი გამოვიდე, მაგრამ ბოთლი ხომ მას მოხვდება თავში. ღმერთია მოწმე, რომ ძალიან ბევრი (ყოველ შემთხვევაში, ჩემი ტოლები) გამომექომაგება, მხარს დამიჭერენ.

ისე გამომივიდა, თითქოს მე არ მიყვარდეს ღვინის სმა და დუდუკები, არა, არ არის მასე, მე ძალიან მიყვარს ქეიფი და სიმღერა, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა და არა ისეთ ადგილას, სადაც მე თვითონ სხვა რამისთვის ვარ მისული.

**P.S.** ისეთო კაცებო (ქალები არ არიან შემჩნეული ასეთ სიტუაციებში), რომლებზეც ვლაპარაკობდი, ძალიან გთხოვთ, აგვისტოს დასაწყისამდე მაინც ნუ შემოხვალთ "გირჩაში" და სადაც გინდათ, იქ შედით. აგვისტოს შემდეგ კი, როდესაც მე ერთი წლით საქართველოდან წავალ, რაც გინდათ, ის აკეთეთ. თუ გინდათ, შიგ "გირჩაში" სეფა გაშალეთ და იქეიფეთ. ჩემი ჩამოსვლისთვის კი, ალბათ, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუნდაც ამ საკითხში.

# რჩევები რუსთაველის დღისთვის

ფილარმონიის ჩახუთულ დარბაზში "ვეფხისტყაოსნის" კითხვა და მოსმენა ერთი სიამოვნება იყო-მეთქი, ვერ დავამტკიცებთ. საშინლად ცხელოდა, ზოგიერთები კი ემოციებით სავსე ტექსტს ისე ულიმღამოდ კითხულობდნენ, თავისი ნაწარმოების ცნობა რუსთაველს უთუოდ გაუჭირდებოდა. თუმცა, ეს მაინც პირველი პრეცედენტი იყო და ამიტომ ძალიან ღირსშესანიშნავი. თბილისში ხომ მადრიდისა და სერვანტესის, დუბლინისა და ჯოისის და კიდევ ბევრ სხვა მაგალითზე, პირველად ვიზეიმეთ ასეთი საინტერესო ფორმით რუსთაველის დღე.

თუმცა, საყვარელი სტრიქონების ხმამაღლა დეკლამირება რუსთაველის გახსენების ერთადერთი ხერხი ნამდვილად არ არის. დამატებითი რჩევებისა და ორიგინალური იდეებისთვის თუ კონტინენტს მიღმა გახედვა არ დაგვეზარება, მივადგებით მშვენიერი ფლორიდის პატარა ქალაქ ქი უესტს, სადაც 20-25 ივლისს ჰემინგუეის დაბადების დღეს აღნიშნავენ ხოლმე. ეს ზეიმი უნიკალური და მრავალფეროვანია. მწერლისადმი მიძღვნილ უამრავ ღონისძიებაში სიხალისით ე.წ. "ორეულების კონკურსი" გამოირჩევა. ჭაღარათმიანი და ჩასუქებული მამაკაცები ყველანაირად ცდილობენ, გარეგნობითა და ქცევებით დაემსგავსონ საყვარელ მწერალს და გართობას ქალაქის ყველაზე პოპულარულ ბარში, "სლოუფი ჯოში" იწყებენ. როგორც ამბობენ, ეს ადგილი "ჰემინგუეის საყვარელი ლუდხანა" იყო. შემდეგ, ორეულები ქუჩაში ინაცვლებენ და ლაიმის ნამცხვრის ჭამაშიც ეჯიბრებიან ერთმანეთს – სანახაობების მოყვარული სტუმრები რომ გაართონ. ფესტივალზე ჩასულები, რა თქმა უნდა, არც ზეიმის მთავარ მიზეზს – ჰემინგუეის ლიტერატურას ივიწყებენ. ამაზე მწერლის შვილიშვილი ლორენი ზრუნავს. ყოველწლიურად ის ნოველების კონკურსს მართავს და რამდენიმეათასიან ჯილდოს ჰპირდება გამარჯვებულს.

ასეთია ჰემინგუეის ამერიკული ზეიმი, რომელიც რამდენიმე დღეში დაიწყება. თუმცა, მანამდე იდეებისთვის არც ჩილეში "გავლა" გვაწყენდა. იქ გუშინ და გუშინწინ ნობელის ლაურეატი პოეტის პაბლო ნერუდას ასი წლის იუბილე აღნიშნეს.

ნერუდა, რომელიც 69 წლის ასაკში გარდაიცვალა, ჩილეს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ელჩია დანარჩენ მსოფლიოში. მისი ნაწარმოებები სამხედრო რეჟიმის დროს იდევნებოდა. თუმცა, კვირას, ნერუდას დაბადების დღეს ერთი პარადოქსული რამ მოხდა – მოსახლეობას ზეიმის ორგანიზებაში სამხედროები ეხმარებოდნენ. ანუ, იგივე სისტემის წარმომადგენლები, რომლის მესვეურებმაც სამხედრო გადატრიალების შემდეგ ნერუდას სახლი გულმოდგინედ გაჩხრიკეს.

საპორტო ქალაქ ვალპარაისოში, ნერუდას სახლთან მისი პოეზიის მოყვარულები შეიკრიბნენ, ქაღალდის უზარმაზარი გორგალი რამდენიმე ქუჩაზე გაჭიმეს და საყვარელი ლექსებიდან ამონარიდებით გააფორმეს. ორგანიზატორებს იმედი ჰქონდათ, რომ ერთმანეთს გადააბამდნენ 1.2 მილის სიგრძის მქონე ქაღალდს და მსოფლიო რეკორდს დაამყარებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ საზღვაო ფლოტის აკადემიის სტუდენტები. ისინი ნერუდას თვითონაც უძღვნიდნენ ლექსებს.



ჩილელები პაბლო ნერუდას 100 წლის იუბილეს 2 კილომეტრიანი ლექსების გორგალით აღნიშნავენ.

"ჩილე შეიცვალა და ახლა ჩვენ, ყველანი პატივს მივაგებთ ნერუდას, ისინიც კი, ვინც მანამდე ამ პოეტის შემოქმედებითა და ბედით არასდროს ინტერესდებოდნენ. პირველ რიგში, შეირაღებულ ძალებს ვგულისხმობ", - აცხადებდა ჟურნალისტებთან საუბარში ქაღალდის გორგალზე გავრცობილი პოეზიის იდეის ავტორი როდრიგო ბუსტოსი.

მართლაც, პოლიტიკური შეხედულებებისა და პოეტური გემოვნების სხვადასხვაობის მიუხედავად, მთელი ჩილე ნერუდას ასი წლის იუბილეს რამდენიმე დღის განმავლობაში აღნიშნავდა. პოეტის დაბადების დღე ნომერ პირველი ახალი ამბავი იყო და რიგით გამვლელებს ყველგან ახსენებდა თავს – ტელევიზორშიც, მეტროში და ქუჩებშიც. პრესტიჟულმა რესტორნებმა და ქვეყნის ავიახაზებმა კულინარული სიურპრიზიც კი მოუმზადეს გარდაცვლილ პოეტს, მენიუ მისი Odas elementales-ზე დაფუძნებით შეადგინეს. თავისთავად საინტერესო მულტიმედიური გამოფენები მოაწყვეს მუზეუმებმა და კულტურულმა ცენტრებმაც.

ნერუდას ზეიმმა პიკს ორშაბათს მიაღწია – სანტიაგოდან პოეტის მშობლიურ ქალაქ პარალამდე სპეციალური სარკინიგზო რეისი, ე.წ. "პოეტის მატარებელი" გავიდა და ნერუდას შემოქმედების მოყვარულებს დაუვიწყარი შთაბეჭდილებები დაუტოვა. "როიტერის" ცნობით, ამ საყოველთაო ეიფორიაში სავაჭრო პალატა, მემარჯვენე მერები, ბიზნეს გაერთიანებები და პატიმრებიც კი ჩაერთვნენ.

უნდა ითქვას, რომ ნერუდას იუბილეს ასე მასშტაბურად აღნიშვნა ჩილესთვის მართლაც დიდი სიახლეა. ჩილელები, რომლებიც 1973-1990 წლების სამხედრო რეჟიმში ცხოვრობდნენ, გულწრფელად აღიარებენ, რომ დიდი პოეტის მნიშვნელობას ახლა თუ ხვდებიან. "მის შემოქმედებას არ ვიცნობდი ისე, როგორც საჭირო იყო, რადგან მე დიქტატურის შვილი ვარ", - აცხადებს პოპულარული ჩილელი მომღერალი ლუის ხარა. მართალია, ბევრი გაიხსენებს ერთი-ორ სტრიქონს მისი ადრეული კრებულიდან "ოცი სასიყვარულო ლექსი" (1924 წელს სწორედ ამ ლექსებით გაითქვა ახალგაზრდა ნერუდამ სახელი), მაგრამ მეტს ვეღარაფერს. ნერუდას ლექსების წაკითხვას პატარა ჩილელებს ხომ არც სკოლებში ავალებენ. ალბათ, სწორედ ამის გამოა, რომ საიუბილეოდ დასტამბული ანთოლოგიები ვერც ბესტსელერთა ნუსხაში მოხვდა.

არადა, ჩილელებს პაბლო ნერუდას პატივისცემა, უბრალოდ, ევალებათ. პოეტი ხომ ნობელის ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 1971 წელს დააჯილდოვა. და დროა, მისი მნიშვნელობა მშობლიურ ქვეყანაშიც ბოლომდე გაიაზრონ. ალბათ, სწორედ ამ მიზანს, პოეტის ჩილეს საზოგადოებაში რეაბილიტაციას ემსახურებოდა, ნერუდას 100 წლის იუბილეს ასეთი ზარ-ზეიმით აღნიშვნა.

ნერუდა პაბლო პიკასოსა და ფედერიკო გარსია ლორკას ახლო მეგობარი იყო. ესპანეთში დიპლომატიური მისიით გამგზავრებამ და იქ გაჩაღებულმა სამოქალაქო ომმა, ნერუდას მემარცხენეობა კიდევ უფრო გააღრმავა. ჩილეში დაბრუნების შემდეგ ის სენატორად აირჩიეს, მაგრამ 1949 წელს, როდესაც მთავრობამ კომუნისტების დევნა დაიწყო, ის ქვეყნიდან გაიქცა. დევნის პერიოდი 1952 წელს დამთავრდა...

პოეტი ზღვისპირა ქალაქ ისლა ნეგრაში, საკუთარ სახლში იწვა და კვდებოდა, როცა ალიენდეს ჩამოგდების შესახებ გაიგო, რასაც შემდეგ ანტი-კომუნისტური მოძრაობაც მოჰყვა. 12 დღის შემდეგ ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

"ამბობენ, რომ ნერუდას გული გაუტყდა და ამიტომ გარდაიცვალა", - უყვებოდა ექსკურსიამძღოლი ტურისტებს და თან ნერუდას საძინებელი ოთახისკენ მიუძღვებოდა, წყნარ ოკეანეზე მშვენიერი ხედით...

# იუსუფ ისლამი

## კაცი, რომელიც ქეტ სტივენსი იყო

მსოფლიო მას ქეტ სტივენსის სახელით იცნობს. ოდესღაც ის ულამაზეს სიმღერებს ქმნიდა და ასრულებდა – Moonshadow, Wild World და სხვა. ისიც ცნობილია, რომ შემდეგ მუსიკოსი ისლამს ეზიარა და დღემდე მის აქტიურ მქადაგებლად რჩება.

ამ კაცს შოუბიზნესში დიდი სიმაღლეების მიღწევა უნდოდა. ერთხელ მან თავის მენეჯერს უთხრა: "თუ პირველ კაცად მაქცევ, "როლს-როისს" გიყიდი". მენეჯერმა "როლს-როისი მიიღო", სიმღერების ავტორმა და შემსრულებელმა ქეტ სტივენსმა კი 40 მილიონი ალბომი გაყიდა – და 1978 წელს, 30 წლისა, სცენიდან გაუჩინარდა.

ქეტ სტივენსმა ისლამი მიიღო, და მას შემდეგ გაჭირვებაში მყოფთათვის ზრუნავს და ახალ სახელს ატარებს – იუსუფ ისლამი ჰქვია. დღეს უკვე 55 წლის მამაკაცის ცხოვრების ამბავი ბრიტანულ ფილმშია მოთხრობილი: "ქეტ სტივენსი – ნამდვილი ამბავი".

შვედი დედისა და კვიპროსელი ბერძენის ვაჟი სტეფენ დემეტრე გეორგიუ ლონდონში დაიბადა. მან სულ მალე აღმოაჩინა, რომ მუსიკა უყვარს, და გიტარაზე დაკვრა და სიმღერების წერა დაიწყო. ლამაზი თვალები ჰქონდა, კატისნაირი, და ამიტომ გოგოები "ქეტს" – "კატას" ეძახდნენ. ასე აირჩია მან ახალი სახელი და ერთ დღესაც პროდიუსერ მაიკ ჰარსტს მიადგა კარზე, მისთვის რამდენიმე სიმღერის შესასრულებლად.

პირველი ორი სინგლი I Love My Dog და Matthew and Son უმალვე ჰიტები გახდა. ქეტ სტივენსი ტურნეებს აწყობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტი მოუვიდა და გადაიტვირთა - ჭლექი შეეყარა.

1969 წელს ქეტი საავადმყოფოდან გამოვიდა და თან 50 ახალი სიმღერა გამოიტანა. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ყველაზე სახელგანთქმული მუსიკოსი უნდა გამხდარიყო. თვრამეტი თვის თავზე სამი ახალი ალბომი მზად იყო, და მისი სიმღერები მთელმა მსოფლიომ აიტაცა.

თავისი სიმღერების ტექსტების წყალობით ქეტმა არა მარტო ნიჭიერი, არამედ გონიერი ახალგაზრდის სახელიც მოიხვეჭა. ამ სიმღერებშიც კი გაისმა კითხვა, რომელიც მას მუდამ აღარდებდა, განსაკუთრებით კი გადატანილი ავადმყოფობის მერე – არ უნდოდა, ისე წასულიყო ამქვეყნიდან, რომ არ გაეგო, რისთვისაა მოსული.

1974 წელს მომღერალი კეთილი ნების ელჩის სტატუსით ეთიოპიაში გაემგზავრა. შემდეგ მას უფროსმა ძმამ ყურანი ათხოვა, რომელშიც ახალგაზრდამ მრავალი ნაცნობი სახელი ამოიკითხა – იმ წინასწარმეტყველებისა, რომელთა შესახებაც კათოლიკური სასკოლო გაკვეთილებიდან სმენოდა, მაგრამ რომელთა არსებობითაც დიდად არასოდეს დაინტერესებულა. და აი, ერთხელაც, მალიბუზე, დიდი უსიამოვნება შეემთხვა – კინაღამ დაიხრჩო. მაშინ ის ღმერთს დაჰპირდა, რომ აუცილებლად გადაუხდიდა მადლობას სიცოცხლის გადარჩენისთვის. 1977 წელს, იერუსალიმში მოგზაურობის შემდეგ კი ქეტ სტივენსმა აშკარად იგრძნო, რომ მის ღმერთს ალაჰი ერქვა.



ბრიტანელი ხელოვანი ქეტ სტივენსი და კონსერვატიული მუსლიმი იუსუფ ისლამი ერთად წერენ მუსიკას.

ერთი წლის შემდეგ ქეტ სტივენსი იუსუფ ისლამმა შეცვალა. იუსუფმა ცოლი დედის არჩევანის მიხედვით ითხოვა და დღესაც ამბობს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არც თავად შემცდარა, და არც დედამისი. ხუთი შვილის მამამ მთელი მსოფლიოს გაჭირვებულ ადამიანებზე ზრუნვა იტვირთა. მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი ბავშვები არიან, მათთვის ლონდონში ისლამური სკოლაც კი დააარსა. ამ საქმიანობისთვის მას "მსოფლიოს საზოგადოებრივი ჯილდო" გადაეცა.

იუსუფი ქველმოქმედებისთვის თავისი მუსიკით გაკეთებულ ფულს იყენებს. მან ისლამის მიღების შემდეგაც ჩაწერა რამდენიმე ალბომი, რომლებიც ტექსტუალური და მუსიკალური თვალსაზრისითაც მთლიანად მისი სარწმუნეობის გამოძახილია და აღარაფრით მოგვაგონებს ქეტ სტივენსს.

ახლა კი, პოპის სამყაროს მიტოვებიდან 25 წლის შემდეგ, "ბრიტანელი ხელოვანი ქეტ სტივენსი და კონსერვატიული მუსლიმი იუსუფ ისლამი ერთად წერენ მუსიკას". სამი ნაწარმოები უკვე დაწერილია, მოახსენა ხელოვანმა ბერლინულ გაზეთ tageszeitung-ს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა პოპის სამყაროდან გასულმა მუსიკოსმა უცხოურ გაზეთს ინტერვიუ მისცა.

"მე პოპ-ვარსკვლავი ვიყავი და პოპ-ვარსკვლავის ცხოვრებით ვცხოვრობდი. მაგრამ მაშინ პატარა ჭურჭელში ვიყავი გამომწყვდეული". ყურანთან შეხვედრა მან ამგვარად აღწერა: "სანთლით ხელში ვიდექი და უცებ მზე ამოვიდა. დღის ნათელში სანთელი რაში მჭირდება?"

ცხადია, გაზეთი ძალიან დაინტერესდა, რა დამოკიდებულება აქვს იუსუფს ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ამ კითხვაზე ქეტ-იუსუფმა ძალიან უდრტვინველად გასცა პასუხი. თურმე, ის შეერთებული შტატების მიმართ არანაირ სიძულვილს არ განიცდის, მაგრამ, მისი მტკიცე რწმენით, ჯორჯ ბუშს მის სათავეში არაფერი ესაქმება: "მე ვთვლი, რომ ამერიკელები მიამიტი ერია, ევროპული ერების განვითარების საფეხურამდე ძალიან ბევრი უკლიათ. ამიტომაც უშვებენ ამდენ შეცდომას. სადამდე აპირებს ამერიკა მისვლას? რა, მთელი მსოფლიო ამერიკული უნდა გახდეს? არა მგონია. მათ სხვა კულტურებთან მშვიდობიანი თანაარსებობა ჰმართებთ, მხოლოდ ამგვარად შეძლებენ წინსვლას. აი, ჯორჯ ბუშს შეხედეთ. მას ეს ადგილი არ ეკუთვნოდა, მას იქ არაფერი ესქმებოდა – და ეს ყველამ იცის!"

თუმცა, პოლიტიკაზე საუბარი ქველმოქმედი მუსიკოსის მიზანი არ ყოფილა. მას უნდა, კარგი ალბომი გამოუშვას და კარგად გაყიდოს – იმისთვის, რომ კვლავაც შეეძლოს თავისი უფლის სადიდებლად კეთილი საქმის კეთება.

# ყველაზე საინტერესო და ყველაზე შემოსავლიანი თემის ირგვლივ

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თუ რა ინტერნეტ-გვერდებს ჰყავს ყველაზე მეტი მნახველი და რა სახის ჟურნალ-გაზეთები იყიდება ყველაზე აქტიურად, საკმაოდ ბანალურ და ამავდროულად უცნაურ დასკვნამდე მივალთ: ადამიანებს სხვისი სექსის ამბავი ძალიან იტაცებთ.

ძირითადად, ამ სახის ინფორმაციაზეა მოთხოვნა: ვის რამდენი ფული აქვს, ვინ რა მიჰქარა და ვის როგორი სექსი ჰქონია. გამონაკლისი, ცხადია, არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის მკითხველიც კი, რომელიც "ფუჰ"-ო ბრძანებს და გაზეთს გვერდზე გადადებს, გულის სიღრმეში მაინც დაინტერესდება, ნეტა, კიდევ რა დაიმართა უბედურმა ბრიტნი სპირსმაო.

ამიტომ გაგახარებთ და ცხელცხელ ჭორებს გიამბობთ, ლამაზი, ჩერჩეტი, აუტანელი და სახელგანთქმული ადამიანების შესახებ: ვის რამდენი ფული აქვს, ვინ რა მიჰქარა და ვის როგორი სექსი ჰქონია.

ეს უკანასკნელი კითხვა პერის ჰილტონთან დაკავშირებით აღარ აღიძვრება – ისედაც ყველამ იცის. სხვა თუ არაფერი, ვიდეოჩანაწერი, რომელიც მისმა ყოფილმა საყვარელმა "გაუშვა", მრავალმა ნახა და დანარჩენებს, ვინც ვერ ნახეს, გულმოდგინედ და დაწვრილებით უამბო.

მილიონების მფლობელმა პერის ჰილტონმა გადაწყვიტა, რომ ნების მიერ ვითარებაში რამეს უნდა გამორჩე, და აღარ უჩივის იმ ინტერნეტფირმას, რომელმაც მისი და რიკ სალომონის სექსის ამსახველი კადრები გაავრცელა. ჰილტონი და მისი პარტნიორი შეთანხმდნენ, რომ აღარ იჩხუბებენ და ამის ნაცვლად – აბა, გამოიცანით! ვიდეოჩანაწერის ჩვენების შედეგად მიღებულ შემოსავალს პატიოსნად გაიყოფენ.

შემოსავალი კი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება. ოთხი წლის წინათ გადაღებული ეს 45 წუთიანი ფილმი, "ერთი ღამე პარიზში", რომელიც სალომონმა კალიფორნიის პორნოპროდუქციის უბანში მიიტანა, პირველსავე კვირაში 300 ათას ცალად იყო გაყიდული, და 33 წლის სალომონი არც მალავს, რომ მისი წყალობით არაერთი მილიონი მიიღო.

ო, როგორ მუხანათურად გაყიდა საძაგელმა სალომონმა მშვენიერი პერისის სიყვარული! მსგავსი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ბრიტნი სპირსის მშობლებს უნდათ, რომ მათმა ახლადდანიშნულმა ასულმა კარგად გააზრებულ საქორწინო კონტრაქტს მოაწეროს ხელი. თორემ ახლა ყოფილმა და ხანმოკლე ქმარმა, ჯეისონ ალექსანდერმაც წამოჰყო თავი. მან ბრიტანულ ბულვარულ გაზეთს News of The World-ს ლას ვეგასში დაწყვილების ყველაზე ინტიმური დეტალები უამბო – რომ მათ ველური სექსი ჰქონდათ, რომ ბრიტნი "საწოლში მხეცია", და – ეს ვისღა სჭირდება? – რომ ქორწინების ცერემონიის დროს ბრიტნის ჯინსების ქვეშ საცვალი არ ეცვა.



ნაომი კემპბელი მეტს აკეთებს, ვიდრე ლაპარაკობს.

მე რომ მკითხოთ, ისეთივე ყეყეჩური გამოსვლაა, როგორიც 30 კილოგრამით გამხდარი ანა ნიკოლ სმიტისა: მან მამაკაცთა ჟურნალ FHM-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ცხოვრებაში ყველაზე მაგარი სექსი ტეხასში, აპარტამენტებში, მოჩვენებასთან ჰქონია! აი, ეს მესმის!

ზემოთ ჩამოთვლილ ქერათმიან მანდილოსანთაგან განსხვავებით, ნაომი კემპბელი მეტს აკეთებს, ვიდრე ლაპარაკობს. ახლა მას ახალი საყვარელი ჰყავს, წინამორბედთაგან რადიკალურად განსხვავებული – "ოსკაროსანი" ადრიენ ბროდი, ანუ "პიანისტი". რომანი არნახული სისწრაფით განვითარდა: მათ ერთმანეთი მაისში, ნაომის დაბადების დღეზე გაიცნეს და სწორედ ახლა იახტით ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობენ. ყურადსაღებია, რომ იახტა ნაომის ყოფილ საყვარელს, ფორმულა-1-ის მენეჯერს, ფლავიო ბრიატოლეს ეკუთვნის.

რიგითი მოკვდავების გარდა, როგორიც, მაგალითად, დუბაელი მშენებლობის მაგნატი, მოჰამედ ალ ჰაბტური იყო, ნაომიმ მრავალი ვარსკვლავი "მოიარა". გაინტერესებთ, ვინ გააბედნიერა "შავმა ავაზამ"?

1989-1990 წლები მამაცმა ნაომიმ კრივის ლეგენდასთან, მაიკ ტაისონთან ერთად გაატარა. შემდეგი ორი წელი, როგორც ჩანს, გონს მოსვლას მოანდომა და, მისივე თქმით, "მამიკო" იპოვნა, რობერტ დე ნირო, რომელთან ურთიერთობის აღდგენას 1993-შიც ეცადა, მაგრამ ამაოდ. რობერტის გვერდით იმხანად ედი მერფის სახელმაც გაიელვა, მაგრამ სულ ცოტა ხნით.

მომდევნო წლების საყვარელ მამაკაცთა სახელები ჩვენთვის არაფრისმომცემია, ამიტომ 1996 წლით განვაგრძობ, როცა ნაომიმ ჯორჯ კლუნისთან დაიჭირა საქმე. ის რამდენიმე თვით უაღრესად სიმპათიურმა, ესპანელმა ფლამენკოს მოცეკვავემ შეცვალა.

ფლავიო ბრიატოლესთან ერთად ნაომი 1998-დან 2001 წლამდე იყო და, როგორც ამბობენ, ცოტა ხნის წინათ ძველი მეგობრები კვლავ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს. შუალედებში ნაომი თავს არ იჩაგრავდა: პამელა ანდერსონის ყოფილ ქმართან, ტომი ლისთანაც ჰქონდა რომანი, მამისტოლა ერიკ კლაპტონთანაც, ექსცენტრულ ლენი კრავიცთანაც და, როგორც ამბობენ, სილვესტერ სტალონესთანაც, მაგრამ ამ უკანასკნელის შესახებ დანამდვილებით არავინ არაფერი იცის, ასე რომ, წმინდა წყლის ჭორს მოგახსენებთ.

ახლა კი – ადრიენ ბროდი... საიდან სადაო?

მოკლედ

## კეჟმანმა "ჩელსისთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა



*კეჟმანი ამიერიდან აბრამოვიჩის გუნდში ითამაშებს.*

ახლახან მოგვარდა ყველა დეტალი სერბი მატეა კეჟმანის "პსვ ეინდჰოვენიდან" ლონდონის "ჩელსიში" გადასვლასთან დაკავშირებით. 25 წლის სერბმა ინგლისში მუშაობის უფლება მოიპოვა და "ჩელსისთან" 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"უაღრესად მოხარული ვარ, რომ ამ დიდი კლუბის ნაწილი გავხდი. პირველად მოლაპარაკება ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში დავიწყეთ, მაგრამ მაშინ რაღაც არ აეწყო. მიხარია, რომ ამჯერად კლუბებს საქმის მოსაგვარებლად მხოლოდ 24 საათი დასჭირდათ", - განაცხადა სერბმა ფორვარდმა.

პსვ-მ კეჟმანი ბელგრადის "პარტიზანისგან" 11 მილიონ ევროდ შეიძინა. 2002-2003 წლების სეზონში კეჟმანმა ჰოლანდიის ჩემპიონატში 35 გოლი გაიტანა და წლის შედეგების მიხედვით საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ხოლო პსვ ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. შარშანდელ სეზონში კი კეჟმანმა 31 გოლი გაიტანა და პსვ-ს ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირის ტიტული მოიპოვა. ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ ინგლისის პრემიერლიგაში მსგავსი მიღწევის გამეორება ძალიან ძნელი იქნება.

"ჩელსის" მსგავსი გუნდი სეზონში 60 მატჩს მაინც თამაშობს და მიზანი ყოველთვის ერთი აქვს - გამარჯვება, ამიტომ ასეთი დონის კლუბს ოთხი ფორვარდი სჭირდება, - განაცხადა კეჟმანმა, - მე ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ბრძოლა მომიწევს და ეს მხოლოდ გამაძლიერებს. ძალიან კარგად ვიცი, რომ ხანდახან სათადარიგოთა სკამზე ჯდომაც მომიწევს, მაგრამ ამის გამო ძალიან არ ვნერვიულობ. მე იმისთვის შემიძინეს, რომ გუნდს სარგებლობა მინდორზე მოვუტანო. მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ კლუბის ხელმძღვანელობას აუხსნა, რომ გუნდში ჩემი ხილვა სურს და ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ "ჩელსის" წინადადებას დავთანხმებოდი".

სერბი ფორვარდი ინგლისში "პსვ ეინდჰოვენში" თავის ექსპარტნიორ არიენ რობენს შეუერთდება. კეჟმანის უშუალო კონკურენტები კი ახალ გუნდში ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი, რუმინელი ადრიან მუტუ და არგენტინელი ერნან კრესპო იქნებიან, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ არგენტინელი ფორვარდი გუნდში დარჩენას გადაწყვეტს. ჟოზე მოურინიომ კრესპოს 21 ივლისამდე მოსაფიქრებლად დრო მისცა. არგენტინელი თავის მომავალ გეგმებში უნდა გაერკვეს.

"ყველაფერი მხოლოდ მასზე იქნება დამოკიდებული. მე არ მჭირდება ფეხბურთელები, რომლებიც მზად არ არიან, კლუბს მთელი ასი პროცენტით მიუძღვნან თავი," - განაცხადა მოურინიომ, რომელსაც კრესპოს წასვლის შემთხვევაში სხვა ფორვარდის მოძებნა მოუწევს.

## ივლისის ბოლოს შარაპოვა კორტს დაუბრუნდება

უიმბლდონის წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული მარია შარაპოვა კორტს 26 ივლისს დაუბრუნდება. 17 წლის ჩოგბურთელმა უიმბლდონზე გამარჯვების შემდეგ გადაწყვიტა, შეეცვალა თავისი გეგმები.

"ჩემს თანაშემწეებსა და მწვრთნელთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე, უიმბლდონის მომქანცველი ტურნირის შემდეგ გეგმები შემეცვალა იმისთვის, რომ ძალების აღდგენა მომესწრო, - განაცხადა მარია შარაპოვამ, - როცა სეზონის წინ გეგმებს ვადგენდი, რა თქმა უნდა, ვოცნებობდი, მაგრამ უიმბლდონს თუ მოვიგებდი, ნამდვილად არ მეგონა. ახლა კი ყველაფერი შეიცვალა".

მარია შარაპოვამ უარი განაცხადა სტენფორდის ტურნირში მონაწილეობაზე. ის აგრეთვე არ ითამაშებს ლოს-ანჯელესში დაგეგმილ შეჯიბრებაზეც. ამრიგად, ახალგაზრდა რუსი ჩოგბურთელი უიმბლდონის შემდეგ კორტზე გამოვა სან-სიეგოს ტურნირში, რომელიც 26 ივლისს აიღებს სტარტს. "მინდა, დარწმუნებული ვიყო, რომ შევძლებ, სეზონის დარჩენილი ნაწილიც ისევე კარგად ჩავატარო, როგორც უიმბლდონის ტურნირი", - განაცხადა მარია შარაპოვამ.

## დამატებითი მატჩი ტრიპოლიში

ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლიში დასრულდა საჭადრაკო მსოფლიო პირველობის ფინალური სერიის მატჩები, რომელიც ექვსი პარტიისგან შედგებოდა. მატჩი კი დასრულდა, მაგრამ გამარჯვებული ჯერაც უცნობია. უზბეკმა რუსტამ კასიმჯანოვმა და ინგლისელმა მაიკლ ადამსმა ეს მატჩი ყაიმით - 3:3 დაამთავრეს. ადამსმა, რომელიც შავი ფიგურებით თამაშობდა, მეექვსე პარტია 44-ე სვლაზე ყაიმით დაასრულა და მატჩის ანგარიში - 3:3 გახდა.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონის ვინაობას გაარკვევს დამატებითი ტაი-ბრეიკი, რომელიც სწრაფი პარტიებისგან შედგება. თუ საჭირო გახდა, ფინალისტები ბლიცსაც გაითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ფიდეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის გარდა, გამარჯვებული მიიღებს უფლებას, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის გარი კასპაროვს გაეჯიბროს.

მსოფლიო ჩემპიონატის საპრიზო ფონდი 1,5 მილიონ დოლარზე მეტია. ფინალისტი 70 ათას დოლარს მიიღებს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონი - 100 ათას ამერიკულ დოლარს. მსოფლიო ჩემპიონატებს ეგრეთ წოდებული ნოკაუტ-სისტემით ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია 1998 წლიდან ატარებს. იმ დროიდან მოყოლებული, მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ ანატოლი კარპოვი, ალექსანდრ ჰალიფმანი, ვიშვანათან ანანდი და რუსლან პონომარიოვი.

ფეხბურთი

# ბოლივიას ფრე სჭირდება

ლევან ბერიაშვილი



*კოლუმბიამ მეოთხედფინალის საგზური გაინაღდა.*

სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშების მატჩები A ჯგუფში ფრედ დასრულდა. ვენესუელამ - 1:1 ითამაშა ბოლივიასთან, ხოლო პერუს ნაკრები ჯგუფის ლიდერ კოლუმბიას დაუზავდა - 2:2. ამრიგად, მეოთხედფინალის საგზურები უკვე გაინაღდეს კოლუმბიამ და პერუმ. ბოლივიას კი მომდევნო ეტაპზე გასვლის თეორიული შანსი დარჩა.

ვენესუელის წინააღმდეგ მატჩი ბოლივიისთვის, შეიძლება ითქვას, უიღბლოდ დაიწყო. მინდორზე ვერ გავიდა გუნდის კაპიტანი კრისტალდო, რომელიც კოლუმბიასთან - 0:1 წაგებულ შეხვედრაში დაშავდა. ამას გარდა, მატჩის მე-16 წუთზე ტრავმა მიიღო ლიმბერტ პისარომ.

მიმდინარეობდა შეხვედრის 27-ე წუთი, როცა ვენესუელელმა რუბერტ მორანმა ანგარიში გახსნა. მან ისარგებლა ბოლივიელთა საკადრო პრობლემებით და თანაგუნდელთა შეტევა ზუსტად დააგვირგვინა. მან რიჩარდ პაესის ძლიერად დარტყმულს მიუსწრო და მეკარისგან მოგერიებულ ბურთს თითქმის ცარიელ კარში დაუმატა - 1:0.

ბოლივიის ნაკრებს მხოლოდ 6 წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა. 33-ე წუთზე ნახევარმცველმა გონსალო გალინდომ მეკარისგან მარცხენა დაბალ კუთხეში ზუსტი დარტყმით აღადგინა წონასწორობა. ბოლივიის ნაკრები მთელი მატჩის განმავლობაში კონტრშეტევებზე თამაშობდა. თავის გამოჩენის კარგი საშუალება ჰქონდა როხერ სუარესს, მაგრამ მატჩის საფინალო სასტვენამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჯგუფის მეორე მატჩში კოლუმბიისა და პერუს ნაკრები გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. კოლუმბიამაც და პერუმაც მეოთხედფინალში ადგილი გაინაღდა. აქ გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფში პირველ ადგილს. ფრე - 2:2 კოლუმბიას აძლევდა ხელს და მანაც პირველობა არავის დაუთმო.

კოლუმბიელებმა მეტოქე თავიდანვე შეავიწროვეს და 33-ე წუთზე ანგარიში გახსნეს. მარჯვენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ ფორვარდმა ედვინ კონგომ ზუსტად დაარტყა კარში. მეორე ტაიმის მერვე წუთზე კი კოლუმბიამ ანგარიში ორამდე გაზარდა. იმავე კონგომ ზუსტი პასით მოძებნა აბელ აგილარი და მანაც მეორედ აიღო მეკარე იბანიესის კარი.

ტურნირის მასპინძელ პერუს შვიდი წუთი დასჭირდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. ჯერ გუნდის კაპიტანმა ნოლბერტო სოლანომ ზუსტი საჯარიმო დარტყმით შეამცირა ანგარიშში სხვაობა, შემდეგ კი მე-60 წუთზე, ფორვარდმა ფლავიო მაესტრიმაც გამოიჩინა თავი.

ვარაუდის თანახმად, კოლუმბია და პერუ მეოთხედფინალში გავიდნენ. ბოლივიის ნაკრებმა კი ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. შეჯიბრების რეგლამენტის მიხედვით, მეოთხედფინალში თამაშის უფლება ჯგუფის ორ გამარჯვებულსა და უკეთესი მონაცემების მქონე კიდევ ორ მესამეადგილოსანს აქვს. იმისთვის, რომ ბოლივიამ უკეთესი მესამეადგილოსნის სტატუსი მოიპოვოს, აუცილებელია, ჩილესა და კოსტა-რიკის გუნდებს შორის მატჩი ფრედ - 0:0 ან 1:1 დამთავრდეს. სწორედ ამიტომ ბოლივია იმედოვნებს, რომ ეს მატჩი მისთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

რაც შეეხება ეკვადორის ნაკრებს, რომელიც ტურნირზე იმდენად უფერულად გამოიყურება, რომ აუტსაიდერის იარლიყიც კი მიაკრეს, იქ მოვლენები ისე განვითარდა, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი ერნან დარიო გომესი თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს. ვიდრე ფეხბურთელები ურუგვაისთან დამარცხების შემდეგ მინდორზე ურთიერთობას არკვევდნენ, გომესმა დარჩენა გადაწყვიტა. ამერიკის თასზე ჩაფლავების მიუხედავად, გომესი აცხადებს, რომ ყველაფერს იღონებს, რათა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანოს.

"მინდა, გუნდის გაწვრთნა განვაგრძო, - განაცხადა გომესმა, - მე დიდხანს ვსაუბრობდი ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტთან და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ უნდა დავრჩენილიყავი. მე მაქვს შანსი, გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიყვანო და ამისთვის ყველაფერს ვიღონებ".

ეკვადორის ნაკრებს "კოპა ამერიკაზე" მეოთხედფინალში გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი დარჩა. მაგრამ ამისთვის მათ, პირველ ყოვლისა, მექსიკის ნაკრები უნდა დაამარცხონ. მით უფრო, რომ მექსიკის ნაკრები ეკვადორთან სათამაშოდ შესუსტებული შემადგენლობით გამოვა. ვერ ითამაშებს გუნდის ფორვარდი ბორხეტი, რომელიც დის გარდაცვალების გამო სამშობლოში ბრუნდება. მექსიკელთა მწვრთნელმა რიკარდო ლავოლპემ განაცხადა, რომ არ იცის, შეძლებს თუ არა ბორხეტი ამ ტურნირში მონაწილეობის მიღებას.

# არსებული არარსებული სახელმწიფოს ნაკრები

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, ქვეყანა, რომელიც მსოფლიო რუკაზე არაა დატანილი, ფიფას წევრი ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ჰყავს. პალესტინამ, ქვეყანამ, რომელიც სახელმწიფოებრიობისთვის იბრძვის, ქვეყნის წარმოსაჩენად საფეხბურთო მოედანს მიმართა. პალესტინის ეროვნულ ნაკრებს, რომელსაც შინაურ კედლებში ასპარეზობის საშუალებაც კი არა აქვს, ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობა განუზრახავს. შესარჩევი მატჩებისთვის კი ყატარის დედაქალაქი დოჰა შეუგულებია. მაშ ასე, ბი-ბი-სის თვალით დანახული პალესტინის ნაკრები საკუთარი პრობლემებითა და მიზნებით.

### საფეხბურთო ერი?

პალესტინელებისთვის ეს სულ სხვა ბრძოლაა. ვიღაცა იარაღით ხელში იბრძვის სახელმწიფოებრიობისთვის. პალესტინელ სპორტსმენთა ჯგუფმა კი გადაწყვიტა, საკუთარი ქვეყანა საფეხბურთო მოედანზე წარმოაჩინოს.

პალესტინის ეროვნული ნაკრები 1994 წელს გახდა ფიფას წევრი. მსოფლიო საფეხბურთო ოჯახში გაწევრიანებით პალესტინელებს საშუალება მიეცათ, მონაწილეობა მიიღონ არა მარტო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში, არამედ, იმავდროულად, დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსით იმოქმედონ - იასპარეზონ.

მაშინ, როდესაც პალესტინელი ხალხი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, იურიდიულ და დიპლომატიურ სფეროებში აღიარებისთვის იბრძვის, არსებობს არცთუ ცუდი შანსი იმისა, რომ გერმანიაში, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, პალესტინის ეროვნული ნაკრები იმ 32 ქვეყნის გუნდებს შორის მოხვდეს, რომლებსაც ფინალურ სტადიაზე ასპარეზობის პატივი ექნებათ.

### პალესტინის გუნდი

ავსტრიელი მწვრთნელისთვის ალფრედ რიდლისთვის იოლი არაა გუნდის წვრთნა და შემდგომ საერთაშორისო მატჩებზე მისი ტარება. მწვრთნელის ქვეშევრდომები – ნაკრების მოთამაშეები – ოკუპირებულ ტერიტორაზე ცხოვრობენ, ზოგიერთი მათგანი კი პალესტინური დიასპორის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის (საბერძნეთიდან ჩილემდე) წარმომადგენლები არიან.

ნაკრების წევრები, რომლებიც სხვადასხვა კულტურისა და აღმსარებლობის არიან, მიზნის განსახორციელებლად წელებზე ფეხს იდგამენ. მიზანი კი სტადიონის თავზე აღმართული პალესტინის დროშაა, მატჩის წინ აჟღერებული ქვეყნის ჰიმნი და საფეხბურთო მაისურებზე ამოქარგული ეროვნული დროშა. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ სიხარული მიანიჭონ თანამემამულეებს, მათ, ვინც ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან უცხოურ დიასპორებში.

სტადიონის უქონლობისა და მწირი ბიუჯეტის გამო პალესტინის გუნდი შინაურ მატჩებს ყატარის დედაქალაქ დოჰაში ატარებს. ხშირად კი გუნდის მენეჯერებს ბილეთის თუ ახალი სათამაშო ფორმის შესაძენი სახსრების გამონახვა უჭირთ.

### სიამაყე მინდორზე

ბევრი მოთამაშისთვის პალესტინის სახელით ასპარეზობა პოლიტიკური საკითხია.

“როდესაც ნაკრებში მქონდა დებიუტი და ჰიმნს ვმღეროდით, ვგრძნობდი, რომ ყველაფერი მიცახცახებდა, - ბი-ბი-სი-სთან საუბარში განაცხადა გუნდის მეკარემ რამზი სალეჰმა. – როდესაც დავინახე, თუ როგორ აღიმართა პალესტინის დროშა, ტანში დამაჟრიალა. იმ წუთში ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი გავაკეთე ხალხისთვის”.

ბევრმა მათგანმა ფეხბურთი მაშინ შეიყვარა, როდესაც არაბული გუნდების, განსაკუთრებით კი ცნობილი ეგვიპტური კლუბების “ალ-ალისა” და “ზამალეკის” მატჩების ტრანსლაციებს უცქერდნენ. გულდასაწყვეტი ის იყო, რომ თავად არ შეეძლოთ თამაში - პალესტინის ტერიტორიაზე არ არსებობს საკუთარი ჩემპიონატი.

“ყველაფერი პირველი ინტიფადის დასაწყისისას – 1987 წელს დასრულდა”, - იხსენებს ნაკრების კაპიტანი საებ ჯენდეია. მეტიც, ნიჭიერ, პერსპექტიულ მოთამაშედ შერაცხული ნაკრების ნახევარმცველი ტარიკ კუტო ამჟამინდელი აჯანყებისას იქნა მოკლული.

ახლა მათ დახმარების ხელს უწვდიან. ნახევარი წლის წინათ პალესტინელ ბიზნესმენთა ჯგუფმა, რომელიც სამშობლოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, გადაწყვიტა, ეროვნულ ნაკრებს ფულით დაეხმაროს. “თუ ეროვნულ გუნდს რაიმე დასჭირდა, იგი მას მიიღებს”, - ასეთია ნაკრების გულშემატკივრის ტაისირ ბარაკატის პირობა.

კალათბურთი

# სერბეთი - ქართველთა ბოლო შანსი

პაატა თოთაძე



*ვიქტორ სანიკიძე საუკეთესო იყო ქართველთა შორის.*

სარაგოსაში მიმდინარე ჭაბუკ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გუშინ მესამე მარცხი იწვნია. ფრანგებისა და იტალიელების შემდეგ ქართველები ამჯერად რუსებმა დაამარცხეს დიდი ანგარიშით - 94:65.

როგორც ყოველთვის, ბრძოლამ ამჯერადაც ძირითადად სამ კაცზე, ვიქტორ სანიკიძეზე, მანუჩარ მარკოიშვილსა და გიორგი ცინცაძეზე გადაიარა. მათ შორის საუკეთესო იყო სანიკიძე - 26 ქულით. შედარებით ცუდად ითამაშა მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელმაც მხოლოდ 14 ქულა მოიპოვა, რაც დაეტყო კიდეც გუნდს. გიორგი ცინცაძე გუნდს 18 ქულით შეეწია. მარცხი იმანაც განაპირობა, რომ საქართველოს ნაკრების ლამის ნახევარი ვირუსით არის ინფიცირებული. ამის გამო გამყრელიძე და ხურცია დღემდე საავადმყოფოში არიან და, შესაძლოა, ვერც დღევანდელ გადამწყვეტ მატჩში მიიღონ მონაწილეობა, სამი მათგანი კი უშუალოდ რუსეთის ნაკრებთან მატჩის წინ დააყენეს ფეხზე, თუმცა, ბუნებრივია, სრულად ვერ გამოავილეს საკუთარი პოტენციალი. ნაწილობრივ ამის გამო იყო, რომ ზემოთ ნახსენები სამეულის გარდა, მოედანზე მყოფებმა ერთად მხოლოდ 7 ქულა მოიპოვეს. ასეთ ვითარებაში არათუ რუსეთის, ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ურთულესი საქმეა.

რუსთაგან ორი ნიკიტა - შაბალკინი და კურბანოვი გამოირჩნენ. ისინი წინა მატჩებშიც სხვებზე უკეთ თამაშობდნენ და თავისი მაღალი კლასი საქართველოს ნაკრებთან შეხვედრაშიც დაამტკიცეს - კურბანოვის ანგარიშზე 27 ქულაა, შაბალკინმა კი 20 ქულა მოიპოვა.

ამ მოგებით რუსებმა, ფაქტობრივად, გაინაღდეს ჯგუფიდან გასვლა, ქართველებმა კი საამისოდ დღეს აუცილებლად უნდა დაამარცხონ სერბები. მართალია, რუსეთთან წაგების შემდეგ ჯგუფიდან გასვლის შანსი მნიშვნელოვნად შეგვიმცირდა, მაგრამ სანამ ის არსებობს, ცდა არ უნდა დავაკლოთ, რომ ეს შანსი გამოვიყენოთ. სერბთა ძლევა კი, ამ ქვეყნის საკალათბურთო ტრადიციების მიუხედავად, სულაც არ არის შეუძლებელი. ბოლოს და ბოლოს, ისინიც იმ გუნდებმა დაამარცხეს, ვინც ჩვენ მოგვიგო.

კალათბურთი

# "საკაიფო" ტრანსფერი

სანდრო ნავერიანი



შაკილ ო`ნილი "ლეიკერსიდან" მიდის.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ ამერიკელი და არა მარტო ამერიკელი გულშემატკივარი საზაფხულო ლიგებითა და სენსაციური ტრანსფერებით ირთობს თავს.

2004 წლის დრაფტი რომ უკვე ჩატარდა, ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მთავარი სწორედ ახლა იწყება. ახლა იწყება ის, რაზეც საკალათბურთო სამყაროს სალაპარაკო გაუჩნდება. სპეციალისტები ბევრ ავ-კარგს იტყვიან ამა თუ იმ განხორციელებულ თუ განუხორციელებელ ტრანსფერზე და თავის პოზიციასაც ისე დააფიქსირებენ, რომ თუ მათი პროგნოზი არ გამართლდა, თავდახრილი არ ივლიან.

უკანასკნელი სეზონის დასრულებასთან ერთად ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა შაკილ ო`ნილისა და კობი ბრაიანტის შესაძლო ტრანსფერებმა გამოიწვია, თუმცა, ჯერჯერობით ეს უკანასკნელი არსად წასვლას არ ფიქრობს. მეტიც, ბრაიანტმა იმდენი ქნა, რომ შაკილ ო`ნილი ლოს-ანჯელესში დარჩენას საუნივერსიტეტო გუნდში გადასვლასაც კი ამჯობინებს... ეს, რა თქმა უნდა, არ მოხდება, მაგრამ "ლეიკერსზე" ნაკლებად ტიტულოვან კლუბში რომ გადავა და გაცილებით ნაკლები ჯამაგირი ექნება, ამას წყალი არ გაუვა.

შაკილ ო`ნილის აგენტმა განაცხადა, რომ "შაკი" "მაიამი ჰიტში" გადადის. ამრიგად, "შაკი" ბრუნდება ფლორიდაში, თუმცა, არა "ორლანდო მეჯიქში", სადაც სახელი გაითქვა, არამედ მაიამიში. აღსანიშნავია ისიც, რომ ახლა შაკილ ო`ნილი ორლანდოში ცხოვრობს და, ალბათ, უკვე კარგად ნაფიქრი და გადაწყვეტილი აქვს მაიამის გუნდში თამაში. თუ ეს ტრანსფერი შედგა, მაშინ "მაიამი ჰიტიდან" "ლოს-ანჯელეს ლეიკერსში" ოთხი კალათბურთელი გადავა. მათი სახელები უკვე ცნობილია: ლამარ ოდომი, კერონ ბატლერი, ბრაიან გრანტი და მეოთხე მოთამაშე, რომელიც კალიფორნიულ კლუბში ითამაშებს, დრაფტის პირველ წრეში არჩეული კალათბურთელი იქნება. შეთანხმებაზე მხოლოდ იმიტომ არ მოუწერიათ ხელი, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორკვირიანი მორატორიები არ დასრულებულა.

მოკლედ, საქმე იქითკენ მიდის, რომ "შაკი" მზიანი ფლორიდის (თუმცა, მზე მას არც კალიფორნიაში აკლდა) შტატში გააგრძელებს თამაშს. მართალია, მაიამური კლუბი არ არის მრისხანე და ტურნირის ფავორიტი, მაგრამ ყველამ ვნახეთ, თუ რისი გაკეთება შეუძლია კარგად მოტივირებულ და დისციპლინირებულ გუნდს (ვგულისხმობ "დეტროიტ პისტონზს").

ო`ნილის ჯერ არშემდგარ ტრანსფერთან დაკავშირებით კალიფორნიული გუნდის რამდენიმე მოთამაშემ თავისი მოსაზრება გამოთქვა. **დერეკ ფიშერი:** მე ზუსტად ვიცი, რომ "შაკს" ძალიან უნდა "ლეიკერსში" დარჩენა, მაგრამ, ვფიქრობ, იგი აიძულეს, რომ გუნდიდან წასულიყო. ამის მთავარი მიზეზი კი კობი ბრაიანტია. **ლიუკ უოლტონი:** არა მგონია, შაკილ ო`ნილის წასვლა რაიმე თვალსაზრისით კობი ბრაიანტთან იყოს დაკავშირებული. უბრალოდ, ვთვლი, რომ "შაკი" ფილ ჯექსონის ხელში ჩამოყალიბდა, როგორც დიდი კალათბურთელი და სწორედ ჯექსონის წასვლამ იმოქმედა მასზე. **კარიმ რაში:** ძალიან ძნელია, დისციპლინა დამყარდეს ისეთ გუნდში, სადაც ორი მოთამაშე ერთმანეთს ლიდერობას ეცილება. "შაკი" და კობი კი ყოველ შეხვედრაში ასე იქცეოდნენ. ვთვლიდი და ვთვლი, რომ ამ ორი კალათბურთელიდან ერთ-ერთს უნდა დაეტოვებინა კლუბი. **კობი ბრაიანტი:** მე და "შაკი" ძალიან ახლო მეგობრები ვართ, რაც არაერთხელ დაგვიმტკიცებია მოედანზე და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ ბოროტი ხმები იმდენს აკეთებენ, ხალხი დააჯერეს, რომ ჩემსა და ო`ნილს შორის რაღაც უთანხმოებაა... ის, რომ მოედანზე რაღაც უთანხმოება მოგვდიოდა, არაფერს ნიშნავს. კალათბურთი თამაშია, ჩვენ კი ადამიანები ვართ. ადამიანები კი რობოტები არ არიან, შეცდომა არ დაუშვან... ბევრს ვლაპარაკობ იმიტომ, რომ ნერვები აღარ მყოფნის... თავად შაკის ჰკითხეთ და ის გიპასუხებთ, რატომ ტოვებს კლუბს და რა ურთიერთობა გვაქვს მას და მე.

ასე აფასებენ ო`ნილის "მაიამი ჰიტში" გადასვლას მისი თანაგუნდელები. თავად "შაკი" არავითარ კომენტარს არ აკეთებს და ყველაფერს, რისი თქმაც უნდა, თავის აგენტს აბარებს. ისიც პირს დაალებს და, სულ არ ანაღვლებს არაფერი, ყვება ყველაფერს, რაც კი ო`ნილისგან მოუსმენია.

ყველაფერთან ერთად "ლეიკერსმა" შეიძლება კობი ბრაიანტიც დაკარგოს. საქმე ის არის, რომ კობი ბრაიანტის საქმე (როგორც იცით, მას ბრალს სდებენ გაუპატიურებაში) ჯერ არ დასრულებულა. 27 აგვისტოს გაგრძელდება მისი სასამართლო პროცესი, რაც შეიძლება ბრაიანტის 20-წლიანი თავისუფლების აღკვეთით დასრულდეს. მანამდე კი კობი ბრაიანტს, როგორც თავისუფალ აგენტს, უამრავი შეთავაზება აქვს სხვადასხვა კლუბიდან. მათ შორის ყველაზე სარფიანია "ლოს-ანჯელეს კლიპერსის" ექვსწლიანი კონტრაქტი, რომელზეც ხელის მოწერის შემთხვევაში ბრაიანტი ას მილიონ დოლარს მიიღებს.

მანამ, სანამ "ლეიკერსი" ინგრევა, სხვა კლუბები თავიანთ საქმეებს წყნარად და მშვიდად აგვარებენ. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალისტმა "ინდიანა პეისერზმა" მცველი სტეფენ ჯექსონი გადაიბირა, "ატლანტა ჰოუქსმა" კი ფორვარდი ელ ჰარინგტონით შეავსო თავისი რიგები. არგენტინელმა ემანუელ ჟინობილიმ კი, სულ ცოტა, ექვსი წლით გააგრძელა კონტრაქტი "სან-ანტონი სფურზთან". ამ ექვს წელიწადში ის 52-55 მილიონ დოლარს მიიღებს და ამ მაჩვენებლით ყველაზე მაღალანაზღაურებადი არგენტინელი სპორტსმენი გახდება. ისიც აღსანიშნავია, რომ გასულ შაბათს ჟინობილიმ თავის ძველ ნაცნობ გოგონაზე იქორწინა. თუ სპორტული არხის ESPN-ის საინფორმაციო სააგენტოს დავუჯერებთ, მაშინ თავისუფალი აგენტი ანტონიო მაკდაისს "დეტროიტ პისტონზის" ხუთწლიან კონტრაქტში 30 მილიონ დოლარს სთავაზობს. ის ოთხი წლის განმავლობაში 23 მილიონს მიიღებს, ხოლო დანარჩენ შვიდ მილიონს იმ შემთხვევაში, თუ მეხუთე სეზონში სამოცზე მეტ მატჩს ჩაატარებს. "პისტონზის" ხელმძღვანელობა მაკდაისის აყვანას აპირებს თურქი მეჰმეტ ოკურის ადგილზე, რომელსაც "იუტა ჯაზმა" 50-მილიონიანი კონტრაქტი შესთავაზა. დეტროიტელები კი ჯაზმენებს წინააღმდეგობას არ უწევენ, რადგან რაშიდ უოლასის (ის თავისუფალი აგენტია) გუნდში დარჩენის იმედი აქვთ.

ჭიდაობა

# რეპეტიციები ბერძენ-რომაელთა მონაწილეობით



ჩაჩუა შინ დატოვეს.

გიგა გურასაშვილი

საოლიმპიადო წელია და, ბუნებრივია, მწვრთნელები და სპორტსმენები წელებზე ფეხს იდგამენ, რომ ათენში ყველაზე უკეთ იასპარეზონ. ვის რა გამოუვა, ამის წინასწარ განჭვრეტა ძალზე ძნელია, მაგრამ ფაქტია, რომ ბერძენ-რომაელთა ნაკრები გამალებული ემზადება ოლიმპიური თამაშებისთვის.

დღეს ბერძენ-რომალეთა ნაკრებმა ვარშავისკენ აიღო გეზი. ვიდრე გზას გაუდგებოდნენ, ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბეგი დარჩიას მეთვალყურეობით ბაკურიანში გადიოდნენ შეკრებას, ყურადღებას კი, ძირითადად, ფიზიკურ მომზადებაზე ამახვილებდნენ.

პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრების წინ ნაკრების მწვრთნელს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- ბაკურიანში შეკრებით თუ ხართ კმაყოფილი და რით განსხვავდებოდა ის წინა შეკრებებისგან?**

- რაკი მზადების პირველი ეტაპი იყო, ყურადღება ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა გადატანილი. თუმცა, ხალიჩაზეც ვმუშაობდით. 18-დღიანი შეკრება გვქონდა და უნდა გითხრათ, რომ კმაყოფილი ვარ. წინ კიდევ არაერთი მოსამზადებელი ეტაპი გვაქვს.

**- როგორც წესი, დიდი ასპარეზობების წინ, მით უმეტეს, თუ ეს ოლიმპიური თამაშებია, ნაკრებები ფრთხილობენ. თქვენ კი საერთაშორისო ტურნირზე მიდიხართ...**

- ამ მხრივ არანაირი საშიშროება არ არსებობს, თანაც, იგივე მდგომარეობაში იქნებიან სხვა ნაკრებებიც.

**- რა დატვირთვა ექნება პოლონეთში ასპარეზობას? ალბათ, მზადების დონე თუ გინდათ შეამოწმოთ...**

- პოლონეთში შედეგებისთვის არ მივდივართ. ჩვენთვის ახლა მნიშვნელოვანია, გუნდი იყოს მომზადებული. ამ ტურნირს უფრო რეპეტიციის დატვირთვა ექნება. რაკი ოლიმპიელთაგან ევროპის ჩემპიონატზე არავის უასპარეზია, აუცილებელია, ბიჭებმა საშეჯიბრებო გამოცდილება მიიღონ. ოღონდ რამაზ ნოზაძის (96კგ) გარდა, ყველა (ირაკლი ჭოჭუა 55კგ; მანუჩარ კვირკველია 66კგ; მუხრან ვახტანგძე 84კგ;) ზედა წონით კატეგორიებში იასპარეზებენ. მძიმეწონოსანი მირიან გიორგაძე კი - თავისთავად.

**- ასე რატომ გადაწყვიტეთ?**

- იმიტომ, რომ ახლა ბიჭები წონაში არიან მომატებული. აქედან გამომდინარე, წონის დაკლებაზე რომ არ იწვალონ, მათ შესაბამის კატეგორიებში ასპარეზობის საშუალება მივეცით.

**- აკაკი ჩაჩუას გარდა, ყველა მიგყავთ. მისი დასვენება რატომ გადაწყვიტეთ, სხვაზე მეტადაა დაღლილი თუ მის ასაკს** (იგი 35 წლისაა.-რედ.) **ითვალისწინებთ?**

- ჩაჩუას გამოცდილებისა და ასაკის გათვალისწინებით საჭიროდ არ ჩავთვალეთ მისი პოლონეთში წაყვანა.

**- შინ დაბრუნების შემდეგ სად განაახლებთ ვარჯიშს?**

- ორი შეკრება გვექნება ურეკში. 19 აგვისტოს კი ათენში გავემგზავრებით.

ჩოგბურთი

# მოუსმინეთ ჩოგბურთს ხუდადოვზე, ჩეროში

სანდრო ნავერიანი



უიმბლდონის შემდეგ ფედერერმა კიდევ ერთი ტურნირის მოგება "მოასწრო".

დრო მიდის. დროს ვერაფერი შეაჩერებს. საჩოგბურთო ტურნირები კი გრძელდება და ქვეყნიდან ქვეყანაში გადადის.

დიახ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, ისევ მე ვარ და ისევ ჩოგბურთზე უნდა გითხრათ ერთი-ორი "სლავეჩკა". გეუბნებოდით, შეეშვით ამ ფეხბურთს-მეთქი, მაგრამ დამიჯერეთ რო? ორი წლის წინ, მსოფლიო ჩემპიონატი რომ იწყებოდა, ჩემთვის ზეიმი იყო, მაგრამ რაც ფრანგებმა სენეგალთან წააგეს, ურუგვაისთან ფრე ითამაშეს და დანიასთან დამარცხდნენ, გული ამიცრუცდა ფეხბურთზე. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალებში ზიდანებს, დელ პიეროებს, რაულებს ველოდი და მათ ნაცვლად ანჯენსანები, სიოგუნები და აღა მაჰმად ხანები მივიღე. ალბათ, ისიც გეცოდინებათ, რომ თბილისის "დინამოს" მეორე შემადგენლობამ დანიური "ბრონდბიუ" დაამარცხა.

ნამეტანი გამიგრძელდა ფეხბურთზე ლაპარაკი. არადა, ჩოგბურთზე უნდა მელაპარაკა.

ყველამ იცის, რომ ჩოგბურთის ქალთა სამყარომ მარია შარაპოვას სახით ახალი ვარსკვლავი გამოჩეკა, ხოლო მსოფლიოს მამაკაცებს ახალი სექს-სიმბოლო გამოუჩნდა. კიდევ რა მოხდა? რა და, ფედერერმა "უიმბლდონის" შემდეგ მშობლიურ შვეიცარიაში კიდევ ერთი ტურნირი მოიგო. მოკლედ, რაებს შვრება ეს ბიჭი, პირდაპირ გასაგიჟებელია. ვამბობდი, ფედერერი თავის ეპოქას შექმნის-მეთქი.

ბრიტანელი გრეგ რუსედსკი ნიუპორტში გამართული პირველობის ტრიუმფატორი გახდა. ისე, ერთ დროს ყველაზე ძლიერი მოწოდების მქონე რუსედსკი საერთოდ აღარ ჩანდა პრესტიჟული ტურნირების მეოთხედფინალებში თუ ნახევარფინალებში (ფინალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია). მის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ გამსჭვალული და, ალბათ, ამიტომაც გამიხარდა მისი გამარჯვება.

შვედეთში, კერძოდ, ბასტადში გამართული ტურნირი კი ზედიზედ მეორედ არგენტინელმა მარიანო ზაბალეტამ მოიგო. სწორად ზაბალეტამ გამოთიშა ამ ტურნირიდან ირაკლი ლაბაძე. ვინ იცის, ლაბაძეს რომ მოეგო, მერე რა მოხდებოდა.

ახლა კი ჰორიზონტზე სამი მაღალი დონისა და მაღალი საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი იმართება. ერთი -შტუტგარტში, მეორე - ამერსფორტში (ჰოლანდია) და მესამე –ლოს ანჯელესში. ჩოგბურთელები სამივეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც შტუტგარტში მიმდინარე მერსედესის თასის ტურნირია. მისი საპრიზო ფონდი 614,750 ევროა. შტუტგარტის შარშანდელი ტურნირი არგენტინელმა გილიერმო კორიამ მოიგო და ახალი "მერსედესიც" მიიღო. ალბათ, არგენტინაში ვერა, მაგრამ იქვე სადმე წავიდოდა.

ამერსფორტში მიმდინარე ტურნირის საპრიზო ფონდი 375,750 ევროა. ეს ტურნირი შტუტგარტში მიმდინარე პირველობასთან შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბრძოლა არ იქნება. ბრძოლა, რა თქმა უნდა, იქნება, თანაც, ისეთი, რომ დედა შვილს არ აიყვანს ხელში. ამ პირველობის შარშანდელი ტრიუმფატორი ჩილელი ნიკოლას მასუ გახლდათ.

მესამე და ყველაზე პატარა საპრიზო ფონდის მქონე ტურნირი, რომელიც ლოს ანჯელესში იმართება, მერსედეს-ბენცის თასის გათამაშებაა. ამ პირველობისთვის სულ რაღაც 380,000 დოლარია გამოყოფილი. შარშან ამ ტურნირის ფინალში სამხრეთაფრიკელი ვეტერანი უეინ ფერეირა და ჯეელი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ამ ტურნირებზე უკვე შედგა ნაწილი შეხვედრები, მაგრამ მათზე საუბარი, უბრალოდ, მოსაწყენია... როდესაც ნახევარფინალები დაიწყება, მაშინ დეტალურად მოგიყვებით თითოეულ შეხვედრაზე.

P.S. შეგვპირდნენ, თუ ჰონორარი არ იქნება, ხუდადოვის ტყეში კემპინგს ვაწყობთ და იმის საგზურებს დაგირიგებთო. ჰოდა, ჩვენც ერთი სული გვაქვს, ჰონორარი არ დაგვირიგონ და ხუდადოვის ცნობილ ტყეში გაგვიშვან დასასვენებლად. წამოვწვები ჩეროში და ჩოგბურთს რადიოში მოვუსმენ. რა ჯობია ამას?!

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 14 ივლისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ამერიკის თასი. მექსიკა – ეკვადორი
14:00 ამერიკის თასი. არგენტინა – ურუგვაი
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ვერდერი"
17:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "კრისიუმა"
19:30 "დარტყმა გოლისთვის"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:05 ამერიკის თასი. მექსიკა – ეკვადორი
21:50 ამერიკის თასი. არგენტინა – ურუგვაი
23:35 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" – "კრისიუმა"
01:20 "დარტყმა გოლისთვის
01:35 01:35-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV – საზაფხულო ლიგა. "SAN ANTONIO SPURS" - "LOS ANGELES LAKERS"

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00, 16:00, 18:50, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ჭადრაკი. მსოფლიო ჩემპიონატი ლიბიაში
11:15 ბოულინგი. PBA მსოფლიო ჩემპიონატი
12:05 "ბრითიშ ოუფენის" წინ. "ღია ჩემპიონატის ლეგენდები"
13:35 "საუკუნის ათლეტები". დ. კონოლი
14:30 ზამთრის შოუ. "Bumps and Jumps"
15:25 "რუსეთის ჰოკეის საუკეთესო გუნდები". გადაცემა მეექვსე
16:15 "ცხელი ქვიშა". ტელეჟურნალი
17:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრე. არგენტინა – რუსეთი. გადამწყვეტი მატჩი
19:05 "ბრითიშ ოუფენის" წინ. "ღია ჩემპიონატი ანიდან ჰაემდე"
20:00 "ათენის გზაზე"
21:00 "საუკუნის ათლეტები". "დოქტორ პეტროვის ბედისწერა"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მეორე წრის მიმოხილვა
22:55 ბრძოლა გარეშე წესების – "Ultimate Fighting Championship"
00:15 ახალი ამბები
00:30 ტრიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
01:25 ფიგურული სრიალი. კატარინა ვიტის შოუ
02:25 ფეხბურთი. ამერიკის თასი. კოსტა-რიკა – ჩილე. პირდაპირი ტრანსლაცია
04:40 ფეხბურთი. ამერიკის თასი. ბრაზილია – პარაგვაი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი
11:00 ფეხბურთი. ახალგაზრდების ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. ბელგია – უკრაინა
12:30 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
13:00 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
20:00 ფეხბურთი. ალპური თასი გერმანიაში
22:00 ცხენოსნობა. ნაციის თასი სამსუნგი შვედეთში
23:00 გოლფი. ევროპული ტური შოტლანდიაში
23:30 აფროსნობა
00:00 მულტისპორტი ოთხშაბათობით
00:15 ველორბოლა. ტურ დე ფრანსი
01:15 თავგადასავალი. ექსტრემალურ თავგადასავალთა სერია
01:45 ახალი ამბები
02:00 მარათონი
02:30 გოლფი. PGA ტურნირი აშშ-ში

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელეპროექტი "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

| | |
|---|---|
| სახელი და გვარი | ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი |
| მისამართი: | შვილები: |
| საკონტაქტო ტელეფონის ნომრები: | განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური |
| დამხმარე კატეგორია: | პროფესია: |
| ასაკი: | სამუშაო ადგილი |
| თქვენი ინტერესები და ჰობი: | შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის? |
| გიყვართ თუ არა მოგზაურობა? | თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ? |
| არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ? | ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს? |
| გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ? | ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში: |
| მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ? | რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ? |
| გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა? | რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები? |
| გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? | ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში: |
| უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადამხდენიათ თავს? კერძოდ რა? | როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი? |
| არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ? | რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები? |
| რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ? | გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? |
| რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ? | რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში? |

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მეტი სახე ბევრჯერ უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

| | |
|---|---|
| როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს? | დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით? |

„ხალხის პირისპირ" - ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჯდება სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი

ბინის მისამართი

სამსახურის ტელეფონის ნომერი

ბინის ტელეფონის ნომერი

მობილური ტელეფონის ნომერი

უნიკალი კითხვის შემდგენლობითის

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

## მოკლედ

### "კონკია" – ბრიტანელების საყვარელი ზღაპარი



ბრიტანელმა ბავშვებმა კინოთეატრების მიერ გამოცხადებულ გამოკითხვაში მიიღეს მონაწილეობა. გამოკითხვის მიზანი იყო პატარების საყვარელი ზღაპრის გამოვლენა. გამოკითხვაში სულ 1200-მა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა. შედეგები კი ასეთი გახლდათ: პირველი ადგილი შარლ პეროს "კონკიას" ხვდა წილად, 1200 ბავშვიდან 36-მა პროცენტმა სწორედ "კონკია" აირჩია. მეორე ადგილზე გავიდა "მძინარე მზეთუნახავი", მესამე ადგილზე კი - გერმანული ზღაპარი "ჰენზელი და გრეტელი". გამოკითხვის ორგანიზატორებმა შედეგებზე ასეთი კომენტარი გააკეთეს: "კლასიკური ზღაპრები არ ბერდება, რადგან ისინი დღესაც ეხმიანება ჩვენს ცხოვრებას." "კონკია" XVII საუკუნეში დაიწერა, თუმცა ამბავი გაცილებით ძველია. ისტორია ანალოგიური ფაბულით ჩვენი წელთაღრიცხვის IX საუკუნის ჩინურ ხელნაწერებშიც გვხვდება. "კონკიაზე" არაერთი ფილმი შეუქმნიათ, დაუდგამთ სპექტაკლებიც. 1950 წელს კომპანია "უოლტ დისნეიმ" გადაიღო მულტფილმიც, რომელიც ძალიან პოპულარული გახდა. სხვათა შორის, ორი წლის წინ ეკრანებზე ამ ზღაპრის გაგრძელებაც გამოვიდა.

### არაჩვეულებრივი რომანი

ჩინელმა მწერალმა კან ფუჩანმა ორიგინალური რომანის შექმნით მიიქცია მსოფლიო საზოგადოების ყურადღება. მისი ნაწარმოები მოგვითხრობს, თუ როგორი ვნება აქვს აკრძალულ სიყვარულს ცოლიან მამაკაცსა და გათხოვილ ქალს შორის. მაგრამ, თემა, რასაკვირველია, არაა არაჩვეულებრივი; ორიგინალურია ფორმა – რომანი მოკლე ტექსტური შეტყობინებების სახითაა შექმნილი; დაყოფილია სამოც ქვეთავად და თითოეული 70 იეროგლიფისგან შედგება. გუანდუნის პროვინციის ლიტერატურული აკადემიის ხელმძღვანელი პირი ამტკიცებს, რომ კან ფუჩანის რომანი მაღალი მხატვრული ღირებულებისაა.

# კარგი გოგო კონსერვატიული ოჯახიდან



დაიდომ იმას მიაღწია, რომ მისი სიმღერები საზოგადოებას უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე მისი სახე - იმდენად, რომ ზოგჯერ კონცერტის დღესაც კი, სცენაზე ასვლამდე დარბაზში მოარულს ვერ სცნობენ.

სანამ ხმის ჩამწერი ფირმები ჩივიან, ბაზარი კუსტარულმა კომპაქტ-დისკებმა და არალეგალურმა ინტერნეტ-ჩანაწერებმა წალეკაო, დაიდომ თავისი ორი უკანასკნელი ალბომი 20 მილიონ ცალად გაყიდა. გერმანიაში ტურნეზე მიმავალ დაიდოს "შტერნის" კორესპონდენტმა ამასთან დაკავშირებით იქედნურად დაუსვა კითხვა: "დაიდო, თქვენ მუსიკის მხსნელი ბრძანდებით?"

ეს ინტერვიუს პირველი კითხვა იყო, რომელმაც მომღერალი, როგორც ჩანს, საკმაოდ დააბნია. "გადამრჩენი? მეე? რაზე ლაპარაკობთ?" - ამეების ლუღლუღის შემდეგ ის მალე მოეგო გონს და განმარტა, რომ მუსიკის გაყიდვის რეცეპტები არა აქვს, და საერთოდ, მუსიკოსია, და არა გამომთვლელი მანქანა. დაიდომ თქვა, რომ მუსიკალური ინდუსტრიის უდიდესი ცოდვა სწორედ ისაა, რომ ყველა ყველაფრის ანალიზს ლამობს. "მე ჩემი გრძნობები მმართავს, სიმღერების წერა მხოლოდ ამგვარად შემიძლია," მოახსენა დაიდომ კორესპონდენტს.

დაიდოს მიაჩნია, რომ მუსიკალური ინდუსტრია საკუთარი ხელით ითხრის საფლავს, და ამის მიზეზად იდეების ნაკლებობას ასახელებს. "აი, მაგალითად, ბრიტნი სპირსი. ხუთი წლის წინათ მან სექსუალური ლოლიტას იმიჯით გაითქვა სახელი, და სულ მალე კიდევ 120 მომღერალი გოგონა გამოხტა, ზუსტად ბრიტნივით ჩაცმული, მოცეკვავე, ზუსტად ბრიტნისნაირები. უცებ ყველა ხმისჩამწერ ფირმას საკუთარი ბრიტნი სპირსი გაუჩნდა. რა უბედურებაა?!"

საკუთარი წარმატება დაიდოს თავადაც აკვირვებს, რადგან ისევე, როგორც კრიტიკოსების აზრით, მისი საკუთარი აზრითაც ის ამ სფეროსთვის "მეტისმეტად ნორმალურია". ის არც სასტუმროებში უკიდებს ოთახებს ცეცხლს და არც კოლეგებთან აქვს დიდი სექსი ატეხილი. სამაგიეროდ, დაიდომ იმას მიაღწია, რომ მისი სიმღერები საზოგადოებას უფრო მეტად იზიდავს, ვიდრე მისი სახე – იმდენად, რომ ზოგჯერ კონცერტის დღესაც კი, სცენაზე ასვლამდე დარბაზში მოარულს ვერ სცნობენ.

დაიდოს ისიც კი კომპლიმენტად მიაჩნია, რომ ზოგიერთი კრიტიკოსი წერს, დაიდოს მუსიკა ლაზანიას გაცხელებისას საუკეთესო მოსასმენიაო. მისი თქმით, კრიტიკოსებს ის ამხეცებს, რომ დაიდოს მუსიკას მათი რეცენზიების გარეშეც უსმენენ, თუნდაც კერძის გაცხელებისას. "რადგან ჩემი მუსიკა კარგია," ამბობს გამომწვევად დაიდო.

მომღერალი ძალიან კონსერვატიულ გარემოში გაიზარდა. მამამისი სამხედრო გამომცემლობის რედაქტორი იყო, დედა – პოეტი, რომელსაც პოპ-კულტურა ეშმაკისეულად მიაჩნდა. მშობლები დაიდოს იმასაც კი უკრძალავდნენ, რომ მეგობრები სახლში მიეყვანა, "შინ სიმშვიდე უნდოდათ, და გარე სამყაროს მათთვის ამაში ხელი არ უნდა შეეშალა". ოჯახი არასოდეს მოგზაურობდა, ერთადერთხელ, ისიც ერთი კვირით გაემგზავრნენ საფრანგეთში. მათ სახლში ტელევიზორი არ არსებობდა, რადგან ოჯახის უფროსის თქმით, ის გამოსაშტერებელი მანქანა იყო. "ერთხელ ტელევიზორი ჩუმად შევიტანე ჩემს ოთახში," იგონებს დაიდო. "MTV-ს ყურებას ვაპირებდი, მაგრამ დედამ შემომისწრო და გაცოფებულმა აპარატი ფანჯრიდან მოისროლა".

მოკლედ, ბედნიერი ბავშობა ჰქონდაო, ვერ ვიტყვით. მაგრამ აკრძალვებს დადებითი მხარეც აღმოაჩნდა – გოგონასა და მის ძმას იძულების წესით მოუწიათ საკუთარი გართობისთვის ზრუნვა. თორმეტი წლის დაიდომ ლექსების წერა დაიწყო, მერე კი მათ "ასიმღერებდა" და თავის მაგნიტოფონზე იწერდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ სიმღერასაც სწავლობდა და ფორტეპიანოზე დაკვრასაც, მაშინ დაიდოს აზრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე ვინმეს მისი პატარა სიმღერები დააინტერესებდა. ის მხოლოდ 1997 წელს "აღმოაჩინა" ლეგენდარულმა მენეჯერმა კლაივ დევისმა, რომელსაც თავის დროზე ჯენის ჯოპლინთან და ბრიუს სპრინგსტინთან ჰქონდა საქმე. "მან სამღერლად სასტუმროში მიმიწვია. ეს მოხუცი ბატონი, დიდი სათვალით, სავარძელში იჯდა და ძალიან აღეგზნო. ორი სიმღერა რომ ვიმღერე, დევისმა მითხრა: "დაიდო, ოდესმე ისეთივე დიდი მომღერალი იქნები, როგორიც ვიტნი ჰიუსტონია". მაშინ დაიდოს ეგონა, რომ დევისი ამას ყველას ეუბნებოდა, და დიდი იმედები არ ჰქონია.

მაგრამ დევისი არ ტყუოდა. დაიდო ცნობილი შემსრულებელი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ პროვოკაციული გამოსვლები და მეამბოხური სულისკვეთება არ ახასიათებს. "ამბოხი ბონოსთანა ადამიანებისთვის დამითმია," ამბობს დაიდო. "ის განათლებულია და ჭკვიანი. მე რომ ერაყის ომზე ვიმღერო, ძალიან სევდიანი სასიყვარულო სიმღერა გამომივა და არა საპროტესტო ჰიმნი, რომელსაც დემონსტრანტები აიტაცებდნენ".

ის არა მარტო მუსიკაშია ფრთხილი, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც. დაიდოს დიდი სიმდიდრის ამბავი (მხოლოდ გასულ წელს მან 22,4 მილიონი ევრო მიიღო) მშობლებმა მაშინ გაიგეს, როცა გაზეთებმა მათი ასული ინგლისის უმდიდრეს ადამიანთა საიში დაასახელეს.

**P.S.** აქამდე ინტერვიუს სერიოზულად ვკითხულობდი, მაგრამ ბოლოს...

დაიდომ თქვა: "ჩემი მშობლები გერმანულ პრესას არ კითხულობენ, ამიტომ დაიდოს ნათელი ცხოვრების ბნელ ამბავს გაგიმხელთ: როცა 17 წლისა ვიყავი, ერთ წვეულებაზე მარიხუანა მოვწიე".

"არა!" – შესძახა დაზაფრულმა კორესპონდენტმა. "ეგ როგორ?"

"როგორ და, ჯერ ვახველე, მერე თავბრუ დამეხვა, და ცოტა ხანში დამეძინა. როკის თაყვანისმცემლებისთვის სრულიად უიმედო შემთხვევა ვარ".

## სკანვორდი



## TV პროგრამა

14 ივლისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.20** მხ. ფილმი "როგორ დააქორწინა მეფე პეტრემ არაბი"(გ) **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "საჰარას საიდუმლო" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "ბრწყინვალე აფიორა". მთ. რ-ში: ნიკოლას კეიჯი (18).

### TV5

**06.10, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** უდიდესი სპორტული დუელები. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ზიგ-ზაგ კაფე. **12.15** 14 ივლისისადმი მიძღვნილი საზეიმო აღლუმი. **16.25** ზაფხულის ერთი დღე. ტელესერიალი. **20.25** პიტერ ბრუკი. დოკ. ფილმი. **23.00** რომის იმპერია. დოკ. ფილმი. **24.40** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### JIST

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართ. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "ამერიკული რაპსოდია". მთ. რ-ში: ნასტასია კინსკი. **03.00** პაუზის გარეშე

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "სიმბა-ფეხბურთელი" **10.10** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **12.00, 15.00, 20.00, 00.40** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკა" **15.20** სერიალი "რვაფეხა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალის გაგრძელება **17.00** მულტსერიალი "სიმბა ფეხბურთელი" **17.30** "მუსიკალური არჩევნები" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "ხუმრობა იქით იყოს" **18.45** დოკ. ფილმი "ყველანი ორბიტაზე" **19.05** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** "მილენიუმი" **22.35** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.00** ღამის მატარებელი **01.00** მხ. ფილმი "რემბო-2" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** 20 სთ-იანი ფილმის გამეორება **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "მეტრო" (ედი მერფი) (12) **17.00** მულტფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "შოკოლადი" (ჟ. ბინოში) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. საღინაძის "კენო" **22.45** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "დოგვილი" (ნ. კიდმანი) (18)

### მზე

**09.00** მზერა დღის ბოლოს **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10, 20.50** მინისერიალი "მისტერ მკვლელობა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "კონან დოილის ქრონიკები" **13.10** მხ. ფილმი "ნამდვილი მაქოი" (გ) (კიმ ბესინჯერი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.00, 17.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "კეროტის თავგადასავალი" **18.10** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.35** დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** მზერა დღის ბოლოს **00.00** მხ. ფილმი "გახსოვდეს" (18) (კერი ენ მოსი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "ბელფეგორი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** დოკ. სერიალი "გემრიელად მირთვით ბავშვებო" **21.20** ჩვენი მისამართია **22.00** მხ. ფილმები "რემბო-პირველი სისხლი" (15)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" 12-13 ს. **19.20, 21.00** სპექტრი **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 01.55** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.05** "ჩ-კლუზივი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.25** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **15.15** მხ. ფილმი "გამოუსწორებელი" (გ) **17.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.05** ქრონიკა **17.25** ანიმაციური ფილმი "შავი მეკობრე" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი" **21.30** "პირველი ნახევარი" **23.00** არტ-ბულვარი **23.30** მხ. ფილმი "კოლეჯი" (დ. სუეინი) (15)

### იბერია

**18.00** მინისერიალი "ხაბაზები" **18.55** დოკ. ფილმი **19.55** კონცერტი **21.30** დოკ. ფილმი **22.30** მხ. ფილმი "ტარტიუფის შთამომავლობა" (12)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 01.10** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მულტფილმი "უძველესი დედამიწა " **10.05** სათავგადასავლო ფილმი "იასონი და არგონავტები" **11.50** დოკუმენტური ფილმი **12.30, 16.30, 20.30, 22.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** კომედია "საუკეთესო მეგობრის ქორწილი" **14.25** მუსიკა **14.40** თრილერი "ნიკიტა" **16.45** მულტფილმი "შრეკი" **18.15** მუსიკა **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.00** ტელესერიალი "კონკიაზე ნადირობა" **19.50** დოკუმენტური ფილმი **21.00** კომედია "საოჯახო გეგმა" **23.00** მხატვრული ფილმი " სიყვარული წესების გარეშე" **01.30** თრილერი "პერლ-ჰარბორი" **04.25** მუსიკა **04.30** კომედია "კანადური ბეკონი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20 Наталья Андрейченко в фильме "Подари мне лунный свет" 11.10** Теория невероятности. "Харизма" **11.40** Следствие ведет Колобков **12.10** Александр Збруев в детективной трилогии **"Два билета на дневной сеанс" 14.00 Сериал "Женщины в любви" 15.20 Сериал "Сезон охоты" 16.30** Криминальная Россия. "Евроремонт для убийцы". 1-я серия **17.00** "Русская рулетка" **18.20** Смехопанорама **18.50 Сериал "Клон" 19.50** "Стирка на миллион" **20.00** Жди меня **21.00** Время **21.30 Сериал "Улицы разбитых фонарей". 22.40 Сериал "Танцор" 23.40** Искатели. "Убийство Павла I" **00.10 Сериал "24 часа" 01.00** Чарльз Бронсон в боевике **"Семья полицейских" 02.30** Джек Леммон в комедии **"Папочка" 04.30** Русский экстрим **05.05** "Кавказский Вавилон"

### НТВ

**08.55 Сериал "ЛЮБОВЬ ВДОВЦА" 10.00** Сегодня утром. **10.25** "Женский взгляд". Виктория Лепко. **10.55** Путешествие натуралиста. **11.30** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 01.00** "Сегодня" **12.30** Вера Глаголева в фильме **"ЖЕНЩИН ОБИЖАТЬ НЕ РЕКОМЕНДУЕТСЯ". 14.15** Время есть. **14.35** Протокол. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Дикий мир: борьба за выживание". "Гигантская выдра". **18.35** Протокол. **19.40** Александр Абдулов в сериале **"ЛЕДНИКОВЫЙ ПЕРИОД". 1-я с. 20.50 Сериал "НЕ ССОРЬТЕСЬ, ДЕВОЧКИ!" 9-я серия. 22.00** "Страна и мир" **22.35** Красная стрела. **22.45** Сергей Маковецкий в сериале **"НЕУДАЧА ПУАРО". 1-я с. 23.55** Кристофер Горэм в сериале **"ДЖЕЙК 2.0"**

# XIX საუკუნის მოდა

რუსეთში, დოსტოევსკის მუზეუმში უჩვეულო გამოფენა გაიხსნა. აქ XIX საუკუნის ქალის ტუალეტის ატრიბუტიკა გამოფინეს. ათასგვარი ექსპონატია წარმოდგენილი: ქალის ხელთათმანები, კორსეტის შესაკრავები, სუნამოს ფლაკონები და სხვა ასეთი საგნები. ორი საუკუნის წინ მოდის აყოლა არცთუ ისე იოლი საქმე გახლდათ - მარტო კორსეტის ტარება რად ღირს; მანდილოსანს, რომელიც კორსეტს ატარებდა, მოძრაობაც კი უჭირდა. XIX საუკუნის მოდის მთავარი ატრიბუტი, მოგეხსენებათ, თავსაბურავი გახლდათ – ნაირგვარი ფორმისა და დიზაინის შლაპები, რაც ქალბატონებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა. ასევე ნებისმიერ ქალს, რომელიც თავს უვლიდა, ხელჩანთაში ედო ე.წ. ფერუმარილის ფურცლები, ამ ფურცლის ერთი მოსმა და სილამაზე გარანტირებული ჰქონდათ...

გამოფენაზე იმ ნივთებსაც შეხვდებით, რასაც ქალები ხელსაქმის დროს იყენებდნენ: სხვადასხვა ზომის ნემსები და თვით მინისგან დამზადებული შირმებიც, რაც აუცილებელი იყო ქალისთვის, მისი თმის ვარცხნილობა სანთლის შუქზე რომ არ დაშლილიყო. საგამოფენო ექსპონატები მშვენივრადაა შერწყმული მუზეუმის ინტერიერთან, ეს ოთახი XIX საუკუნეში სწორედ მანდილოსანს ეკუთვნოდა.

# საპროტესტო აქცია

"ბრიტანელი მწერალი ჯოან როულინგი, პოპულარული "ჰარი პოტერის" ავტორი პროტესტით გამოდის ჩეხეთის ფსიქიატრიული კლინიკების წინააღმდეგ, სადაც პაციენტების განსათავსებლად რკინის გალიებს იყენებენ. მწერალმა ოფიციალური წერილით მიმართა ჩეხეთის ელჩს ლონდონში – შტეფან ფიულეს, რომელშიც ის სთხოვს ელჩს, როგორც მშობელი – მშობელს, მიიღოს ზომები იმისათვის, რომ ჩეხეთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მცირეწლოვან პაციენტებს ექიმები ჰუმანურად მოეპყრონ. ავადმყოფი ბავშვების გალიებში მოთავსება ნამდვილი წამებაა, - ამბობს როულინგი. ანალოგიური შინაარსის წერილი გაუგზავნა მწერალმა ჩეხეთის პრეზიდენტს, ვაცლავ კლაუსს და პრემიერ-მინისტრს, ვლადიმირ შპიდლეს. ბრიტანეთის საზოგადოების აღშფოთება გაზეთ The Sunday Times-ში გამოქვეყნებულმა წერილმა გამოიწვია. ეს იყო რეპორტაჟი ჩეხეთის ერთ-ერთი კლინიკიდან, რომელიც მოგვითხრობდა იქაური მკურნალობის მეთოდებზე, იმაზე, თუ როგორ სვამენ გალიებში ფსიქიკურად დაავადებულ პაციენტებს და, მათ შორის, ბავშვებსაც. სხვათა შორის, ასეთივე ხასიათის სიუჟეტი BBC-მაც გადმოსცა.

როულინგის პროტესტმა გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. ჩეხეთის ელჩმა ლონდონში დაადასტურა, რომ უკვე გასცა პასუხი მწერალს და აცნობა, რომ თხოვნითაც მიმართა შესაბამის უწყებებს, მიიღონ ზომები. ჩეხეთის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურებს ჯერჯერობით ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ როულინგის წერილის მიღების ფაქტი. ჩეხეთის საავადმყოფოებში გალიების გამოყენების გამო თავის დროზე პროტესტი გამოთქვეს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებმა.




ლაგუნა - შეკვეთილი



დასასვენებელი კომპლექსი ოზურგეთის რაიონი, დაბა შეკვეთილი
2004 წლის ზაფხულის ფასები

სასტუმრო
1 პერსონა 1 დღე 22 USD
7 დღე და მეტი 20 USD

პანსიონატი
1 დღე 1 პერსონა 9 USD
3-4 პერსონა 1 ოთახში 7,5 USD
ბავშვი (4-10) 6 USD

ფასი შეიცავს
- ცხოვრებას სასტუმროში
- სამჯერად კვებას
- კალათბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის მოედანს



ფასი არ შეიცავს
- სასმელის ღირებულებას
- მასაჟს
- სამრეცხაო მომსახურებას

ანგარიშსწორება ლარებში გამოქვეყნებული კურსის მიხედვით. ფასები გამოქვეყნებულია 2004 წლის მაისში. ცვლილება შესაძლებელია.

ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ: 8 99 507 606, 8 93 174 464




American University in Bulgaria
announces
**GENEROUS FINANCIAL SUPPORT FOR**

QUALIFIED GEORGIAN STUDENTS FOR FALL 2004
The American University in Bulgaria offers:

- US accreditation by the New England Association of Schools and Colleges
- Outstanding American and Western-educated faculty
- English as the language of instruction
- Diverse international student body
- State-of-the-art facilities, computer labs and library
- Residential life experience
- Majors in Business Administration, Computer Science, Economics, European Studies, History, Journalism/Mass Communications, Mathematics, Political Science/International Relations, and Southeast European Studies

- Announcing New College of Business in Sofia

AUBG Director of Admissions Ms Yordanka Melnikliyska will be available for meetings in the Marriott Courtyard Hotel in Tbilisi on **July 15-16, 2004**, mobile: +359 888 960 363
For further information please write to **admissions@aubg.bg** or visit the university website at **www.aubg.bg**, where an online application is available, or call +359 73 888 233; +359 73 888 226; + 359 888 235

**ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში**
**აცხადებს მიღებას და მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას კვალიფიციური ქართველი სტუდენტებისათვის 2004 წლის შემოდგომისათვის**

**ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში გთავაზობთ:**
- ა.შ.შ-ს აკრედიტაცია, გაცემული ახალი ინგლისის სასწავლებლებისა და კოლეჯების ასოციაციის მიერ
- მაღალი დონის ამერიკელი და დასავლეთ ევროპელი პროფესორ-მასწავლებლები
- ინგლისური როგორც ინსტრუქტაჟის ენა
- მრავალფეროვანი ინტერნაციონალური სტუდენტთა გარემო
- კარგად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა
- ცხოვრება უნივერსიტეტის საცხოვრებელში
- სპეციალობები: ბიზნეს ადმინისტრაცია, კომპიუტერული მეცნიერება, ეცონომიკა, ევროპის შესწავლის საკითხები, ისტორია, ჟურნალისტიკა/მასობრივი კომუნიკაციები, მათემატიკა, პოლიტიტოლოგია/საერთაშორისო ურთიერთობები და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის საკითხები

აცხადებს ბიზნესის ახალი კოლეჯის გახსნას სოფიაში
**უნივერსიტეტის მიმღები დირექტორი ქალბატონი იორდანკა მელნიკლისკა ჩაატარებს შეხვედრებს სასტუმრო მარიოტ ქორთიარდში თბილისში 15-16 ივლისს, 2004. მობილური: +359 888 960 363**

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით admissions@aubg.bg ანდ ესტუმრეთ უნივერსიტეტის ვებსაიტს www. Aubg.bg სადაც შეგიძლიათ ნახოთ აპლიკაციის ელექტრონული ვერსია. ან დარეკეთ +359 73 888 233: +359 73 888 226: 359 888 235**

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24




# წამალი "სალხინო"

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.